პალიტრა მედია

ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
28 დეკემბერი ორშაბათი 2009
№306 (12985) ფასი 60 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2009 გავაცილეთ

რაგბი



მამუკა გორგოძე

## გაგვახარეს და გაიხარეს



ირაკლი ყიასაშვილი

» გვერდი 13

# ცხადია, ცხადაია



მანუჩარ ცხადაია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



ნინო სალუქვაძე



ალბერტ კუზილოვი



გიორგი გოგშელიძე



ლაშა სალუქვაძე



კობა ფხაკაძე



პაატა მერებაშვილი

» გვერდი 12-13



## შაბათიდან შაბათამდე

ლელო ლეო მესის პოსტერითა და კალენდრით ჯერ კიდევ იყიდება

დინამო

# ბუბა ტყავაძე
# მერებაშვილზე წინადადებას ველოდებით
## ამ სეზონს ახალი თაობის დასამკვიდრებლად გამოვიყენებთ

თბილისის „დინამოდან" ბევრი ფეხბურთელი წავიდა ან მიდის. ასე მაგალითად, კაპიტან ლევან ხმალაძეს კონტრაქტი დაუმთავრდა და კარიერას, სავარაუდოდ, ისრაელის ჩემპიონ ჰაიფას „მაქაბიში" გააგრძელებს. გია ნერგაძეს კი რაინერ ცობელი სამხრეთ აფრიკაში იწვევს. ცნობისთვის, „დინამოს" ყოფილი მთავარი მწვრთნელი იქ „მოროკა სვალოვსში" (იოჰანესბურგი) მიიწვიეს. სხვათა შორის, ნერგაძეს ყველაზე მეტად სწორედ ცობელი ენდობოდა და ეს ამ ბოლო მიწვევიდანაც ჩანს. უბრალოდ, ვიდრე ნერგაძე აფრიკაში წასულა, კარგი იქნებოდა, რომელიმე ქართული კლუბი დაინტერესებულიყო. ასეთი მოთამაშეების წასვლით ისევ და ისევ საქართველოს ჩემპიონატი ღარიბდება.

დღევანდელ ნომერშივე წაიკითხავთ, რომ „დინამოდან" წავიდა მეკარე გიორგი სომხიშვილი, გურამ კაშიას „ანდერლეხტი" იწვევს... და უცხოეთისკენ უჭირავს თვალი გიორგი მერებაშვილსაც. ანუ, აქტუალური ხდება კითხვა - რა შემადგენლობით იასპარეზებს „დინამო" მეორე წრეში? ამის თაობაზე გუშინ „დინამოს" მმართველ დირექტორ ბუბა ტყავაძეს გავესაუბრეთ...

**- ხმალაძის საკითხი გარკვეულია?**

- რამდენადაც ვიცი, ხმალაძე და ჰაიფას „მაქაბი" მოლაპარაკებულები ჯერ არ არიან. ჩემი ინფორმაციით, საკითხი ერთ კვირაში გადაწყდება. ლევანი ისრაელში უნდა ჩავიდეს, დაილაპარაკოს და ყველაფერი სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა.

**- როგორც გავიგეთ, საჩხერის „ჩიხურადან" მარჯვენ მცველ ნოდარ მგალობლიშვილს იწვევთ...**

- დიახ, მგალობლიშვილს გავსინჯავთ.

**- სხვა რა ცვლილებებია მოსალოდნელი?**

- 3 იანვარს შევიკრიბებით და ყველა სიახლეს ამის მერე შეიტყობთ. ფეხბურთელებს უცხოეთიდანაც ველოდებით - მაკედონიიდან, აფრიკიდან... ასევე ბრაზილიელებს...

**- ტრადიციიდან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია, დღევანდელი სატურნირო მდგომარეობა გაკმაყოფილებდეთ. ან რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ჩემპიონობისთვის ბრძოლის გაგრძელება?**

- ყველაფერი მოსამზადებელ ეტაპზე გაირკვევა. ვნახოთ, რამდენად ნაყოფიერად შეივსება და გაძლიერდება გუნდი, თორემ, ჩამორჩენის აღმოფხვრაში წარმოუდგენელს ვერაფერს ვხედავ. თუ ჩვენმა კონკურენტებმა მოახერხეს და ეს უპირატესობა მოიპოვეს, ასევე შესაძლებელია ამ სხვაობის შემცირება და იმავე კონკურენტების გასწრება. თუმცა ვიმეორებ - მთავარი ისაა, როგორ გამოვიყენებთ ზამთრის სატრანსფერო ფანჯარას... რაც შეეხება ჩვენს დღევანდელ პოზიციას და მის გამომწვევ მიზეზებს - ჩვენ შეგნებულად დავიწყეთ განახლების პროცესი. რამდენიმე ასაკოვან ფეხბურთელს კონტრაქტი უმთავრდებოდა და გუნდის გაახალგაზრდავება ჩვენ დროზე ადრე გადავწყვიტეთ.

**- და იყო ამის საჭიროება?**

- გამოუცდელ ფეხბურთელებს სათამაშო პრაქტიკა უნდა მიეღოთ და ეს იყო სწორედ საჭირო. კარგი თაობა მოდის და ჯობდა, მათთვის გაგვეხსნა გზა.

**- რეალურად, ასე გამოდის, რომ მიმდინარე სეზონს გაახალგაზრდავებისთვის გამოიყენებთ...**

- დიახ, ამ სეზონს სწორედ ამ მიზნისთვის გამოვიყენებთ. ახალგაზრდა მოთამაშეებმა უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილება მიიღეს და რამდენიმე დასამახსოვრებელი შეხვედრაც ჩაატარეს. და თუ მათ უცხოეთიდან თუ საქართველოს სხვა გუნდებიდან მოწვეული ფეხბურთელებიც ღირსეულად ამოუდგებიან გვერდში, „დინამო" სწორ გზას დაადგება.



**- საქართველოს კლუბებიდან რომელი ფეხბურთელების მიწვევაზეა ლაპარაკი?**

- ისე კი, აქედან შევსებას ნაკლებად ველოდებით.

**- და ბოლოს, დარჩება თუ არა გუნდში მისი ლიდერი გიორგი მერებაშვილი?**

- მერებაშვილის საკითხი ძალიან მარტივადაა - თუკი იქნება შესაფერისი წინადადება, წავა.

**- და ასეთი წინადადება ჯერ არ მიგიღიათ?**

- ველოდებით...

**მერაბ მამულაშვილი**

სფფ

# წლის ბოლო აღმასკომი

დღეს 12 საათზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მორიგი სხდომა გაიმართება, რომელიც ერთგვარად დახურავს 2009 წელს. აღმასკომის დღის წესრიგი ასეთია:

**1. დამოუკიდებელი აუდიტის საბოლოო დასკვნა ფეხბურთის ფედერაციის მდგომარეობის შესახებ; 2. საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" განცხადების განხილვა მეკარე გრიგოლ ჭანტურიას საკითხთან დაკავშირებით; 3. რეგიონული ფეხბურთის ფედერაციების ფინანსური მდგომარეობის შესახებ; 4. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მუდმივმოქმედი კომიტეტების შესახებ;** 5. სხვადასხვა.

ცხადია, აღმასკომის ამბებზე მომდევნო ნომერში ვისაუბრებთ...

**დავით ცაბაძე**



გურამ კაშია

მოსალოდნელი ტრანსფერი

# კაშია ადასტურებს: ანდერლეხტი
## ტყავაძისთვის 100 ათასი დოლარი სასაცილოა...

**საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ცენტრალური მცველის, გურამ კაშიას გადაბირება მახაჩყალის „ანჟისა" და ბელგიური ფეხბურთის ფლაგმან „ანდერლეხტს" სურთ. ეს ინფორმაცია „ლელომ" ამ ცოტა ხნის წინ გაავრცელა. სანდო წყარო კატეგორიულად გვიმტკიცებდა, რომ გურამ კაშია, რომელმაც ბოლო ორ წელიწადში საკმაოდ დიდი პროგრესი განიცადა და ეროვნულ ნაკრებშიც მოხვდა, „ანდერლეხტის" სამიზნე იყო. მოგვეცა საშუალება, ინფორმაცია თავად ფეხბურთელთან გადაგვემოწმებინა...**

**- როგორც ვიცით, „ანჟისა" და „ანდერლეხტში" გიწვევენ...**

- კი, ასეა, ყოველ შემთხვევაში, მენეჯერებისგან ასე ვიცი.

**- პირდაპირ კონტრაქტის გაფორმებაზეა ლაპარაკია თუ ჯერ სინჯები უნდა გაიარო?**

- ჯერ სინჯები იქნება. მენეჯერის თქმით, ეს რეალური ვარიანტია. არარეალური სწორედ ის იქნებოდა, მენეჯერი პირდაპირ კონტრაქტის გაფორმებას რომ შემპირებოდა. თუმცა კლუბი ჩემს მენეჯერს ელაპარაკა და არა - „დინამოს". თუკი ისინი შეთანხმდებოდნენ, მერე ბელგიაში უნდა წავსულიყავი.

**- როგორც ცნობილია, „დინამოსთან" კონტრაქტი ისევ გაკავშირებთ...**

- კონტრაქტი ზაფხულში მიმთავრდება.

**- ალბათ, მანამდე წასვლა არარეალურია. ასე არ არის?**

- მეც ასე მგონია, რომ ზაფხულამდე „დინამოდან" აზარგებაზე ლაპარაკი ნაადრევია. თუ მაინც დაიწყება მოლაპარაკება, არ ვიცი, რა წინადადებით მიმართავენ ბელგიელები „დინამოს". არადა, „ანდერლეხტში" გადასვლა ძალიანაც გამიხარდებოდა...

ჩვენი ინფორმაციით, მახაჩყალის „ანჟი" კაშიაში „დინამოს" 100 ათას დოლარს სთავაზობდა, რაც, ბუნებრივია, თბილისური გრანდისთვის მიუღებელია. „დინამოს" მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ** ამ თემაზე დაკონკრეტება არ ისურვა.

**- კაშიას თაობაზე „ანდერლეხტის" ან „ანჟის" წარმომადგენლებმა თუ მოგმართეს?**

- „ანდერლეხტზე" ვერაფერს გეტყვით, ეს ამბავი თავად ფეხბურთელისგან ახლახან შევიტყვე.

**- ჩვენ კი გავიგეთ, რომ „ანჟი" კაშიას საფასურად სულ რაღაც 100 ათას დოლარს გთავაზობდათ...**

- შემოგვთავაზეს თუ არა ეს თანხა, ამაზე ლაპარაკიც უხერხულია. თუმცა მკაფიოდ ვიტყვი, რომ „დინამოს" ერთ-ერთი ლიდერის სანაცვლოდ 100 დოლარის შემოთავაზება საქმიან წინადადებად ვერ ჩაითვლება. ჩვენ ვითვალისწინებთ კლუბის ტრადიციას, თავად ფეხბურთელის კლასსა და პერსპექტივას. კაშიას დარ მოთამაშეში ეს თანხა მართლაც სასაცილოა. „დინამოს" ჯერ ბელგიელთა წინადადებაც არ მიუღია. ალბათ, ისინი უფრო ნაკლებს შემოგვთავაზებენ. ვნახოთ...

**მერაბ მამულაშვილი**

ბენდელას თასი

# დღეს ფინალია

„ბენდელას თასის" XVIII გათამაშების ფინალისტები გარკვეულია - დღეს თბილისის „დინამო" თსუ-ს შეხვდება. გუშინ კი „საბურთალოს" საფეხბურთო სკოლაში მიმდინარე ტურნირზე საინტერესო და დაძაბული ნახევარფინალები გაიმართა. პირველად, ერთმანეთს თბილისის „დინამო" და „ოზურგეთი" დაუპირისპირდნენ. დინამოელთა შორის ძირითადი შემადგენლობის საკმაოდ ბევრმა ფეხბურთელმა ითამაშა - **გურამ კაშიამ, ვაჟა ნემსაძემ, გიორგი მამუჩიშვილმა, დონალდ ჯიუსმა, გიორგი გეთიაშვილმა, გიორგი ქავთარაძემ.** მათ გვერდით, ძირითადი და სათადარიგო გუნდების მთავარი მწვრთნელები - **კახა კაჭარავა** და **დავით კოდალაშვილი** თამაშობდნენ. უნდა გენახათ, როგორი მონდომებით თამაშობდნენ მწვრთნელები... ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ტურნირისადმი თბილისის „დინამოს" დამოკიდებულება უდავოდ აღსანიშნავია. რაც შეეხება „ოზურგეთს", ამ გუნდში უნგრეთის უმაღლესლიგელი „დიორი ეტოს" 17 წლის თავდამსხმელი **თემურ შარაშენიძე** ვიხილეთ.

„დინამომ" თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა, საბოლოოდ კი **სერგო წენგუაშვილის, დონალდ ჯიუსისა** და **გიორგი მამუჩიშვილის** გოლებით 3:1 გაიმარჯვა, ხოლო მოწინააღმდეგის მხრიდან ერთადერთი გოლი სწორედ შარაშენიძემ შეაგდო.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს თსუ და სამედიცინო უნივერსიტეტი დაუპირისპირდნენ. თსუ მინი-ფეხბურთის ნაკრების ბაზაზე იყო შექმნილი და ეროვნული ნაკრების ორი ფეხბურთელი - **ლევან ცქიტიშვილი** და **დავით ოდიკაძე** ეხმარებოდნენ. სამედიცინოს გუნდში კი თბილისის „დინამოს" ყოფილი ლიდერი, ფეხბურთიდან ნაადრევად წასული **ვიტალი დარასელია** და ან უკვე ტალინის „ფლორას" ნახევარმცველი **ზაქარია ბეგლარიშვილი** (უფრო ვრცლად სხვა მასალაში) თამაშობდნენ.



ბენდელას თასზე დინამოს მწვრთნელი კახა კაჭარავაც (ბურთით) თამაშობს

უნივერსიტეტი უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა, სათამაშო უპირატესობას ფლობდა და 2:1-ც მოიგო. გამარჯვებულთაგან თავი **კახა ახალაძემ** გამოიჩინა, მეორე გოლი კი მცველ **კეკელიას** ავტოგოლით გავიდა. „მედიკოსების" გოლი ბეგლარიშვილის ანგარიშზეა.

როგორც გაირკვა, ტურნირს კიდევ ერთი თანამდგომი გამოუჩნდა, რაც „ბენდელას" ორგანიზატორ **ქართლოს ჭუმბურიძეს** ძალიან ახარებს:

*„ამ გაჭირვების დროს, დიდი სამსახური გაგვიწიეს სპორტის დეპარტამენტმა და ფეხბურთის ფედერაციამ. „ბენდელას" XVIII გათამაშება ვერ გაიმართებოდა, რომ არა „იბერიაბიზნესჯგუფის", ყავა „პელეს", „მაკდონალდსის", „ჯეოსელის", „ყაზბეგის", „ოილენდის", „სარაჯიშვილის", „ქუს ტბა 21-ე საუკუნის" თანადგომა. ეს ის კომპანიები არიან, რომლებიც მუდამ გვერდში გვიდგანან. ისინი არიან არა სპონსორები, არამედ, ტურნირის გულშემატკივრები. აფხაზეთში გარდაცვლილი ზაზა ბენდელიანი ასეთ ხსოვნასა და სიყვარულს უდავოდ იმსახურებს, თანაც, სიმართლე გითხრათ, ყველაზე მეტად ის მიკვირს, რომ ამ ხალხს დაძახება და სპონსორობაზე დათანხმება არ სჭირდება, პირიქით, საკუთარი სურვილით გვეხმიანებიან. „ბენდელა" წლის კალენდარში აქვთ შეტანილი და ტურნირის თანადგომას საკუთარ ვალად მიიჩნევენ. ახლა კი სპონსორობის სურვილი „სახალისო ფეხბურთის" ხელმძღვანელებმაც გამოთქვეს და ტურნირის მონაწილეთათვის ძალიან ბევრი პრიზიც დააწესეს. მათი თანადგომა ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო აღმოჩნდა".*

„ბენდელას" ფინალი დღეს 14:30 საათზე გაიმართება, მანამდე კი, 12:30-ზე, მესამე ადგილისთვის მატჩია. რაც შეეხება ბავშვთა ტურნირის ფინალს, ის 13:30 საათზე დაიგეგმა, ხოლო 11:30-ზე ამ ტურნირის მესამეადგილოსანი გაირკვევა.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# აკაკი ხუბუტია
# სამ მატჩში ორი გოლი გავიტანე და მეტი რა უნდა მექნა?! ვიღაცას არ აწყობდა, ახალგაზრდულ ნაკრებში რომ მეთამაშაო...



აკაკი ხუბუტია
ავტორის ფოტო

რუმინეთის მთავარ ლიგაში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი აკაკი ხუბუტიაა. მისი გუნდი, მედიასის „გაზ მეთანი" ამჟამად მე-10 ადგილზეა. კრისტიან პუსტაის კრებულს ხუბუტია სექტემბერში, სეზონის დაწყების შემდეგ შეუერთდა და მას მერე გუნდში სტაბილურად ასპარეზობს.

ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ კაპიტანს რუმინულ პირველობაზე სერიოზული კლუბების წინააღმდეგ უწევს თამაში. სხვა ქართველი ლეგიონერების დარად, საახალწლოდ აკაკიც დროებით სამშობლოში დაბრუნდა. დღეს ის „ლელოს" რესპონდენტია.

**- აკაკი, „გაზ მეთანამდე"ლიტვურ „კაუნასში" გამოდიოდით. რუმინეთში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი ხართ. ამ ქვეყნის ლიგაში როგორ მოხვდით?**

- „კაუნასსა" და ფედერაციას შორის დავა იქამდე მივიდა, რომ კლუბი რიგით მესამე ლიგაში ჩამოაქვეითეს. ლიტვის მესამე ლიგაში ლეგიონერებს თამაშის უფლება არ აქვთ და კლუბმა აპრილში ყველა უცხოელთან კონტრაქტი გაწყვიტა. ერთი სიტყვით, თავისუფალი აგენტი გავხდი. ჩემმა აგენტმა შტეფან შამმა დამირეკა და ბელგიაში ჩასვლა მთხოვა. მაში ლიეჟის „სტანდარდის" მწვრთნელ ლასლო ბოლონის უახლოესი მეგობარია. თავდაპირველად, სწორედ „სტანდარდზე" იყო საუბარი, მერე „გაზ მეთანის" ვარიანტი გამოჩნდა... გუნდის მთავარი მწვრთნელი ჩემს აგენტს ესაუბრა და უთხრა - მინდა, ეგ ქართველი მცველი ამხანაგურ მატჩებში ვნახოო. უნგრეთში ჰქონდათ მოსამზადებელი შეკრება, 10 დღის განმავლობაში მაკვირდებოდნენ. ლიტვიდან აპრილში წამოვედი, აგვისტოში კი უნგრეთში ჩავედი. უვარჯიშებელი გახლდით, მაგრამ მოვინდომე, კარგად წარმოვჩნდი და კონტრაქტზეც დავიწყეთ ლაპარაკი. კონტრაქტზე მოლაპარაკებები გაიწელა და 9 სექტემბერს გავაფორმე 3-წლიანი ხელშეკრულება. რუმინეთში სეზონი დაწყებული იყო, 9 ტური იყო გასული, გუნდში რომ მივედი... კარგად მიმიღეს, ადაპტაციაც არ გამჭირვებია.

**- დაცვაში რა ადგილზე გაგამწესეს?**

- საერთოდ, ოთხი მცველით ვთამაშობთ, მე კი ცენტრში, მარჯვენა მხარეს ვთამაშობ.

**- ყველაზე მეტად რომელი მატჩი დაგამახსოვრდათ?**

- „უნირეასთან". ამ შეხვედრაში ბოლო 20 წუთი დავყავი მოედანზე, მაგრამ იმდენად დაძაბული თამაში იყო და იმდენად დიდმა გარჯამ მომინია, ასე მეგონა მთელი მატჩი ვითამაშე. გუნდს გვიან შევუერთდი, თანაც ლეგიონერებზე ლიმიტია და რამდენიმე შეხვედრაში შეცვლაზე შევედი. „უნირეასთან" მართლა მაღალ დონეზე ვითამაშე და მასმედიის ყურადღების ცენტრშიც მოვხვდი.

**- რუმინეთისა და ლიტვის ჩემპიონატები რომ შევადაროთ ერთმანეთს, გამოვა რომ თქვენი ტრანსფერი წინგადადგმული ნაბიჯია...**

- რა თქმა უნდა. რუმინეთის ჩემპიონატი ლიტვისაზე საგრძნობლად მაღალი დონისაა. ინფრასტრუქტურა, მატჩების დონე, კლასი, მაყურებლის დასწრება თუ სხვა ასპექტებში რუმინეთის ჩემპიონატი ბევრად მაღალ დონეზე დგას. რუმინეთში უფრო მეტად იგრძნობა საფეხბურთო ატმოსფერო. თუნდაც ჩვენი სტადიონი ავილოთ - 7 ათას გულშემატკივარს იტევს და ყველა თამაშზე სრულად ივსება. რუმინეთის ჩემპიონატი უფრო მაღალი დონის რომაა, ეს ეტყობათ კიდეც რუმინულ კლუბებს ევროტურნირებზე. თუნდაც ჩემპიონთა ლიგაში „უნირეას" თამაში რად ღირს...

**- „გაზ მეთანამდე" ბუქარესტის „დინამო" გეპატიჟებოდათ. ეს ვარიანტი რატომ ჩაიშალა?**

- ეს მართლაც რეალური ვარიანტი იყო და „დინამოში" ჩემს ტრანსფერს ვერაფერი შეაფერხებდა, მაგრამ... ამ კლუბის უფროსები ჩემით მაშინ დაინტერესდნენ, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში რომ ვთამაშობდი და გერმანიაში ჩამომაკითხეს, როცა „კაუნასთან" ერთად მოსამზადებელ შეკრებაზე ვიყავი. მისაღები პირობები შემომთავაზეს, კლუბებიც მორიგდნენ თანხაზე, მაგრამ ბოლო მომენტში ლიტველებმა პირი გატეხეს და 250 ათას ევროზე მეტი მოითხოვეს. და ეს ვარიანტი ამიტომ ჩაიშალა. რამდენიმე თვის შემდეგ, როცა „კაუნასი" მესამე ლიგაში დააქვეითეს, ეს კლუბი თავისუფალი აგენტის სტატუსით დავტოვე... დღემდე დიდ შეცდომად მიმაჩნია, „თავის დროზე „კაუნასთან" 5-წლიანი კონტრაქტი რომ გავაფორმე.

**- თქვენს კლუბზე რაღას გვეტყოდით? რამდენადაც ვიცი, ახალი გუნდია...**

- დიახ, სულ რაღაც მესამე სეზონს ატარებს უმაღლეს ლიგაში. გაზისა და ბენზინის მწარმოებელი კომპანიის გუნდია, უმთავრესად ფეხბურთელების მომზადებასა და უკეთეს კლუბებში გაყიდვაზეა ორიენტირებული. ჩვენი ახალგაზრდა მოთამაშეებით ბევრი ცნობილი ევროპული კლუბია დაინტერესებული.

**- თავის დროზე, ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი იყავით, 2 გოლიც გაიტანეთ, მაგრამ მერე 21-წლამდელებში აღარ გამოჩენილხართ...**

- ახალგაზრდულში პეტარ შეგრტის დროს ვთამაშობდი. მცველი ვარ და წარმოიდგინეთ, 3 შეხვედრაში 2 გოლი გავიტანე. თითო გოლი შევაგდე მალტასა და თურქეთთან - მეტი რა უნდა მექნა? სერბეთთან მიღებული წითელი ბარათის გამო, ესპანეთთან თამაში არ მიწევდა. შეგრტმა დამირეკა და მითხრა - მომდევნო შეხვედრებისთვის მოემზადეო... მაგრამ მას მერე ახალგაზრდულში აღარ გამომიძახეს... იცით, ყველაზე მეტად რა გამიკვირდა? რუსეთთან თბილისში ისტორიული მატჩის წინ შეგრტმა პრესკონფერენციაზე განაცხადა - ტრამების გამო ბევრი ფეხბურთელი გვაკლიაო. გამიკვირდა, ტრავმირებულებში მეც რომ მომიხსენია... ეს კადრები თავად ვნახე ტელევიზიით, გაზეთებშიც ეწერა... არადა, სრულიად ჯანმრთელი ვიყავი... იძულებული გავხდი, მატჩისთვის ტრიბუნიდან მეყურებინა... ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ვიღაცას ხელს არ აძლევდა ახალგაზრდულ ნაკრები ჩემი თამაში.

**- მაინც ვის?**

- ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ცხადია, ასე იყო... მაგრამ რაც მოხდა, მოხდა, ახლა ჩემი მიზანია, ეროვნული ნაკრების ახალი მწვრთნელის ყურადღება დავიმსახურო. რუმინეთის ჩემპიონატში წარმატებული თამაშით ვეცდები, ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობა დავაინტერესო. იმედი მაქვს, ამას შევძლებ და მერე, ვფიქრობ, შანსი მომეცემა. ერთ ამხანაგურ მატჩში მაინც რომ გამომიძახონ, ვეცდები ეს შანსი გამოვიყენო...

**- როდის იწყებთ სეზონის განახლებისთვის მზადებას და რა მიზნები გაქვთ ჩემპიონატში?**

- 9 იანვარს რუმინეთში გავემგზავრები. 10 დღის განმავლობაში იქვე მოვემზადებით, მერე კი თურქეთში წავალთ მოსამზადებელ შეკრებაზე. რაც შეეხება მიზანს, პირველ ათეულს არ უნდა ჩამოვცდეთ. ამჟამად სწორედ მეათე ადგილზე ვართ და იმედი მაქვს, მიზანს მივაღწევთ. ახლა უკვე გუნდთან ერთად გავივლი მოსამზადებელ შეკრებას, სეზონის მეორე ნახევრამდე სრულად აღვიდგენ ფორმას და იმედი მაქვს, წინსვლა მექნება.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ

# მირზა ბჟალავა
# კარიერა შეყვარებულმა გამიფუჭა

თითქმის სამი წელიწადია, მირზა ბჟალავა ავსტრიაში თამაშობს. იგი მეორებუნდესლიგელი „აუსტრია ლუსტენაუს" საკუთრებაა, რამდენიმე თვე მესამებუნდესლიგურ „ბრეგენცშიც" იყო განათხოვრებული. როგორც თბილისში მყოფმა ახალგაზრდა ნახევარმცველმა გვითხრა, მისი ავსტრიული კარიერა დასასრულს უახლოვდება.



- სავარაუდოდ, ექვსი თვის განმავლობაში რომელიმე ქართულ გუნდში ვითამაშებ, ფორმას დავიბრუნებ და ამის შემდეგ შევეცდები საზღვარგარეთ დაბრუნებას.

**- რომელი ქართული კლუბია შენით დაინტერესებული?**

- ზუგდიდის „ბაია". თუ იანვარში რომელიმე უცხოურ კლუბში არ გადავედი, მას დიდი სიამოვნებით დავეხმარები. „ბაია" უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის და ამ მიზნისთვის თამაში ჩემთვის საინტერესოა.

**- კონკრეტულად რომელიმე უცხოური კლუბი ხომ არაა შენით დაინტერესებული?**

- ჯერ არა, მაგრამ მთავარია, ფორმა დროულად აღვიდგინო და დარწმუნებული ვარ, ევროპაში დაბრუნების პრობლემა არ მექნება.

**- ავსტრიაში დაბრუნება გამორიცხულია?**

- არა, პირიქით, იქ დიდი სიამოვნებით დავბრუნდები. ვერ ვიტყვი, რომ ავსტრიის ჩემპიონატი ტოპკლასისაა, არც ფინანსებია ბევრი, მაგრამ მაინც საკმაოდ მაღალი დონის ლიგაა და ფეხბურთელისთვის იდეალური პირობებია შექმნილი. იქ მოთამაშეებს კოლოსალური ანაზღაურება არა აქვთ, მაგრამ ხელფასები და პრემიები მაინც სოლიდურია და რაც მთავარია, თანხები შეუფერხებლად გაიცემა.

**- „ლუსტენაუში" საქმეები რატომ ვერ აგეწყო?**

- თავიდან ყველაფერი შესანიშნავად იყო, ახალ გარემოსაც იოლად შევეგუე და არც სათამაშო პრაქტიკა მაკლდა. მართალია, მესამე ბუნდესლიგაში გამანათხოვრეს, მაგრამ ეს არ იყო ტრაგედია. „ლუსტენაუს" გასულ ზაფხულს დავუბრუნდი და გუნდთან ერთად შეკრებას გავდიოდი. ყველაფერი მას შემდეგ აირია, რაც გაუმართლებელი ნაბიჯი გადავდგი.

**- რას გულისხმობ?**

- თბილისში შეყვარებული მყავდა, რომელიც უსაზღვროდ მიყვარდა და მენატრებოდა. მოულოდნელად, შევიტყვე, რომ მან სხვაზე გამცვალა. ველარ მოვითმინე, შეკრება გაუფრთხილებლად დავტოვე და თბილისში გამოვქანდი. მართალია, სწორად არ მოვიქეცი, მაგრამ მაინც შემიძლია ვთქვა, რომ კარიერა შეყვარებულმა გამიფუჭა. მისი საქციელი რომ არა, „ლუსტენაუს" ძირითად შემადგენლობაშიც დავმკვიდრდებოდი და შესაძლოა, ავსტრიის პირველი ბუნდესლიგის რომელიმე გუნდშიც გადავსულიყავი.

**- შენს თბილისში ჩამოსვლას რა მოჰყვა?**

- ბუნებრივია, მკაცრად დამსაჯეს. „ლუსტენაუს" მთავარმა მწვრთნელმა ედმუნდ შტორმა თქვა, სანამ მე აქ ვარ, ბჟალავას ძირითად გუნდში თამაში აღარ ეღირსებაო. მეც რა უნდა მექნა, მთელი პირველი წრე დუბლებში თამაშით ვკმაყოფილდებოდი.

**- ავსტრიაში უსიამოვნება მანამდეც მოგსვლია. ტრავმას ვგულისხმობ...**

- მართალია. „ლუსტენაუს" ძირითად შემადგენლობაში თავიდანვე დავმკვიდრდი, მაგრამ მერე კოჭი მოვიტეხე და საოპერაციო გავხდი. ამის გამო მთელი რვა თვე გამიცდა. რაც იყო იყო, ფეხბურთის თამაშზე უარის თქმას არ ვაპირებ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, გულშემატკივრებმა ჩემი არსებობა რომ გაიხსენონ. სამწუხაროდ, დიდი ხანია, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში არ გამოვუძახებივარ. მოკლედ, დროა, ძველ კონდიციებს დავუბრუნდე და ყველას დავუმტკიცო, ფეხბურთის თამაში რომ შემიძლია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონი

# დარჩა მხოლოდ ლადო...

ისრაელის ჩემპიონატის მე-15 ტურში თელ ავივის „ჰაპოელი" რამათ განში ადგილობრივ „ჰაპოელს" ეწვია და 3:0 მოუგო. სტუმართა ქართველი ლეგიონერი **ზურაბ მენთეშაშვილი** სათადარიგო იყო, ის თამაშში 76-ე წუთზე ჩაერთო **ავიჰაი იადინის** ნაცვლად. იმ დროისთვის მისი გუნდი უკვე 3:0-ს იგებდა. **ლადო დვალიშვილის** „მაქაბი" კი ჰაიფას დერბიში „ჰაპოელს" დღეს შეხვდება. დვალიშვილის „მაქაბი" 14 თამაშიდან 39 ქულით ერთპიროვნული ლიდერია, ზურაბ მენთეშაშვილის „ჰაპოელი" 33 ქულით მე-2 ადგილზეა.

შაბათს აზერბაიჯანული პრემიერლიგა ზამთრის შესვენებაზე გავიდა. სულ ორი თამაში გაიმართა, ზაქათალაში „სიმურგი" „ნეფთჩის" 0:0 დაუზავდა, ანალოგიური ანგარიშით მორჩა „თურანისა" და „ოლიმპიკის" მატჩიც. მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში სამმა ქართველმა ითამაშა: **თეიმურაზ ღონღაძემ** და **დავით ბოლქვაძემ** - შეუცვლელად, ხოლო **კახაბერ ჩხეტიანი** მატჩის 86-ე წუთზე **რომან ახალკაცმა** შეცვალა. ჩხეტიანის ყვითელს თუ არ ჩავთვლით, ქართველებს თავი არაფრით გამოუჩენიათ. „სიმურგმა" 28 ქულით მე-6 ადგილზე ჩაამთავრა წელიწადი. „ოლიმპიკი" „თურანს" უქართველოდ ეწვია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



კახა ჩხეტიანი (მარცხნივ)

ინტერვიუ

# ლევან ფანიაშვილი
# აქ ბევრი რამ უნდა გაითვალისწინო...

**არაერთხელ მოგვისმენია: ქართველი მსაჯების დონეს მთლიანად ქართულ ფეხბურთს თუ შეადარებთ, დიდ სხვაობას ვერ დაინახავთო; ალბათ, ასეც არის - მით უფრო, რომ ქართულ სამსაჯო სკოლასაც ხომ დიდი ტრადიციები გააჩნია. ჰოდა, წარსულშიც არაერთი, მართლაც მაღალი დონის არბიტრი გვყავდა, საკავშირო თუ საერთაშორისო დონეზე უპრინციპულესი მატჩების გაძღოლას რომ ანდობდნენ. ბოლო წლებში კი ჩვენთან ნომერ პირველი არბიტრი, უდავოდ, ლევან ფანიაშვილი გახლდათ - საქართველოს პროფესიული ლიგის ტრადიციული გამოკითხვის შედეგად ზედიზედ სამი წლის განმავლობაში „საუკეთესო მსაჯის ნომინაციაში" რომ იმარჯვებდა.**

**...ფეხბურთელის მსგავსად, მსაჯის კარიერაც ხანმოკლეა; მით უმეტეს, რომ ასაკობრივი შეზღუდვებიც არსებობს და აი, სულ ახლახან შევიტყვეთ, რომ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ლევან ფანიაშვილმა სამსაჯო კარიერა დაასრულა. აი, კარიერა კი ბევრი ახალგაზრდა არბიტრისათვის მართლა, მისაბაძი ჰქონდა: საქართველოს ჩემპიონატში ცამეტი სეზონის განმავლობაში ორასზე მეტი მატჩი იმსაჯა, და ამ შეხვედრათა უმრავლესობა ისეთი იყო, ჟურნალისტები პრინციპულ დაპირისპირებად რომ ვნათლავთ-ხოლმე; რაღა თქმა უნდა, ყოველივე ეს მის კვალიფიკაციაზე მიუთითებდა და ამის გამო, არც ის ფაქტი იყო შემთხვევით, საქართველოს თასის ფინალისა და სუპერთასის გაძღოლა ორ-ორჯერ რომ მიანდეს. ქართველმა არბიტრმა უფრო მაღალ დონეზეც გამოიჩინა თავი: საერთაშორისო ასპარეზზე, სანაკრებო იქნებოდა თუ საკლუბოზე, ორმოცდაათამდე მატჩი იმსაჯა და მუდამ მაღალ შეფასებებსაც იმსახურებდა.**

**...აქტიური სამსაჯო კარიერა კი დაასრულა, თუმცა კვლავაც ფეხბურთის სამსახურში დარჩენას აპირებს; ლევან ფანიაშვილს გუშინ შევხვდით და სამომავლო გეგმების გარდა, რაღა თქმა უნდა, განვლილ კარიერაზეც ვესაუბრეთ...**

**- მსაჯობას თავი რატომ დაანებეთ?**

- ჩვენთან მსაჯობა 45 წლამდე შეიძლება, მე კი 43 წლის ვარ. როგორც ამჩნევთ, ასაკი არაფერ შუაშია, უბრალოდ, შარშანდელმა ავტოსაგზაო შემთხვევამ ჩემს ჯანმრთელობაზე ცუდად იმოქმედა.

**- მკურნალობის შემდეგაც ისევ ხომ მსაჯობდით?**

- ფეხბურთელი რომ მძიმე ტრავმას მიიღებს და მერე დაუბრუნდება მწვანე მინდორს, გარკვეული პერიოდი ძველ დონეზე ხომ ვერ თამაშობს? ასეა, მსაჯობის შემთხვევაშიც. ორი თვე ლოგინში გავატარე, ოთხი თვე, ფაქტობრივად, სიარულს „ვსწავლობდი" და მხოლოდ წლევანდელი წლის მაისში დავიწყე მსაჯობა. ამ სეზონშიც რამდენიმე მატჩი ვიმსაჯე - ჩვენთანაც და უცხოეთშიც, კერძოდ, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრა ბულგარულ „ლევსკისა" და ანდორის „სანტა ჯულიას" შორის.

**- ანუ, როგორც იტყვიან, ფორმაში შეხვედით და მერე დაანებეთ თავი მსაჯობას?**

- რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილების მიღება იოლი არ იყო; თუმცა, ვიმეორებ, რომ იმ ავტოსაგზაო შემთხვევამ მაინც სერიოზული კვალი დატოვა. ამას წლების განმავლობაში დაგროვილი ფსიქოლოგიური, მორალური და ფიზიკური გადაღლილობაც დაემატა და ასე გადავწყვიტე. ეს ყველაფერი სექტემბრის ბოლოს მოხდა, არადა, სწორედ იმ დროს იგზავნებოდა უეფაში საქართველოდან წარსადგენ მსაჯთა სია. ფაქტობრივად, შესაძლოა, ისე მომხდარიყო, რომ ჩემ გამო საქართველოს ერთი მსაჯის ადგილი დაკარგვოდა - 2010 წლისთვის ვიქნებოდი კი მზად საერთაშორისო მატჩებისთვის?

**- სანამ სამომავლო გეგმებზე ვისაუბრებდეთ, რამდენიმე სიტყვით თქვენი სამსაჯო კარიერა გავიხსენოთ. საერთოდაც, მსაჯობასაც, ალბათ, მამის ფაქტორის გათვალისწინებით აირჩევდით - თემურ ფანიაშვილი წარსულში ცნობილი არბიტრი იყო.**

- მამა, თავის დროზე, საკავშირო პირველ ლიგაში მსაჯობდა, მაგრამ 30 წლის ასაკში დაანება თავი. რაღა თქმა უნდა, მამის ფაქტორის გამო ფეხბურთთან „შეხება" ბავშვობიდანვე მქონდა. თუმცა, მსაჯობა სრულიად შემთხვევით დავიწყე: მამას მეგობარმა და იმდროისათვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით კვინიკაძემ მირჩია ამ საქმისთვის მომეკიდა ხელი. ელგუჯა სილაგავაც გვერდში დამიდგა და ფაქტობრივად, ნულიდან დავიწყე.

**- არადა, ასაკით პატარა ნამდვილად არ გეთქმოდათ...**

- გეთანხმებით - 29 წლის ვიყავი; ეს ახლაა, ჩვენთან კი არა, მთელ ევროპაში მსაჯების გაახალგაზრდავების ტენდენცია რომ წამოვიდა - 17-18 წლის ასაკიდან იწყებენ უკვე. პირველ ყოვლისა, ფეხბურთის წესები შევისწავლე, ვცდილობდი, ნებისმიერ ნიუანსში გავრკვეულიყავი. თუმცა, თეორია ერთია და პრაქტიკა კი - მეორე.

**- პირველი მატჩი თუ გახსოვთ?**

- თარიღს ვერ ვიხსენებ, ის კი მახსოვს, რომ მცხეთაში ტარდებოდა მატჩი და გვერდითი მსაჯი ვიყავი - მალხაზ კობიაშვილს ვეხმარებოდი. ვაღიარებ, რომ ძალიან გამიჭირდა - სად დავრბოდი, არც კი ვიცოდი, თან, თვალებიც „ამიჭრელდა". თუმცა, ის ფაქტი მამშვიდებდა, რომ უკან ელგუჯა სილაგავა მედგა და მამშვიდებდა.

**- უშუალოდ მთავარი არბიტრის რანგში პირველი მატჩი როდის იმსაჯეთ?**

- თუ არ ვცდები, 1997 წელი იყო, ავჭალაში, „სინათლის" სტადიონზე „მერანი-91" და რუსთავის „მეტალურგი" ხვდებოდნენ ერთმანეთს. ნორმალურად ჩაიარა ყველაფერმა - ყოველ შემთხვევაში, პრეტენზია არავისგან მომისმენია. ისე, თავიდან, გვერდითი მსაჯიც ვიყავი ხოლმე და სხვათა შორის, მომავალში ეს გამომადგა.



**- ყველაზე რთული სად იყო მსაჯობა?**

- ადვილი არსად არ იყო, განსაკუთრებით - რაიონებში; თუმცა, მე განსაკუთრებული პრობლემა არსად მქონია. ყველა მატჩის წინ საგანგებოდ ვემზადებოდი, ვიცოდი, ვისთან რა ფორმით უნდა გამომეხატა საკუთარი დამოკიდებულება; ჰო, ასე იყო - ზოგს, შესაძლოა, მკაცრად მიუთითო, მეორესთან ყვითელი ბარათის ჩვენებაა აუცილებელი. ყოველ შემთხვევაში ამ 13 წლის განმავლობაში არც ერთ მწვრთნელთან თუ ფეხბურთელთან პრობლემა არ შემქმნია.

**- ისეთი შეცდომა თუ გახსენდებათ, მატჩის შედეგზე რომ უმოქმედია?**

- მსაჯობა ახალი დაწყებული მქონდა, როცა საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში ფეხბურთელის მიერ... ხელით გატანილი გოლი ჩავთვალე; სამწუხაროდ, არასწორი პოზიცია მეკავა და იმ ეპიზოდში კარგად ვერ გავერკვიე; თანაც, გოლის ავტორმაც ყველაფერი „ოსტატურად" შეასრულა.

**- ერთი მატჩიც ჩვენ გვინდა გაგახსენოთ: „ლოკომოტივისა" და „ზესტაფონის" ფინალს ვგულისხმობთ; ბევრის აზრით, ზესტაფონის კარში გატანილი პირველი გოლი „თამაშგარედან" იყო...**

- ჯერ ერთი, მე ვენდე თანამსაჯს, ვინც თამაშგარე დააფიქსირა; ანუ, ჩემი ასისტენტის კომპეტენციაში ეჭვი არ შემპარვია და ყველაფერი ეს მატჩის მერე ვიდეოფირზე ნახვითაც დადასტურდა.

**- არც ისეთი შემთხვევები გქონიათ, ვთქვათ, ფეხბურთელი სულ ტყუილუბრალოდ გაგიძევებიათ?**

- ასეთი - არა, მაგრამ პირიქით კი, ბევრი ყოფილა; ანუ, გასაძევებელი იყო, მაგრამ... ეს ხომ საქართველოა, აქ ბევრი რამ უნდა გაითვალისწინო; ხანდახან შეიძლება სიტყვიერად გააფრთხილო და ამით შემოიფარგლო და რაც მთავარია, თამაშიც არ უნდა „გააფუჭო".

**- ახლა პოზიტივზეც ვთქვათ: სამსაჯო კარიერის განმავლობაში რომელ ქართველ ფეხბურთელებს გამოარჩევდით მოედანზე სანიმუშო ქცევით?**

- საერთოდ, გავრცელებული აზრია, მეკარეები ყველაზე ფიცხები არიან და მსაჯებთანაც მუდამ პრობლემები აქვთო; აი, მე კი საპირისპირო მაგალითი მინდა მოვიყვანო - ზურაბ ბათიაშვილისა და ზვიად სტურუასგან ერთ ხმამაღალ სიტყვას ვერ გაიგონებდით. იმავეს ვიტყოდი კახა გოგიჩაიშვილზე, ვიტალი დარასელიაზე, გია ნემსაძეზე.

**- უცხოეთში ბევრად უფრო ადვილია მსაჯობა?**

- ასე ხელაღებით მაგას ვერ დავამტკიცებ; უბრალოდ, ხომ გითხარით, ჩვენთან „რაღაც-რაღაცებს" ითვალისწინებ, აქ უფრო მაღალი „დუღილის ტემპერატურაა", ოღონდ ეს ყველაფერი, რაღა თქმა უნდა, ობიექტურობას არ უნდა გასცდეს. უცხოეთს რაც შეეხება, სანაკრებო დონეზე, ალბათ, ორმოცამდე მატჩი მიმსაჯია, მათ შორის, შესარჩევი ეტაპებისაც.

აი, ევროტურნირებზე კი, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისა და უეფას თასის ჯგუფური ეტაპის ასევე არაერთი შეხვედრა მაქვს ნამსაჯი. ფაქტობრივად, პირველ კატეგორიას მივუახლოვდი, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მსაჯობის უფლებას რომ მაძლევდა, მაგრამ, სამწუხაროდ, კარიერის დასრულება მომიხდა.

**- კოლეგებში გამორჩეულად ვის მიიჩნევთ?**

- ქართველებში მალხაზ კობიაშვილს. არ მინახავს, მაგრამ გადმოცემით ვიცი, რომ კარლო ყრუაშვილი ძალიან მაღალი დონის მსაჯი იყო. უცხოელებში, კოლინასა და ვოტროს დავასახელებ - მსაჯობა სულ სხვა, მაღალ დონეზე რომ აიყვანეს. თანამედროვე მსაჯებში კი შვეიცარიელი ბუსაკა მიმაჩნია საუკეთესოდ.

**- მოდი, ისიც ვთქვათ, ამ ბოლო დროს სამსაჯო ლაფსუსები ასე შესამჩნევი რომ გახდა; ბევრ მაგალითს არ მოვიყვანთ: საფრანგეთი-ირლანდიისა და „ჩელსი"-"ბარსელონას" შეხვედრებს გავიხსენებთ...**

- საფრანგეთ-ირლანდიის მატჩის იმ ეპიზოდში, ტიერი ანრიმ ხელით რომ ითამაშა, მთავარ მსაჯსა და ლაინსმენსაც ისეთი პოზიცია ეკავათ, რომ წესების დარღვევას ვერ დაინახავდნენ. ანუ, ირლანდიელებს ერთადერთი მხოლოდ ის თუ დაეხმარებოდათ, კარებს უკანაც რომ დამხმარე მსაჯები ყოფილიყვნენ. მოგეხსენებათ, რომ ევროპის ლიგის ამ გათამაშებაში ექსპერიმენტი ტარდება - სამის გარდა კიდევ ორი დამხმარე მსაჯია, მეტოქეთა კარს უკან რომ დგანან და ძირითადად საჯარიმოში მომხდარ მოვლენებს აკვირდებიან.

**- მერე, როგორ ფიქრობთ, გაუმართლებელი ექსპერიმენტია?**

- გაუმართლებელი არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ... მთავარი მსაჯისა და გვერდითი მსაჯის ფუნქციები იზღუდება. აი, თუნდაც ვიდეოგამეორებების გამოყენებას რომ ითხოვენ, არც ამ ნოვაციას ჰყავს ბევრი მომხრე. სხვათა შორის, საფრანგეთი-ირლანდიის მატჩის არბიტრი, შვედი ჰანსონი დღესაც მსაჯობს, ისევე როგორც ნორვეგიელი ოვრებო, ვინც „ჩელსი"-"ბარსელონას" ნახევარფინალურ მატჩში, ბევრის აზრით, საშინელი შეცდომები დაუშვა. ამ დროს კი, რომ იცოდეთ, უეფაში განსხვავებული აზრი აქვთ ამ მსაჯის ქმედებაზე... დაბოლოს, იმასაც ვიტყოდი, რომ თანამედროვე ფეხბურთში სისწრაფე არანორმალურად გაიზარდა და მსაჯებისგანაც ადეკვატური ქმედებებია საჭირო. აი, ამიტომაც არის, უეფამ არბიტრების გაახალგაზრდავების ტენდენცია რომ დაიწყო.

**- აქტიური სამსაჯო კარიერა დაასრულეთ; ახლა, რას აპირებთ?**

- იქ, უეფაში იცოდნენ ჩემი ტრავმის შესახებ და როცა საკუთარი გადაწყვეტილება ვაცნობე, შემომთავაზეს სამსაჯო კონვენციის პროცესში ჩავრთულიყავი. ერთობ საჭირო და სასარგებლო პროექტია, მსაჯის როლის წინა პლანზე წამოწევას რომ ემსახურება. ფაქტობრივად, ეს არის პროგრამა, საფეხბურთო ფედერაციებს სამსაჯო სტრუქტურების ჩამოყალიბებებში რომ დაეხმარება; ამას გარდა, ითვალისწინებს სასწავლო პროგრამებს, ინსპექტორებისა თუ ინსტრუქტორებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს და ასე შემდეგ.

**- ეს როგორ უნდა გავიგოთ: როგორც მწვრთნელებს სჭირდებათ ლიცენზია, მსაჯებსა და ინსპექტორ-ინსტრუქტორებშიც ასე უნდა იყოს?**

- არა, მთლად მასე საქმე არ არის; ეს პროგრამა ფედერაციებისათვის ჯერჯერობით, ნებაყოფლობითია და ამას გარდა, თითოეული ფედერაცია ბონუსის სახით უეფადან გარკვეულ თანხასაც მიიღებს. თუმცა, ნუ გამოვრიცხავთ იმასაც, ეს ყველაფერი სავალდებულო გახდეს და ისე არ მოგვივიდეს, რომ ჩვენს მსაჯებს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის შემთხვევაში დაბრკოლებაც შეექმნას.

**- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები თუ არიან საქმის კურსში?**

- ყოველ შემთხვევაში, წინა ხელმძღვანელობა საქმის კურსში იყო - რევაზ არველაძისგან სრული მხარდაჭერა მივიღე. იმ კონვენციაში ამ ეტაპზე 25 ქვეყანაა გაწევრიანებული და კიდევ ვიმეორებ, მალე, შესაძლოა, ყველასათვის სავალდებულო გახდეს.

გია ტუხაშვილი

ტრანსფერები



ზაქარია ბეგლარიშვილი

## ზაქარია და ფლორა

იმედია, ზაქარია ბეგლარიშვილის აქეთ-იქით სიარულსა და წვალებას წერტილი დაესვა. საფეხბურთო აკადემია „ოლიმპის" გაზრდილი და ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ბოლო ორი წლის განმავლობაში ცდილობდა უცხოეთში წასვლას, მაგრამ ყველგან პრობლემები ექმნებოდა - ამსტერდამის „აიაქსში" - არაევროკავშირელი ხარო, უთხრეს; „ტვენტე" იყო და, ეს გუნდი ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო დატოვა; რუსთავის „ოლიმპის" ძირითადში თამაშს ვერ შეჰპირდნენ და ბოლოს თბილისის „ლოკომოტივის" დუბლშემადგენლობაში, **პაატა მეტრეველთან** ვარჯიშობდა.

ნოემბრის დასაწყისში ზაქარია ესტონეთში გაემგზავრა, სადაც იქაური ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ ტალინის „ფლორაში" გასინჯეს. მას შემდეგ, ბეგლარიშვილი ამ კლუბისგან პასუხს ელოდა. და აი, პასუხიც:

*„როგორც მითხრეს, კლუბი ჩემი აყვანით დაინტერესდა და შეკრებაზე უნდა წამიყვანონ. მართალია, ჯერ კონტრაქტი არ გამიფორმებია, მაგრამ მენეჯერმა დამაიმედა, რომ კლუბში მოწონება დავიმსახურე და ამიყვანენ. ესტონელებს ისეთი კარგი სავარჯიშო პირობები აქვთ, იქ გადასვლა ძალიან გამიხარდება",* - გვითხრა გუშინ ბეგლარიშვილმა.

ტალინის „ფლორაში" ბეგლარიშვილი მეორე ქართველი ფეხბურთელი იქნება - ზაფხულში იქ 18 წლის ცენტრალური მცველი **ერეკლე ახალბედაშვილი** ჩაირიცხა და ევროთასებზე კლუბის ფორმა მოირგო კიდეც.

მერაბ მამულაშვილი

## სომხიშვილი ზუგდიდში ბრუნდება

მეკარე გიორგი სომხიშვილმა თბილისის „დინამო" დატოვა. 29 წლის გოლკიპერი გუნდში წელს გადავიდა, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა და საჩხერის „ჩიხურასთან" სათასო მატჩის შემდეგ კლუბიდან წასვლა გადაწყვიტა.

როგორც გავიგეთ, გიორგი კარიერას ზუგდიდის „ბაიაში" გააგრძელებს. ის ამ ქალაქის გუნდში (ოღონდ, „მგლებში") გასულ სეზონშიც თამაშობდა და ისეთი სეზონი ჩაატარა, თვით თბილისის „დინამოც"დააინტერესა.

*„ბაიას" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა სოსო ჭედიამ ზუგდიდში გადასვლა შემომთავაზა და სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან ამბიციური კლუბის ჩამოყალიბება სურთ. მეც სწორედ ასეთ გუნდში თამაში მიზიდავს",* - ამბობს სომხიშვილი.

ჩვენი ინფორმაციით, ჭედიამ „ბაიაში" თამაში კიდევ ერთ გამოცდილ ფეხბურთელს, ცხინვალის „სპარტაკიდან" წასულ **პავლე დათუნაიშვილსაც** შესთავაზა, რომელსაც არჩევანის გაკეთება „ოლიმპსა" თუ „ბაიას" შორის მოუწევს. არ არის გამორიცხული, სომხეთიდან დაბრუნებული **ზაზა სახოკიას** დამატებაც. „ვიტ ჯორჯიას" ყოფილი თავდამსხმელი სამეზობლოში ორი წლის წინ წავიდა და მას შემდეგ ორჯერ სცადა დაბრუნება, თუმცა ვერც „გაგრაში" დარჩა და ვერც „ოლიმპში". მიუხედავად ამისა, სახოკია საკმაოდ ძლიერი თავდამსხმელია და თუ ფორმაში შევიდა, ზუგდიდელებს აუცილებლად გამოადგება.

ჭედიამ ცენტრალური მცველის, **გიორგი კვესიეშვილის** გადაბირებაც გადაწყვიტა. გიორგიმ „სამტრედიაში" ძალიან კარგი პირველი ეტაპი ჩაატარა და მისით დაინტერესებაც სრულიად ბუნებრივია.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

## გამეზარდაშვილი პასუხს ელის

ამ ცოტა ხნის წინ გაცნობეთ, ლატვიური „სკონტოს" მცველი **დავით გამეზარდაშვილი** ბელგიურ გრანდ „ანდერლეხტში" სინჯებზე რომ იყო. გამეზარდაშვილი, რომელიც 2009 წლის სეზონში ლატვიური ვირსლიგის საუკეთესო მცველად დაასახელეს, სამშობლოში დაბრუნდა. როგორც გავიგეთ, მის ტრანსფერზე, ფიფას ლიცენზირებული აგენტი **მიხეილ ძოძუაშვილი** უცხოელ კოლეგებთან ერთად მუშაობს. ევროპაში საშობაო არდადეგები დაიწყო და ბელგიელებმა დათო შინ გამოისტუმრეს, გამომგზავრებამდე კი უთხრეს - პასუხს იანვრის დასაწყისში გეტყვითო. ძოძუაშვილის თქმით, „ანდერლეხტის" გარდა, გამეზარდაშვილს სხვა ვარიანტებიც აქვს, კერძოდ, რუსული, უკრაინული... იმავე ბელგიიდან, ასევე, ჰოლანდიიდან.

ცნობისთვის, დავითს „სკონტოსთან" კონტრაქტის ვადა უკვე ამოეწურა. რიგელებს მისი შენარჩუნება კი სურთ, მაგრამ თავად ფეხბურთელს უკეთეს ლიგაში თამაში აქვს მიზნად. გამეზარდაშვილს სჯერა, რომ უფრო ძლიერ ლიგაში გადავა, თუ არა და, „სკონტო" ბოლო ვარიანტია...

დავით **ცაბაძე**

## გოცირიძემ ფეთაჰ-თიკვაში ითამაშა

ფორვარდი **რევაზ გოცირიძე**, რომელმაც სეზონის პირველი ნახევარი ცხინვალის „სპარტაკში" ჩაამთავრა, სინჯებზე ისრაელში იმყოფება, კერძოდ, ფეთაჰ-თიკვას „ჰაპოელში". როგორც ფეხბურთელის ახლობლებისგან შევიტყვეთ, ჩასვლისთანავე რეზოს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს და გუნდთან ერთად ორი დღე ვარჯიშობდა კიდეც, მესამე დღეს კი ჩვენებურმა ფორვარდმა „ტოტოს თასზეც" (კომერციული გათამაშება) ითამაშა. გოცირიძის გუნდი **ლადო დვალიშვილის** ჰაიფას „მაქაბისთან" 2:1 დამარცხდა. ეს შეხვედრა ქართული დერბი იყო, რომელშიც გამარჯვების გოლი დვალიშვილმა გაიტანა. გოცირიძის თამაშით ფეთაჰთიკველები კმაყოფილნი დარჩენილან. გოცირიძე თბილისში ამ დღეებში დაბრუნდება. წესით მისი ტრანსფერის საკითხი ახალ წლამდე უნდა გადაწყდეს.

რაც შეეხება ფეთაჰ-თიკვას „ჰაპოელს", ებრაულ ლიგაში ეს გუნდი 14 ტურის შემდეგ 11 ქულით მე-12 ადგილზეა. გუნდის მთავარი მწვრთნელი ადგილობრივი სპეციალისტი **ფრედი დევიდია.**

დავით **ცაბაძე**

ინტერვიუ

# ვაჟა თარხნიშვილი
# ევროპაში ყველამ უნდა გაგვიცნოს


ვაჟა თარხნიშვილი

**ტირასპოლის „შერიფის" ოფიციალურმა ვებგვერდმა გუნდის ქართველ კაპიტან ვაჟა თარხნიშვილს ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც 38 წლის უბერებელი მცველი განვლილ წელიწადს აფასებს და კლუბის სამომავლო გეგმებზე საუბრობს. ინტერვიუს მცირე შემოკლებით გთავაზობთ.**

**- ეს წელი „შერიფისთვის" მოვლენებით მეტად დატვირთული იყო. ყველაზე მნიშვნელოვნად რომელი მომენტები მიგაჩნიათ?**

- 2009 წელი ჩვენი გუნდისთვის წარმატებული გამოდგა. მოვიგეთ თანამეგობრობის თასი, გავხდით მოლდოვის ჩემპიონები, დავეუფლეთ ქვეყნის თასს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, რაღა თქმა უნდა, ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლა იყო. ცუდი კი ისაა, რომ მერვედფინალში გასვლა ვერ შევძელით და წელიწადს ცუდი განწყობით ვასრულებთ.

**- ადრე თუ წარმოიდგენდით, რომ თანამეგობრობის თასს კაპიტნის რანგში ორჯერ მოიპოვებდით?**

- ეს ჩემი ოცნება იყო და მისი ახდენით უბედნიერესი ვარ. საკმაოდ ძლიერ გუნდებს ვაჯობეთ და თანამეგობრობის თასი ტირასპოლში დავაბრუნეთ, რაც მთელმა მოლდოვამ იზეიმა.

**- ...და ევროპულ წარმატებას თუ ელოდით?**

- ევროტურნირებზე ასე შორს არასოდეს წავსულვართ, არადა, ამის შანსი ადრეც არაერთხელ გვქონია. დრო იყო, ნავსი გატეხილიყო და საბედნიეროდ, წელს ეს შევძელით. ძალიან სასიამოვნო იყო, ევროპაში თამაშის სიამოვნება წლის ბოლომდე რომ გავიხანგრძლივეთ. „შერიფის" შესაძლებლობებში ეჭვი არასოდეს შემპარვია და აქ დღემდე ამიტომაც ვთამაშობ.

**- ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე „შერიფს" ერთი ნაბიჯი დააკლდა. ამან ძალიან დაგწყვიტათ გული თუ ევროპის ლიგაზე ავტომატურად მოხვედრამ დაგამშვიდათ?**

- რაღა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგა უფრო ძლიერი და პრესტიჟული ტურნირია, მაგრამ ევროპის ლიგაზე ასპარეზობაც შესანიშნავი იყო. საკმაოდ ძლიერი მეტოქეები გვყავდა, რომლებთან ბრძოლამაც დაგვანახვა, რომ კონკურენტუნარიანი გუნდი გვყავს.

**- „შერიფის" წლევანდელ თამაშს 5-ბალიანი შკალით 5-იანზე შეაფასებთ?**

- ვერა, რადგან ჩვენი მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოხვედრა იყო, რასაც სამწუხაროდ, ვერ მივაღწიეთ. „შერიფი" ყოველთვის მაქსიმალური ამოცანებისთვის იბრძვის. ევროპის ლიგის მერვედფინალში რომ გავსულიყავით, წლევანდელი მიზანი მიღწეული იქნებოდა, ახლა კი არ ვიცი, რა ნიშანი გვეკუთვნის. მაქსიმალური ქულა ნამდვილად არ დაგვიმსახურებია.

**- მომავალ წელს რა ამოცანები გექნებათ?**

- ბევრი ვიშრომეთ და იმ სიმაღლეს მივაღწიეთ, რომლის ქვემოთ დაშვების უფლებაც არ გვაქვს. განვითარება და პროგრესი არ უნდა შევწყვიტოთ. მოლდოვაშიც პირველები უნდა ვიყოთ და ევროპაშიც ყველამ უნდა გაგვიცნოს. „შერიფის" სახელი უკვე ბევრმა გაიგო, მეტოქეები პატივისცემით გვეპყრობიან და მომავალ წელს უნდა დავამტკიცოთ, რომ მეტის მიღწევაც შეგვიძლია. ჩვენი გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ძლიერ ევროპელ მეტოქეებთან დაპირისპირებით უდიდესი გამოცდილება შეიძინეს, რაც გაისად აუცილებლად გამოადგებათ.

**- რას უსურვებთ საახალწლოდ „შერიფის" გულშემატკივრებს?**

- ჩვენს ერთგულ ქომაგებს ვულოცავ ამ დღესასწაულს და ჯანმრთელობას, წარმატებასა და ოჯახურ ბედნიერებას ვუსურვებ. წელს ისინი ბევრჯერ გავახარეთ და გვინდა, მომავალ წელს კიდევ უფრო ხშირად ვაჩუქოთ ის სიხარული, მოგებული თამაშების შემდეგ რომ ეუფლებათ ხოლმე.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

ბაია



## ჭედია უკვე კონსულტანტია

რამდენიმე დღის წინ **სოსო ჭედიას** ზუგდიდის „ბაიაში" დანიშვნის ინფორმაცია გავრცელდა. მართალია, ამ თემაზე კომენტარისგან მწვრთნელიცა და კლუბიც თავს იკავებდნენ, მაგრამ უკვე ნათელი იყო, რომ ასეც მოხდებოდა.

ჭედია მხოლოდ მას შემდეგ გაგვესაუბრა, როცა ყველაფერი ოფიციალურად გაფორმდა. „კლუბთან მოლაპარაკებას რამდენიმე დღის განმავლობაში ვაწარმოებდი და საბოლოოდ, თანამშრომლობაზე შევთანხმდით. მოგეხსენებათ, ეროვნულ ნაკრებში ვმუშაობ და ამიტომაც არ იქნებოდა მიზანშეწონილი, „ბაიაში" მთავარი მწვრთნელი ვყოფილიყავი. იქ კონსულტანტის თანამდებობაზე ვიმუშავებ, გუნდის მთავარი მწვრთნელი კი ელგუჯა ქომეთიანი იქნება. კლუბის ხელმძღვანელობას დიდი გეგმები აქვს და მსურს, ამ საქმეში საკუთარი წვლილი შევიტანო", - გვითხრა ჭედიამ.

შეგახსენებთ, სეზონის პირველი ნახევრის განმავლობაში „ბაიას" წვრთნიდა **ბესიკ შეროზია**, რომელმაც ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებისთანავე პირველ ლიგის ბინადარ ფოთის „კოლხეთს" მიაშურა.

**ლევან ჯანეზაშვილი**


# ხომ გიყვართ კითხვა?

ჩაერთეთ აქციაში 31 დეკემბრამდე
## „ჩვენ გჩუქნით წიგნებს!"

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და მედია სახლ „პალიტრის" კიდევ 1 გამოცემა, აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L"-ის 3 ბესტსელერიდან ერთ-ერთი:

„დედამიწა"

„ცხოველები"

„მსოფლიოს დიდი ატლასი"

ავტომატურად თქვენ ხდებით „დიდი მხატვრების" სერიის ხელმომწერი







მედია სახლ „პალიტრის" გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2.00 | 52 | 104.00 |
| ყველა სიახლე | 1.00 | 52 | 52.00 |
| გზა | 1.00 | 52 | 52.00 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.60 | 52 | 31.20 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.60 | 312 | 187.20 |
| ათიანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

www.elva.ge

☎ 38 26 73; 38 26 74;

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში. წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი"-ს
საბითუმო ვაჭრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

# ასე დაიწყო დიდბოქსობა

ფაბრეგასმა ასტონ ვილასთან დუბლი მიითვალა



**მოდი**, „ბოქსინგ დღეებზე“ ლაპარაკი „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმიდან“ დავიწყოთ, სადაც ახალი მწვრთნელის, **რობერტო მანჩინის** ხელმძღვანელობით „მანჩესტერ სიტიმ“ პირველივე თამაში მოიგო. ისტლენდელებმა მღელვარებითა და ჭორებით სავსე ერთი კვირის შემდეგ „სტოკ სიტის“ უმასპინძლეს. „სიტიმ“ 2:0 მოიგო და ორივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანა. ჯერ იყო და, **მარტინ პეტროვმა** შეაგდო, შემდეგ კი **კარლოს ტევესმა** დაამატა. თუმცა, ნუ იფიქრებთ, რომ ამ შეხვედრაში მოვლენები მარტო სტოკიდან ჩამოსულ სტუმართა საჯარიმოსთან ვითარდებოდა. ჯერ კიდევ 0:0 იყო, როდესაც **შეი გივენმა თუნჯაის** დარტყმულს საუცხოოდ უხელთა, შემდეგ კი **ჯეიმს ბიტის** არ გაატანინა. ამგვარად, მანჩინი კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტას შეუდგა: ამ სეზონში მეოთხე ადგილი, მომდევნოში - ჩემპიონობა.

საინტერესოა, რომ ისტლენდელთა პირველი გოლი იმ ფეხბურთელების მეცადინეობის შედეგია, რომელთაც ამ სეზონში მოედანზე ხეირიანად არც გაურბენიათ: **რობინიოსა** და პეტროვზე მოგახსენებთ. სხვა საქმეა, რომ რობინიოს საგოლე პასი სრული შემთხვევითობა იყო, რადგან ტევესისგან ბურთი რომ მიილო, ბრაზილიელმა კარში დარტყმა გადაწყვიტა, მაგრამ პეტროვისთვის პასის მიწოდება გამოუვიდა. ორიოდ სიტყვა პეტროვზე: ბულგარელმა ოთხკაციან ნახევარდაცვაში მარცხენა ფრთაზე დაიწყო, შემდეგ კი მარჯვნივ გადაინაცვლა, მაგრამ იქ შეცდომები დაუშვა და მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ამ მოთამაშისთვის ორივე ფლანგის ნდობა (ჯერჯერობით მაინც), არ შეიძლება. მეორე გოლი პირველი ტაიმის წამატებულ წუთებში ტევესმა თავურით შეაგდო - პასი გარეთ ბერიმ მიაწოდა.

მოგეხსენებათ, გასულ კვირაში გაზეთები **კრეიგ ბელამის** „აჯანყებასა“ და რობერტო მანჩინისთან მის კონფლიქტზე წერდნენ. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მწვრთნელმა „იტალიურად“ უპასუხა: *„ბელამი ჩემი მეგობარია. ჩვენ შორის პრობლემა არ არის. მე მას ორი დღის წინ ველაპარაკე და ვუთხარი, რომ სასტარტო შემადგენლობაში არ მეყოლებოდა. მან გამიგო. კრეიგს, ალბათ, ორშაბათს, „ვულვზთან“ ვათამაშებ“.*

„სიტის“ შემდეგ, მოდი, „ლივერპულის“ გამარჯვებაზე ვთქვათ. გაჩნდა მოსაზრება, რომ არა „ვულვზის“ ფეხბურთელის, **სტივენ უორდის** 53-ე წუთზე გაძევება, მერსისაიდელები ორგანიზებულ სტუმრებს ვერაფერს დააკლებდნენ. თავად ამ გაძევებას კი, ზოგიერთმა ტაბლოიდმა სასაცილო უწოდა - უყვართ ინგლისში მწარესიტყვაობა. ვინაიდან ინგლისური ფეხბურთის ქომაგს მატჩი ტელევიზიით, სავარაუდოდ, ნანახი აქვს, ეპიზოდის დეტალურ აღწერას აღარ შევუდგებით. ვიტყვით მოკლედ, რომ უორდი 48-ე წუთზე **იოსი ბენაიუნს** შეეტაკა, რისთვისაც ყვითელი ბარათი მიიღო, სამი წუთის შემდეგ კი მან **ლუკასიც** წააქცია. ვერ გეტყვით, რა მოისმინა მსაჯმა **ანდრი მარინერმა** თანამსაჯისგან ყურსასმენებში, მაგრამ, რომ გავარდა და სულ სხვა მოთამაშე, **კრისტოფ ბერა** დასაჯა, ფაქტია. ამის დანახვაზე მერსისაიდელები გაცხარდნენ, არბიტრს შემოეხვივნენ - **პეპე რეინამ** მთელი მოედანიც კი გადაირბინა - და შეცდომა გამოასწორებინეს. უორდმა მეორე ყვითელი ბარათის წყალობით მოედანი დატოვა და, როგორც გაირკვა, ამ ეპიზოდმა თამაშის შედეგიც განაპირობა: სწორედ კაცნაკლულ „ვულვზს“ გაუტანა „ლივერპულმა“ ორი გოლი. მატჩის შემდეგ სტუმართა თავკაცმა, ირლანდიელმა **მიკ მაკარტიმ** თქვა, რომ უორდი გასაგდები არ იყო: *„გასახდელში რომ შემოვბრუნდი, ჩანაწერი ვნახე და ვფიქრობ, ჩვენი ფეხბურთელი გასაგდები არ იყო. მეეჭვება, უორდს ლივერპულელი წაექცია. ვფიქრობ, ვინაიდან მსაჯმა თავიდანვე ყვითელი ბარათის აფრიალება გადაწყვიტა, მერე აღარ გადათქვა, თორემ, გიმეორებთ, უორდს ლუკასი არ წაუქცევია“.*

„წითლების“ თავკაცმა **რაფა ბენიტესმა** კი მოკლედ და გასაგებად გა[illegible]ხატა თავისი პოზიცია: *„უორდი, რასაკვირველია, გასაძევებელი იყო. ჩვენი გამარჯვებისთვის კი პირველი გოლი გახლდათ ძალიან მნიშვნელოვანი“.*

ხოლო პირველი გოლი ლივერპულელთა ლიდერმა **სტივენ ჯერარდმა** გაიტანა. მარცხენა ფრთიდან **ემილიანო ინსუამ** იყოჩაღა და კაპიტანს ბურთი თავურისთვის აუწია, მან კი ნახტომში **ნენად მილიაშს** აჯობა და ბურთი კარში შეაგდო. მეორე გოლი კი ბენაიუნისა გახლდათ. ისრაელის ნაკრების ნახევარმცველმა ბურთი საჯარიმოში მიიღო, მცველი ტექნიკურად მოიცილა და მარცხენა ფეხით ბურთი კარში შეჭედა.

აი, ახლა კი ბირმინგემში ჩავიდეთ და, თუ გნებავთ, გავოცდეთ, რატომ ვერ მოუგო პრემიერლიგის ლიდერმა „ჩელსიმ“ თავისი ქალაქის სეხნია გუნდს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ბირმინგემი“ ამ ბოლო დროს ჩინებულად თამაშობს, გაკვირვების მიზეზიც არ დაგვრჩება. მეტიც, „სენტ ენდრიუს“ სტადიონზე **კრისტიან ბენიტესმა** გოლიც გაუტანა ლონდონელებს, მაგრამ თანამსაჯმა თამაშგარე აუწია. იყო კი თამაშგარე? დაშავებული **დიდიე დროგბა** ხომ ისეთ ადგილას იწვა, რომ ბენიტესს თითქოს პრობლემა არ უნდა ჰქონოდა.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ლონდონელებს ბედმაც არ გაუღიმათ. მათ უამრავი საგოლე მომენტი ჰქონდათ. ხელსაყრელი მდგომარეობა გაუშვეს **ბრანისლავ ივანოვიჩმა, დენიელ სტარიჯმა, ალექსმა** და **ფლორენ მალუდამ**. ორი სიტყვა სტარიჯზე... მოგეხსენებათ, **ნიკოლა ანელკა** დაშავდა და „ლურჯების“ თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ გადაწყვიტა სასტარტო შემადგენლობაში ეს 20 წლის ახალგაზრდა ეთამაშებინა. ბედის ამბავი კი, მოგეხსენებათ - ის ირონიითაა სავსე: დანიელის მამა **მაიკლი** და ბიძა **საიმონი** „ბირმინგემის“ ფეხბურთელები იყვნენ.

ქულები დაკარგა „ტოტენჰემ ჰოთსპურმაც“, თუმცა, მოდი, უფრო სამართლიანად ვთქვათ: ქულები დაკარგა „ფულჰემმა“, რომელმაც **ჰარი რედნაპის** გუნდს უმასპინძლა, აჯობა, მაგრამ ვერ მოუგო. „კრეივენ კოტეჯიდან“ თუნდაც ქულა რომ წამოიღეს, „სფურზის“ ფეხბურთელები თავიანთ გოლკიპერს, ბრაზილიელ **ეურელიო გომესს** უნდა უმადლოდნენ. გომესმა რამდენჯერმე საოცრად იხსნა კარი თითქოსდა ნაღდი გოლისგან. მარტო მეორე ტაიმში მან **კლინტ დემპსისა** და **ბობი ზამორას** აუღო, **დემიენ დაფმა** და **ზოლტან გერამ** კი თავად გაუშვეს ხეირიანი შესაძლებლობები ხელიდან. ერთი მომენტი მოედნის მეორე ბოლოშიც იყო, როდესაც საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე „ფულჰემის“ მეკარემ **მარკ შვარცერმა პიტერ კრაუჩისა** და **ჯერმაინ ჯენასის** დარტყმებს ტყუპი რეაქციით მოუღო ბოლო.

მატჩის შემდეგ, „ფულჰემის“ თავკაცმა **როი ჰოჯსონმა** შედეგით უკმაყოფილება გამოთქვა: *„თუკი აშკარა საგოლე მომენტებს დავითვლით, გამარჯვება ჩვენ უნდა დაგვრჩენოდა“* - თქვა „ინტერის“ ოდინდელმა თავკაცმა.

აუტსაიდერთა უპრინციპულეს შეხვედრაში „ვესტ ჰემმა“ „პორტსმუთს“ 2:0 მოუგო. ანგარიში **ალესანდრო დიამანტიმ** პენალტით გახსნა, რომლისთვისაც ეს მესამე შეხვედრაში მესამე გოლი გახლდათ. მეორე გოლი **რადოსლავ კოვაჩმა** უკვე თამაშის მიწურულს მიაყოლა.

„ბოლტონი“ ბარნლიში ჩავიდა და ანგარიში გახსნა, მაგრამ მოგებამდე **დევიდ ნაჯენტმა** არ მიუშვა. ეს ნაჯენტის მხოლოდ მესამე გოლი იყო „ბარნლის“ შემადგენლობაში, მაგრამ მწვრთნელი **ოუენ კოილი** მიხვდა, რომ ამ ფეხბურთელს ამიერიდან საფუძვლიანად უნდა დაეყრდნოს. თითო გოლი გაუტანეს ერთმანეთს „სანდერლენდმა“ და „ევერტონმაც“. „სანდერლენდს“ ანგარიში მიჰყავდა, მაგრამ ბოლო ხუთ წუთს ვეღარ გაუძლო. არადა, რომ მოეგო, 17 ოქტომბრის შემდეგ (ათ შეხვედრაში) პირველ გამარჯვებას მიაღწევდა და თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ ოქტომბრის დღეს „ლივერპულს“ აჯობა, გამოვიდოდა, რომ მაინცდამაინც ამ ქალაქის გუნდები ჰყავს ამოჩემებული.

თითო გოლი გაცვალეს „უიგანმა“ და „ბლექბერნმაც“. ამ ფრემ არც ერთს დააყენა ხეირი და არც მეორეს.

„არსენალის“ ფანებს კი „ასტონ ვილასთან“ თამაში, ალბათ, დიდხანს დაამახსოვრდებათ. ეს გახლდათ მათი გუნდის ესპანელი ვარსკვლავის **სესკ ფაბრეგასის** გაბრწყინების დღე. მართლაც, განა ხშირად ხდება ასეთი რამ? ვისაც არ გინახავთ, წარმოიდგინეთ: ლიდერი ტრავმის გამო სათადარიგოთა სკამზე ზის, მის გარეშე კი გუნდი ვერ იგებს. როდესაც მწვრთნელი რწმუნდება, რომ საქმე ცუდადაა, ლიდერი მოედანზე შეჰყავს და მასაც ორი გოლი გააქვს, მაგრამ ტრავმა უმიზეზდება და სულ რაღაც 27 წუთის შესული მოედანს ტოვებს... ამაზეა ნათქვამი: veni, vidi, vici ანუ მივედი, ვნახე, დავიპყარი. ანდა, მავრმა გააკეთა თავისი საქმე...

თუმცა, მოდი, ფეხბურთს დავუბრუნდეთ: დიახ, ფაბრეგასმა მოედანზე მხოლოდ 27 წუთი დაყო, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ **მარტინ ონილის** მშვენიერი გუნდის, ბირმინგემის „ასტონ ვილას“ მწყობრი და მანამდე შეუვალი დაცვა დაერბია და ყველას გასაგონად გამოეცხადებინა, რომ „ემირეიტ სთედიუმზე“ ბატონი „არსენალია“. პირველი გოლი ფაბრეგასმა დიდებული საჯარიმო დარტყმით გაიტანა, მეორე გოლი კი სწრაფი კომბინაციის დასასრული გახლდათ: **არმანდ ტრაორემ** პასი **თეო უოლკოტს** მარჯვენა ფრთაზე გაუჭრა, უოლკოტმა კი ბურთი საჯარიმოში ფაბრეგასს შეაყოლა და ესპანელმაც ტექნიკურად დაარტყა... ოღონდ ეგ არის, გასრიალება მოუხდა და როგორც ჩანს, ნატკენი ორთავა კუნთი გაიმიზეზა. რაც შეეხება მესამე გოლს, ის **აბუ დიაბიმ** ბოლოწამს შეაგდო, თუმცა მანამდე ბირმინგემელ **გაბრიელ აგბონლაორს** მოეცარა ხელი, მას სხვაობის შემცირება შეეძლო, თუმცა **მანუელ ალმუნიას** ვეღარ აჯობა.

ტურის ბოლო შეხვედრა „ჰალსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ შორის გაიმართა. თვალშისაცემი იყო მასპინძელთა მონადინებული და დალაგებული თამაში, თუმცა საბოლოოდ მაინც ჩემპიონმა იმძლავრა. შეხვედრის გმირი **უეინ რუნი** გახლდათ, რომელსაც ანტიგმირობამდეც ცოტა დააკლდა, რადგან პირველი გოლის გატანის შემდეგ, მეორე ტაიმში, უდროო დროს, საკუთარი მეკარისთვის დაუფიქრებელი პასის გადაწოდება მოინადინა და სწორედ ამან გამოიწვია ის პენალტი, რომლითაც „ჰალმა“ ანგარიში გაქვითა. თუმცა, რუნიმ ანტიგმირობა არ ისურვა და 14 წუთში **ენდი დოუსონს** საკუთარ კარში გაატანინა, ბოლოს კი **დიმიტარ ბერბატოვსაც** გაუწია ასისტენტობა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

### მომდევნო ტური

28 დეკემბერი. ტოტენჰემი-ვესტ ჰემი, ბლექბერნი-სანდერლენდი, ჩელსი-ფულჰემი, ევერტონი-ბარნლი, სტოკი-ბირმინგემი, ვულვზი-მანჩესტერ სიტი. 29 დეკემბერი. ასტონ ვილა-ლივერპული, ბოლტონი-ჰალი. 30 დეკემბერი. პორტსმუთი-არსენალი, მანჩესტერ იუნაიტედი-უიგანი.

### ბირმინგემი-ჩელსი 0:0

**ბირმინგემი:** ჰარტი, კარი, რ. ჯონსონი, დანი, რიჯუელი, ლარსონი (88. დ. ჯონსონი), ბოიერი, ფერგიუსონი, მაკფადენი (78. ფეჰეი), ჯერომი, ბენიტესი.

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი, ტერი, ალექსი, კოული, ბელეტი, მიკელი (85. ბალაკი), მალუდა, ლემპარდი (79. ჯ. კოული), სტარიჯი (67. კალუ), დროგბა.

**გაძევება:** მალუდა (89. ჩელსი)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 7-11; **ჯარიმა:** 6-17; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 14-30 (2-7); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 28 958

### ფულჰემი-ტოტენჰემი 0:0

**ფულჰემი:** შვარცერი, პენტსილი, ჰიუზი, ჰანგელანდი, კონჩესკი, დაფი, მერფი, ბეირდი, დემპსი, ზამორა, გერა.

**ტოტენჰემი:** გომესი, ჩორლუკა, დოუსონი, ბასონგი (90. კინგი), ასუ-ეკოტო, ლენონი, ჯენასი, პალასიოსი, კრანჩარი (71. მოდრიჩი), კინი (71. დეფო), კრაუჩი.

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 19-13; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 16-10 (6-3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 25 679

### ვესტ ჰემი-პორტსმუთი 2:0

**ვესტ ჰემი:** გრინი, ფაბერი, ტომკინსი, აპსონი, ილუნგა, კოვაჩი, ნობლი (16. ხიმენესი), პარკერი, კოლისონი, დიამანტი (72. ბეჰრამი), ფრანკო (90. ნუბლი).

**პორტსმუთი:** ბეგოვიჩი, ფინანი, ქაბული, ბენჰაიმი, ჰრეიდერსონი, პიქეიონი, ბრაუნი (79. უტაკა), მალინსი, ბელჰაჯი (46. ბოატენგი), ოჰარა, დინდანე (55. კანუ).

**გოლები:** 1:0 დიამანტი (23-პენ), 2:0 კოვაჩი (89)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 9-21; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 16-14 (6-3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 33 686

### ბარნლი-ბოლტონი 1:1

**ბარნლი:** იენსენი, მირსი, დაფი, ბიკეი, ჯორდანი, ელიოტი, ალექსანდერი, მაკდონალდი, იგლზი, ფლეტჩერი (80. ბლეიკი), ნაჯენტი.

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, სტეინსონი, კეჰილი, ნაითი, რობინსონი, ლი (73. გარდნერი), ბეშამი, კოენი, ტეილორი, კლასნიჩი (67. მ. დევისი), კ. დევისი.

**გოლები:** 0:1 ტეილორი (29), 1:1 ნაჯენტი (56)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 10-19; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 18-11 (4-4); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 21 761

### მანჩესტერ სიტი-სტოკი 2:0

**მანჩესტერ სიტი:** გივენი, საბალეტა, ტურე, კომპანი, სილვინიო (66. რიჩარდსი), დე იონგი, რობინიო (70. ბელამი), ბერი, აირლენდი, პეტროვი, ტევესი (90. გარიდო).

**სტოკი:** სიორენსენი, უილკინსონი (48. ჰუთი), ფაიე, კოლინზი, ჰიგინბოტემი, უაითჰედი, დიაო, უილანი, ეზერინგტონი, სიდიბე (53. ბიტი), თუნჯაი (59. ფულერი).

**გოლები:** 1:0 პეტროვი (28), 2:0 ტევესი (45)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 14-8 (6-2); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 47 325

### სანდერლენდი-ევერტონი 1:1

**სანდერლენდი:** ფულოპი, ბერდსლი, მენსა (72. ნოსუორთი), და სილვა, მაკარტნი, მოლბრანკი (57. ზენდენი), კანა, ჰენდერსონი, რიდი, ბენტი, ჯონსი.

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჰიბერტი, ნილი, ჰეიტინგა, ბაინესი, პინეაარი, ფელანი, კეჰილი, ბელიალეტდინოვი, ოსმანი (70. იაკუბუ), საა (87. ვუგანი).

**გოლები:** 1:0 ბენტი (17), 1:1 ფელანი (85)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 4-12; **ჯარიმა:** 22-20; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 11-15 (4-1); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 46 990

### უიგანი-ბლექბერნი 1:1

**უიგანი:** კირკლენდი, მელხიოტი, ბოისი, ბრამბლი, ფიგეროა, თომასი, სკოტლენდი, შარნერი, გომესი, ნზოგბია, როდალეგა.

**ბლექბერნი:** რობინსონი, შიმბონდა (67. იაკობსენი), სამბა, ნილსენი, ჟივე, სალგადო, ენდრიუსი, ნზონზი, ჰოილეტი (77. პედერსენი), დი სანტო (72. რობერტსი), მაკარტი.

**გოლები:** 0:1 მაკარტი (30), 1:1 როდალეგა (53)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 10-20; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 15-8 (5-3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 20 263

### ლივერპული-ვულვზი 2:0

**ლივერპული:** რეინა, ჯონსონი, კარაგერი, აგერი, ინსუა, ბენაიუნი (89. სპიარინგი), აკვილანი (85. პაჩეკო), ლუკასი, აურელიო (76. კუიტი), ჯერარდი, ტორესი.

**ვულვზი:** ჰაჰნემანი, სტერმენი, კრედოკი, ბერა, უორდი, ფოული, ჰენრი, მილიაში (63. მანსიენი), ჯერვისი, დოილი (58. ელოკობი), ებანს-ბლეიკი (67. იუელუმო).

**გოლები:** 1:0 ჯერარდი (62), 2:0 ბენაიუნი (70)

**გაძევება:** უორდი (53. ვულვზი)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 9-10; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 18-5 (8-1); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 41 956

### არსენალი-ასტონ ვილა 3:0

**არსენალი:** ალმუნია, სანია, გალასი, ვერმაელენი, ტრაორე, ნასრი, დენილსონი (57. ფაბრეგასი, 84. რემსი) სონგი, ედუარდო (64. უოლკოტი), დიაბი, არშავინი.

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, ლ. იანგი (76. დელფი), კუელარი, დანი, უორნოკი, ე. იანგი, მილნერი, პეტროვი, დაუნინგი, ჰესკი (63. კარეუ), აგბონლაჰორი.

**გოლები:** 1:0 ფაბრეგასი (65), 2:0 ფაბრეგასი (81), 3:0 დიაბი (90)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 15-20; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 21-9 (9-2); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 60 056

### ჰალი-მანჩესტერ იუნ 1:3

**ჰალი:** მაიერი, მენდი, ზაიატე, გარდნერი, დოუსონი, გარსია (78. ვენეგოორი), ბოატენგი (83. ჯიოვანი), ოლოფინიანა, ჰანტი, ფეგანი, ალტიდორი (83. გილასი).

**მანჩესტერ იუნაიტედი:** კუშჩაკი, რაფაელი, ბრაუნი, ვიდიჩი, ევრა, ვალენსია (63. პარკი), ფლეტჩერი, კარიკი, გიგზი (78. ობერტანი), ბერბატოვი, რუნი.

**გოლები:** 0:1 რუნი (45), 1:1 ფეგანი (59-პენ), 1:2 დოუსონი (73-საკ. კარში), 1:3 ბერბატოვი (82)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 14-18; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 14-20 (4-6); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 24 627

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 19 | 13 | 3 | 3 | 43-15 | 42 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 19 | 13 | 1 | 5 | 40-18 | 40 |
| 3. არსენალი | 18 | 12 | 2 | 4 | 47-20 | 38 |
| 4. ასტონ ვილა | 19 | 10 | 5 | 4 | 29-17 | 35 |
| 5. ტოტენჰემი | 19 | 10 | 4 | 5 | 40-22 | 34 |
| 6. მანჩესტ. სიტი | 18 | 8 | 8 | 2 | 35-27 | 32 |
| 7. ლივერპული | 19 | 9 | 3 | 7 | 36-25 | 30 |
| 8. ბირმინგემი | 19 | 8 | 5 | 6 | 19-18 | 29 |
| 9. ფულჰემი | 18 | 7 | 6 | 5 | 23-17 | 27 |
| 10. სანდერლენდი | 19 | 6 | 4 | 9 | 26-29 | 22 |
| 11. სტოკი | 18 | 5 | 6 | 7 | 15-22 | 21 |
| 12. ბლექბერნი | 19 | 5 | 5 | 9 | 18-33 | 20 |
| 13. ბარნლი | 19 | 5 | 5 | 9 | 22-38 | 20 |
| 14. ევერტონი | 18 | 4 | 7 | 7 | 24-32 | 19 |
| 15. ვულვზი | 19 | 5 | 4 | 10 | 17-33 | 19 |
| 16. უიგანი | 18 | 5 | 4 | 9 | 21-39 | 19 |
| 17. ვესტ ჰემი | 19 | 4 | 6 | 9 | 28-35 | 18 |
| 18. ბოლტონი | 17 | 4 | 5 | 8 | 24-34 | 17 |
| 19. ჰალი | 19 | 4 | 5 | 10 | 18-40 | 17 |
| 20. პორტსმუთი | 19 | 4 | 2 | 13 | 17-28 | 14 |

**ბომბარდირები:** 13 - დროგბა (ჩელსი), დეფო (ტოტენჰემი), რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 11 - ტორესი (ლივერპული); 10 - ბენტი (სანდერლენდი), საა (ევერტონი); 9 - ფაბრეგასი (არსენალი), 8 - აგბონლაორი (ასტონ ვილა); 7 - კ. კოული (ვესტ ჰემი), ვან პერსი (არსენალი).

### ჩემპიონშიპი

### XXIII ტური

**შეფილდ უენ-ნიუკასლი 2:2**

გოლები: 1:0 ვერნი (14), 1:1 ნოლანი (19), 1:2 ამეობი (22), 2:2 ოკონორი (59)

**კარდიფი-პლიმუთი 0:1**

გოლი: 0:1 სოიერი (84)

**კრ. პალასი-იფსვიჩი 3:1**

გოლები: 0:1 პეტერსი (19), 1:1 ფონტე (38), 2:1 დენსი (58), 3:1 მოზესი (90)

გაძევება: სტიდი (39. იფსვიჩი)

**ქუინზ პარკი-ბრისტოლი 2:1**

გოლები: 1:0 სიმპსონი (31), 2:0 ლაიგერტვუდი (40), 2:1 მეინარდი (57)

**ქოვენთრი-დონკასტერი 1:0**

გოლები: 1:0 მორისონი (85-პენ)

**დერბი-ბლექპული 0:2**

გოლები: 0:1 ბაქსტონი (38-საკ. კარში), 0:2 ორმეროდი (79)

გაძევება: მოქსი (82. დერბი)

**მიდლსბრო-სკანთორპი 3:0**

გოლები: 1:0 ჯონსონი (11-პენ), 2:0 უილიამსი (45), 3:0 ალიადიერი (46)

გაძევება: ბირნი (11. სკანთორპი), ლიტა (89. მიდლსბრო)

**რედინგი-სუონსი 1:1**

გოლები: 0:1 პრეიტლი (36), 1:1 სიგურდსონი (45)

**ლესტერი-შეფილდ იუნ 2:1**

გოლები: 1:0 მორისონი (26), 2:0 ფრაიატი (35-პენ), 2:1 კამარა (47)

**უოტფორდი-ნოტინგემი 0:0**

**ვესტ ბრომვიჩი-პიტერბორო 2:0**

გოლები: 1:0 მური (61), 2:0 ბენეტი (67-საკ. კარში)

**პრესტონი-ბარნსლი გადაიდო**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუკასლი | 23 | 15 | 5 | 3 | 39-14 | 50 |
| 2. ვესტ ბრომ. | 22 | 12 | 6 | 4 | 45-21 | 42 |
| 3. ნოტინგემი | 23 | 10 | 10 | 3 | 32-18 | 40 |
| 4. ლესტერი | 22 | 10 | 7 | 5 | 28-24 | 37 |
| 5. კარდიფი | 22 | 11 | 3 | 8 | 38-23 | 36 |
| 6. სუონსი | 23 | 9 | 9 | 5 | 21-19 | 36 |
| 7. ბლექპული | 22 | 9 | 7 | 6 | 35-25 | 34 |
| 8. ქუინზ პარკი | 23 | 8 | 9 | 6 | 38-23 | 33 |
| 9. კრ. პალასი | 23 | 8 | 9 | 6 | 28-27 | 33 |
| 10. მიდლსბრო | 23 | 9 | 5 | 9 | 33-27 | 32 |
| 11. შეფილდ იუნ. | 23 | 8 | 8 | 7 | 34-33 | 32 |
| 12. ბრისტოლი | 23 | 7 | 10 | 6 | 27-27 | 31 |
| 13. უოტფორდი | 23 | 8 | 7 | 8 | 31-35 | 31 |
| 14. დონკასტერი | 23 | 7 | 9 | 7 | 29-27 | 30 |
| 15. პრესტონი | 22 | 7 | 8 | 7 | 26-28 | 29 |
| 16. ქოვენთრი | 23 | 7 | 7 | 9 | 26-33 | 28 |
| 17. ბარნსლი | 21 | 7 | 6 | 8 | 27-33 | 27 |
| 18. დერბი | 23 | 7 | 4 | 12 | 24-35 | 25 |
| 19. რედინგი | 23 | 5 | 8 | 10 | 25-35 | 23 |
| 20. სკანთორპი | 22 | 6 | 5 | 11 | 24-41 | 23 |
| 21. იფსვიჩი | 22 | 3 | 12 | 7 | 23-33 | 21 |
| 22. შეფილდ უენ. | 23 | 4 | 7 | 12 | 25-39 | 19 |
| 23. პლიმუთი | 22 | 5 | 3 | 14 | 17-33 | 18 |
| 24. პიტერბორო | 23 | 3 | 8 | 12 | 27-39 | 17 |

**ბომბარდირები:** 12 - უიტინგემი (კარდიფი); 11 - ჩოპრა (კარდიფ სიტი), ემბროუზი (კრისტალ პალასი); 10 - ჰენდერსონი (შეფილდ იუნ), შარპი (დონკასტერი), ფრიატი (ლესტერი); 9 - ნოლანი (ნიუკასლი), მეინარდი (ბრისტოლი); 8 - სიმპსონი (ქუინზ პარკი), ჯონსონი (მიდლსბრო), ბესტი (ქოვენთრი), ბოიდი (პიტერბორო).

### პირველი ლიგა

### XXIII ტური

ჯილინგემი-ბრენტფორდი 0:1, ნორვიჩი-მილუოლი 2:0, ბრაიტონი-ლეიტონი 0:0, ჩარლტონი-სვინდონი 2:2, საუთენდი-კოლჩესტერი 1:2, ლიდსი-ჰარტლპული 3:1, მილტონი-სტოკპორტი 4:1, საუთჰემპტონი-ექსეტერი 3:1, იეოვილი-უაიკომბი 4:0.

*დანარჩენი მატჩები გადაიდო*

### მეორე ლიგა

### XXIII ტური

ოლდერშოტი-ბარნეტი 4:0, ჩელტენჰემი-ბურნმუთი 0:1, ქრუ-როჩდეილი 2:2, ლინკოლნი-ჩესტერფილდი 2:1, მორკემბი-ეკრინგტონი 1:0, ნორტჰემპტონი-დაგენჰემი 1:0, შრუსბერი-მაკლესფილდი 2:2, თორგუეი-ჰერეფორდი 1:0.

*დანარჩენი მატჩები გადაიდო*

### კონფერენსი

### XXV ტური

უიმბლდონი-ჰეიესი 5:0, ბეროუ-გეიტსჰედი 3:3, კემბრიჯი-სტივენიჯი 1:3, ქროული-ისტბერნი 2:2, ებსფლიტი-გრეისი 2:1, ფორესტ გრინი-სელისბერი 3:1, კეტერინგი-ტემუორთი 0:0, კიდერმინსტერი-ჩესტერი 2:0, იორკი-მენსფილდი 3:0.

*დანარჩენი მატჩები გადაიდო*

ამბები

## საით, დრენტე?

„ლე პარიზიენი" იუწყება, რომ მადრიდის „რეალის" ჰოლანდიელი ლეგიონერით „პარი სენ ჟერმენია" დაინტერესებული. ფრანგულ გუნდს **როისტონ დრენტე ჟერომ როტენის** იდეალურ შემცვლელად ესახება, „სამეფო კლუბში" კი მას სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრის პერსპექტივა ნაკლებად აქვს. პსჟ შეეცდება ჰოლანდიელი იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას იყიდოს, თუ ეს ვერ მოხერხდება, ფრანგები ხელშეკრულებას ივნისში გააფორმებენ. წლევანდელ სეზონში დრენტემ 5-ჯერ ითამაშა „რეალის" შემადგენლობაში. ჰოლანდიელი ქვედა დივიზიონის „ალკორკონთან" 0:4 მარცხის შემდეგ ამოვარდა სასტარტოდან.

## ბენზემა სიკვდილს გადაურჩა

**ქარიმ ბენზემას** კინაღამ დაბადების დღე ჩაუმწარდა - ბენზემა კუნძულ რეიუნიონზე (მადაგასკართანაა) აღნიშნავდა დღესასწაულს. ბენზემა სასტუმროდან მიდიოდა, როცა ავარიაში მოყვა. ფეხბურთელმა მეგობრებთან ერთად მცირე რბოლა მოაწყო. უცნობია მართავდა თუ არა ბენზემა „ლამბორგინის" ან „პორშეს" (რბოლაში ეს ორი მანქანა მონაწილეობდა), ავარიის შემდეგ ყვითელი „ლამბორგინი" სერიოზულად დაზიანდა, თავად ფეხბურთელი კი ერთი განაკაწრის გარეშე გადაურჩა ინციდენტს. „რეალის" ფეხბურთელი ახლახან, ნოემბერში მოხვდა ავარიაში - მაშინ ბენზემამ მადრიდში „აუდით" კედლის გარღვევა „სცადა". სხვათა შორის, ფრანგი ფეხბურთელი მაშინაც დაუშავებლად გადარჩა.

## ბრუნო ალვეში რეალურია

იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე მადრიდის „რეალმა" შეიძლება „პორტუს" მცველი **ბრუნო ალვეში** შეიძინოს. **პეპეს** ტრავმამ „ლოს ბლანკოსს" გეგმები აურია და დაცვის ხაზში ერთი ფეხბურთელის დამატება გახდა საჭირო. „ა ბოლას" მიაჩნია, რომ პეპეს ადგილას ყველაზე სავარაუდო შემცვლელი გამოცდილი ბრუნო ალვეშია. ალვეშის სავარაუდო ფასი 30 მილიონი ევროა. მისი ყიდვა მადრიდელებს ზაფხულშიც სურდათ, მაგრამ ტრანსფერი საბოლოოდ არ შედგა. 28 წლის მცველის შენარჩუნება „პორტუს" პრეზიდენტ **ჟეზუალდო ფერეირას** სურს და მას ახალ კონტრაქტს სთავაზობს, თუმცა თავად ფეხბურთელს „სამეფო კლუბში" გადასვლა უფრო ხიბლავს.

კრიმინალი

# მიგელი გასაქვანჩეს



მიგელი სკანდალში გახვია

„ვალენსიას" მარჯვენა მცველი **მიგელ მონტეირო** ლისაბონის ერთ-ერთ ღამის ბართან ჩხუბისთვის დააპატიმრეს. ინციდენტის შემდეგ, რომელიც ბარში შაბათს, გამთენიისას მოხდა, პორტუგალიელი ფეხბურთელი დააკავეს და მხოლოდ ორი საათის შემდეგ გამოუშვეს. პოლიციის ინფორმაციით, შეხლა-შემოხლაში 4-5 ადამიანი მონაწილეობდა, ყველაფერი კი მიგელის ბრალი ყოფილა, ფეხბურთელი მეგობრებთან ერთად დისკოთეკაზე შესვლას ლამობდა, არადა უკვე დილის ხუთი საათი იყო და ღამის ბარის კარიც - დახურული. ბარის დაცვას ჰაერში გასროლაც კი დასჭირდა მიგელის დასაშოშმინებლად, სწორედ ამ გასროლამ დააინტერესა ლისაბონის პოლიცია, რომელიც ადგილზე გამოცხადდა და მიგელი დააპატიმრა. ორი საათის შემდეგ გაუშვეს ყველა გარდა ერთისა, რომელიც იარაღის გამოყენებაშია ეჭვმიტანილი.

„ვალენსიას" ხელმძღვანელობამ ოფიციალური განცხადების გაკეთება იმ მოტივით დააგვიანა, რომ ფეხბურთელები ორშაბათამდე შვებულებაში არიან. გუნდის ხელმძღვანელები ორშაბათს დაელოდებიან და თავად მიგელისგან მოისმენენ ახსნა-განმარტებას. თუმცა გუნდის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა as-ს არაოფიციალურად განუცხადა, რომ ინციდენტი მოხდა მაშინ, როცა მიგელი გუნდიდან დათხოვნილი იყო, ამიტომ მისი დასჯა მოსალოდნელი არ არის. თუმცა იმავე წყარომ გაზეთს უთხრა, რომ მიგელის მხრიდან ასეთი საქციელი არაპროფესიონალიზმის გამოვლინებაა: *„დილაუთენია პროფესიონალ ფეხბურთელს არაფერი ესაქმება დისკოთეკაზე, მით უფრო, როცა ორ დღეში მას ვარჯიში აქვს".*

მიგელი 2005 წლის აგვისტოში 7,5 მილიონ ევროდ გადავიდა „ბენფიკადან" „ვალენსიაში". მან იოლად დაიმკვიდრა ადგილი „ლოს ჩეს" სასტარტო შემადგენლობაში. 2007 წელს მან ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მიგელს პორტუგალიის ნაკრებში 50 მატჩში 1 გოლი აქვს გატანილი.



რობერტო სოლდადო

მოსალოდნელი ტრანსფერები

# სოლდადო ვილიას შეცვლის?

„ხეტაფეს" ფორვარდმა **რობერტო სოლდადომ** რამდენიმე კარგ წინადადებაზე უარი „ვალენსიაში" გადასვლის პერსპექტივის გამო თქვა. ესპანური მედიის ცნობით, ივნისში „მესტალია" მთავარ ვარსკვლავს - **დავიდ ვილიას** შეელევა, „ლოს ჩე" კი ბომბარდირის შემცვლელს უკვე ეძებს... და როგორც ჩანს, იპოვა კიდეც. სოლდადოს სავარაუდო სატრანსფერო ფასი 10 მილიონი ევროა. „ხეტაფემ" შესაძლებელია სოლდადო 8 მილიონად დათმოს, სამაგიეროდ „ვალენსიასგან" მადრიდული კლუბი ფორვარდ **მიკუს** მიიღებს.

„ხეტაფე" „ვალენსიას" დარად ეკონომიკურ კრიზისშია, ხოლო სოლდადო გუნდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია, მისი გაყიდვით მადრიდელები ფულსაც იშოვნიან და სახელფასო ფონდსაც შეამსუბუქებენ. „ლოს ასულონესის" შემადგენლობაში 24 წლის სოლდადომ 47 მატჩში 23 გოლი გაიტანა. შეგახსენებთ, რომ ფორვარდი „სამეფო კლუბის" აღზრდილია და ერთ დროს „რეალში" თამაშობდა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება მან ვერ შეძლო (სულ 16 მატჩი და 2 გოლი).

# სინამა სპორტინგში



სინამა-პონგოლი ქვეყანას შეიცვლის

მადრიდის „ატლეტიკოს" ფორვარდმა **ფლორენ სინამა-პონგოლმა** დაადასტურა, რომ დღე-დღეზე დატოვებს ესპანურ კლუბს, თუმცა ის საფრანგეთში დაბრუნებას არ აპირებს - ლისაბონის „სპორტინგში" გადადის. კლუბის ხელმძღვანელობამაც გამოაცხადა, რომ ფეხბურთელთან და „ატლეტიკოსთან" პრინციპული შეთანხმება მიღწეულია და იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე მას ხელშეკრულებას გაუფორმებენ. მანამდე კი ფრანგი სრულ სამედიცინო შემოწმებას გაივლის. 25 წლის ფორვარდის სანაცვლოდ პორტუგალიური გრანდი 6 მილიონ ევროს იხდის. „ა ბოლასთან" ინტერვიუში ფლორენ სინამა პონგოლმა განაცხადა:

*„ლისაბონის „სპორტინგი" დიდებული გუნდია. მოხარული ვარ, რომ ისეთ გუნდში გადავდივარ, რომელიც სულ თამაშობს ევროთასებზე. იმედია, ჩემს თავს ახალ კლუბში ვიპოვი, „ატლეტიკოში" კი საქმეები ისე ვერ აეწყო, როგორც მსურდა. ძალიან კარგი შემოთავაზებები მქონდა საფრანგეთიდან, მაგრამ ყველას „სპორტინგი" ვარჩიე".*

სინამა პონგოლი 2001 წელს შეიძინა „ლივერპულმა", მას შემდეგ რაც მან თავი ევროპის 16-წლამდელთა და მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატზე გამოიჩინა თავი. 2001-03 წლებში ის „ლე ავრში" თამაშობდა იჯარით, „ლივერპულში" კი სამი წელი გაატარა და 38 მატჩში 4 გოლი გაიტანა, „ბლექბერნში" იჯარით თამაშის შემდეგ, ფრანგი „ლივერპულმა" ის „რეკრეატივოში" გაყიდა. ორი სეზონის განმავლობაში სინამა პონგოლი „რეკრეატივოს" ბომბარდირი იყო (12 და 10 გოლი), შემდეგ კი „ატლეტიკოში" გადაბარგდა.

მადრიდის „ატლეტიკოს" კიდევ ერთი ლეგიონერი ტოვებს - **მაქსი როდრიგესი** ინტენსიურ მოლაპარაკებას მართავს „ბოკა ხუნიორსთან". საუბარია 6-თვიან იჯარაზე. „მარკას" ცნობით, როდრიგესი ორჯერ შეხვდა „ატლეტიკოს" პრეზიდენტ **ენრიკე სერესოს**, თუმცა ძირითადში თამაშის გარანტიები მისგან ვერ მიიღო. არადა მაქსისთვის სათამაშო პრაქტიკას ახლა უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მას არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში სურს. მადრიდულ კლუბში არაოფიციალურად დაადასტურეს, რომ მაქსის ტრანსფერი 80%-ით გაჩარხულია. „ატლეტიკო" სანაცვლოდ არაფერს მიიღებს, თუმცა სახელფასო ფონდიდან თანხა გამოუთავისუფლდება. „ბოკა" ტრანსფერის შესახებ ოფიციალურად 15 იანვარს განაცხადებს. ახალ გუნდში როდრიგესს **ალფიო ბასილესთან** მოუწევს მუშაობა.




იქნება ინგლისი-გერმანია?

სამუნდიალო

# კაპელო ტიტულისთვის

## ვინ იქნება ჩემპიონატის მთავარი სიურპრიზი?

მსოფლიოს ჩემპიონატის C ჯგუფში ინგლისი, აშშ, ალჟირი და სლოვენია მოხვდნენ. ერთი შეხედვით არ არის ძლიერი ჯგუფი, თუმცა აქ მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია. ვნახოთ, როგორ აფასებს „კასტროლ ფუტბოლი" **ფაბიო კაპელოს** გუნდის შანსებს...

სტატისტიკის ანალიზის საფუძველზე „კასტროლ ფუტბოლი" ასკვნის, რომ ინგლისის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის დაძლევა არ უნდა გაუჭირდეს. 90,2%-ით ნისლიანი ალბიონის შვილები ჯგუფიდან გასულები არიან (I ადგილი - 63,6%, II - ადგილი - 26,5%). სულ რაღაც 9,8%-ით უშვებენ იმის ალბათობას, რომ ინგლისელები ჯგუფში ჩარჩებიან (III ადგილი - 7,7%, IV - ადგილი - 2,1%). თუკი ინგლისის ნაკრები (როგორც მოსალოდნელია) ჯგუფს პირველ ადგილზე დაასრულებს, მას სავარაუდოდ ავსტრალიის ნაკრები შეხვდება. აი, მეორე ადგილს უნდა უფრთხილდნენ ბრიტანელები, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება გერმანიას გადაეყარონ. მოგეხსენებათ, ინგლისის და გერმანიის ნაკრებებს ურთიერთდაპირისპირების საინტერესო ისტორია აქვს, დიდი შანსია, რომ ეს სამხრეთ აფრიკაშიც გაგრძელდეს. ოღონდ, ეს გუნდები თუ შეხვდებიან ერთმანეთს, მხოლოდ მერვედფინალში (32,6%) ან ფინალში (8,1%).

რა შანსი აქვს კაპელოს გუნდს შემდგომი წინსვლის? „კასტროლს" მიაჩნია, რომ 58,7%-ით ინგლისი მერვედფინალურ სტადიასაც გადალახავს (ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი 32 მონაწილე ქვეყანას შორის), 37,3%-ით ინგლისი ნახევარფინალშიც გავა, 19,2%-ია შანსი რომ ალბიონელებმა ფინალს უწიონ, ხოლო 10,4% მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ (მესამე შედეგი ბრაზილიისა და ესპანეთის შემდეგ).

C ჯგუფში მეორე ნომრით ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებია განთესილი. „კასტროლი" ამ გუნდსაც ჯგუფის ფავორიტად მიიჩნევს, 73,0%-ით აშშ ჯგუფურ ეტაპს დაძლევს (I ადგილი - 28,6%, II ადგილი - 44,4%). ოპტიმისტურია „კასტროლის" პროგნოზი ამერიკელთათვის პლეი ოფის საწყის სტადიაზე (მიუხედავად იმისა, რომ დიდი შანსია ისინი გერმანელებს შეხვდნენ), მეოთხედფინალში გასვლა - 36%, ნახევარფინალში გასვლა - 17,3%, ფინალში გასვლა - 6,5%, მსოფლიოს ჩემპიონობა - 2,4%. მოკლედ, „კასტროლ ფუტბოლი" ამერიკის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ სიურპრიზად გვიმზადებს. ვნახოთ, როგორ გამართლდება სტატისტიკოსთა პროგნოზი...

ალჟირის ნაკრებმა ურთულესი გზა გამოიარა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად, ორი აფრიკული შესარჩევი ეტაპის დაძლევის შემდეგ, გუნდს ეგვიპტესთან ნეიტრალურ მოედანზე გადათამაშება დასჭირდა. „კასტროლი" მიიჩნევს, რომ ეს წარმატებაც სავსებით საკმარისია ჩრდილოაფრიკული გუნდისთვის - 15,9%-ია იმის შანსი, რომ ალჟირმა C ჯგუფის ბარიერი დაძლიოს (I ადგილი - 3,2%, II ადგილი - 12,7%). უფრო კი მას ჯგუფის ბოლო ადგილოსნად მიიჩნევენ - 50,8%. შემდგომი წინსვლა: მეოთხედფინალი - 3,5%, ნახევარფინალი - 0,8%, ფინალი - 0,1%. არასოდეს თქვა არასოდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში „კასტროლ ფუტბოლი" შეუვალია - ალჟირის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონობის შანსი საერთოდ არ აქვს (0%).

C ჯგუფში ბოლო ნომრით სლოვენიის ნაკრებია, კიდევ ერთი გუნდი, რომელსაც საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ დამატებითი მატჩები დასჭირდა. სლოვენიელებს ჯგუფიდან გასვლის შანსი 21 პროცენტით განუსაზღვრეს (I ადგილი - 4,6%, II ადგილი - 16,3%). უფრო შორს კი „კასტროლ ფუტბოლი" გაცილებით სკეპტიკურია: მეოთხედფინალი - 5,4%, ნახევარფინალი - 1,3%, ფინალი - 0,3%. მსოფლიოს ჩემპიონობა? ბოდიში სლოვენიელებს, ისევე როგორც ალჟირელებს, ამის შანსი არა აქვთ (სტატისტიკურმა მთვლელმა 0,1%-იც ვერ დააფიქსირა).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# პანდევი ინტერს მიუახლოვდა

## მოურინიომ შემოდგომა შეაჯამა. ჟოზემ, პრესასთან დამნაშავე არ ვარო...

ახალი წლის წინ ჟოზე მოურინიომ კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავი, პრესასთან საუბარში სეზონის პირველი ნახევარი შეაჯამა და იტალიელ ჟურნალისტებთან მის რთულ ურთიერთობებზე გაამახვილა ყურადღება:

„მთლიანობაში, განვლილი ბატალიებით კმაყოფილი ვარ, რადგან ყველა დასახული ამოცანა შევასრულეთ. სერია A-ში დამაჯერებლად ვლიდერობთ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ბარიერი კი წარმატებით განვვლეთ. ბუნებრივია, იყო ჩავარდნები, მაგრამ ამისგან დაზღვეული არც ერთი გუნდი არაა. კმაყოფილი ვარ შეგირდების გარჯით და მახარებს ის, რომ მათ კიდევ უფრო მეტი შეუძლიათ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სეზონის მეორე ნახევარში გაცილებით სწრაფ და მძლავრ ფეხბურთს ვითამაშებთ. რით ვჯობივართ კონკურენტებს? - ჩვენ ჩვენი პლუსები გვაქვს, მათ პათი, მთავარია საკუთარი თავის ირწმუნო და გადამწყვეტ მომენტში ფეხები არ აგიკანკალდეს. ამაზე ხშირად ვესაუბრები შეგირდებს, განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგის პაექრობების წინ. ბოლო წლებში „ინტერი" წარუმატებლად ასპარეზობს ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში, რაც სწორედ თავდაუჯერებლობის ბრალია. უნდა გავითავისოთ, რომ პოტენციალით ევროპაში არავის ჩამოვრჩებით, მათ შორის არც „ბარსელონას", რომელმაც ამას წინათ პირწმინდად დაგვამარცხა. გპირდებით, რომ ის, რაც „ნოუ კამპზე" მოხდა, აღარ განმეორდება, გრანდი ასე არ უნდა თამაშობდეს. რაც შეეხება ჟურნალისტებთან ურთიერთობას, იდეალურს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, თუმცა არა მგონია, ამაში მე ვიყო დამნაშავე. ვცდილობ, ყველგან და ყოველთვის ჩემი გუნდის ინტერესები დავიცვა და სწორედ ამის გამო მომდის კონფლიქტი მედიის წარმომადგენლებთან. ისინი მუდმივად იმას ცდილობენ, რომ „ინტერი" გააქილიკონ, მიწასთან გაასწორონ. კიდევ ერთხელ ვამბობ, სერია A-ში ვლიდერობთ, ლიგის ჯგუფური ეტაპის ბარიერი დავძლიეთ და ჩვენთვის საქებარი სიტყვა არავის გაუმეტებია. სამაგიეროდ, ჩავაგდებთ თუ არა ერთ თამაშს, პრესა მზადაა გადაგვჯეგოს. დიახ, არ მომწონს იტალიელ ჟურნალისტებთან ურთიერთობა, რადგან ისინი არაობიექტურები არიან: წარმატებას არ გიფასებენ, წარუმატებლობას კი არ გპატიობენ. ასე რომ, პრობლემას ჩემში ნუ ეძებთ, ეძებეთ ჟურნალისტებში".

გემახსოვრებათ, რამდენიმე დღის წინ მოურინიომ ფორვარდის დამატების სურვილი გამოთქვა და იქვე განაცხადა, ყველაფერი კლუბის მესვეურების კეთილ ნებაზეა დამოკიდებულიო. იმავე დღეს **მასიმო მორატი** გამოჩნდა საზოგადოებაში და პორტუგალიელის იმედებს ცივი წყალი გადაასხა. პრეზიდენტის თქმით, ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე „ინტერი" არც ერთი ფეხბურთელის შეძენას აპირებს.

მიუხედავად ასეთი მკაფიო განცხადებისა, ჟურნალისტები თავისას არ იშლიან და ამბობენ, რომ სულ მალე **გორან პანდევი** „ნერაძურიში" ამოყოფს თავს. კიდევ უფრო კონკრეტდება Italsportpress-ი და კონტრაქტის გაფორმების სავარაუდო თარიღს გვაუწყებს - თუ ჩვენს აპენინელ კოლეგებს დავუჯერებთ, მაკედონიელ თავდამსხმელს სამედიცინო შემოწმება დღეს უნდა გაევლო, ხვალ-ზეგ კი სულაც ხელშეკრულებას უნდა მოაწეროს ხელი. ეს ამბავი პანდევს ჯერ არ დაუდასტურებია, მაგრამ მისი სიტყვებიდან გამომდინარე, გავრცელებული ინფორმაცია რეალობასთან ახლოს უნდა იყოს:

„ხელშეკრულებისთვის ხელი ჯერ არ მომიწერია და ჯერჯერობით, „ინტერის" ფეხბურთელად ნუ მომიხსენიებთ. თუმცა ვერც იმას უარვყოფ, რომ მოლაპარაკებები დასკვნით ფაზაშია და დიდია შანსი, ყველაფერი კარგად დასრულდეს. „ინტერი" უდიდესი ისტორიის მქონდე გუნდია, შესანიშნავი აწმყოთი და სრულად აკმაყოფილებს ჩემს ამბიციებს. ამ გუნდთან ერთად არაერთი ტიტულის მოპოვების შესაძლებლობა მექნება, მათ შორის ჩემპიონთა ლიგის თასსაც ვგულისხმობ. დარწმუნებული ვარ, სწორედ „ნერაძურის" აქვს მიმდინარე სეზონში ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი. კონკურენცია ნამდვილად არ მაშინებს, რადგან საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ. კარგად ვიცი, რა შემიძლია და ისიც ვიცი, რომ გუნდს აუცილებლად გამოვადგები. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჯერ კონტრაქტისთვის ხელი არ მომიწერია და ეს საკითხი ბოლომდეა მისაყვანი".



გორან პანდევი

იტალიის ნაკრები



ჯენარო გატუზო და მარჩელო ლიპი

# ლიპი: გატუზო მჭირდება!

**ჯენარო გატუზოსთვის** სეზონის პირველი ნახევარი მეტად წარუმატებელი გამოდგა. ყველაფერი „ინტერთან" ჩაგდებული მატჩით დაიწყო - ალბათ გახსოვთ, როგორ აიკიდა წითელი ბარათი და შემდეგ ყველაფერი მთავარ მწვრთნელ **ლეონარდოს** გადააბრალა. გატუზო მაშინ ემოციებს აჰყვა და განაცხადა: ტრავმირებული ვიყავი, მან კი იქამდე არ გამომცვალა, სანამ არ გამაგდესო. რინოს არც ჯანმრთელობის მხრივ გაუმართლა, რამდენჯერმე მძიმედ დაშავდა და ფაქტობრივად, თვეების განმავლობაში უსაქმოდ გახლდათ.

ყოველივე ამან ფეხბურთელი ლამის დეპრესიამდე მიიყვანა და გუნდიდან წასვლაზეც კი დაფიქრდა. რინო არ მალავდა, რომ მილანური ყოფით უკმაყოფილო იყო. თუმცა, მიუხედავად ამისა, რამდენიმე კვირის წინ კლუბთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა. კონტრაქტის თანახმად, გატუზო „მილანში" 2013 წლამდე იასპარეზებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საფეხბურთო კარიერას, სავარაუდოდ, სწორედ „მილანში" დაასრულებს.

ახალი ხელშეკრულების გაფორმებამ ლეონარდოც გაახარა - მწვრთნელს არ დაუმალავს, რომ გატუზოს შენარჩუნება ძალიან უნდოდა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფეხბურთელი სასტარტო შემადგენლობაში ბრუნდება. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ იანვრიდან „მილანს" **დევიდ ბექჰემიც** შეუერთდება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გატუზოს არც სეზონის მეორე ნახევარში ელის იოლი ცხოვრება. ამიტომ არის, რომ გაღიზიანებულია და ეს მის ქცევაშიც აისახება. როგორც იტალიელი ჟურნალისტები ამბობენ, ვარჯიშებზე ძველებურად მხიარული აღარ არის და ძირითადად, გულჩათხრობილია. გატუზოს მდგომარეობა განსაკუთრებით **მარჩელო ლიპის** აშფოთებს, ვინაც ყოველთვის სწყალობდა მებრძოლ შუახაზელს. მაესტრომ რინო კონფედერაციათა თასზე ტრავმისგან ახალგამოჯანმრთელებული წაიყვანა, რაც მის მიმართ გამოხატული აშკარა ნდობა გახლდათ. აი, რას ამბობს ლიპი გატუზოზე:

„ჯენარო იტალიის ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია და ბუნებრივია, მისი უთამაშებლობა ჩემს შეშფოთებას იწვევს. თუმცა, მახარებს ის, რომ უკვე გამოჯანმრთელდა და სეზონის განახლებისთანავე ლეონარდოს განკარგულებაში იქნება. ერთი ხანობა მართლაც სერიოზულად უნდოდა ნავსაყუდლის გამოცვლა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და „მილანთან" ხელშეკრულება გაახანგრძლივა. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ამაში მეც მიმიძღვის გარკვეული წვლილი. იმ პერიოდში რინოს ტელეფონით ვესაუბრე, მითხრა, ვშიშობ, „მილანში" ძირითადად სათადარიგოთა სკამზე მომიწევს ჯდომა, რაც შეიძლება მუნდიალის გამოტოვებად დამიჯდესო. დავამშვიდე და ვუთხარი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამგზავრებლად სულაც არ არის აუცილებელი აბსოლუტურად ყველა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ნდობა გამოვუცხადე და დავპირდი, რომ თუ ფიზიკურად ოპტიმალურ კონდიციაში იქნება, სამხრეთ აფრიკაში აუცილებლად გაემგზავრება. ამის მოსმენამ ძალიან გაახარა, მითხრა, მოტივაცია მომემატაო, რამდენიმე დღეში კი „მილანთან" ხელშეკრულებაც გაახანგრძლივა. დიდი იმედი მაქვს, რომ ჯენარო ფორმაში ჩადგება, ეროვნულ ნაკრებს ის ძალიან სჭირდება".

მოსალოდნელი დანიშვნა

# შესთავაზებენ, თუ დათანხმდება...

## პაოლო მალდინის ფეხბურთის ფედერაციაში იწვევენ

ფედერკალჩოს პრეზიდენტმა **ჯანკარლო აბეტემ** პრესასთან საუბარში განაცხადა, რომ მზად არის **პაოლო მალდინის** ნებისმიერი ვაკანტური პოსტი შესთავაზოს, ან სულაც მისთვის შემოიღოს რაიმე ახალი თანამდებობა. აი, რას ამბობს აბეტე:

„პაოლოსთან ყოველთვის შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა და ასეა ახლაც. მან უდიდესი წვლილი შეიტანა იტალიური ფეხბურთის განვითარებაში, რასაც ყოველთვის ვაფასებდით. უახლოეს დღეებში აუცილებლად შევეხმიანები მას და ფედერკალჩოში მუშაობის დაწყებას შევთავაზებ. დარწმუნებული ვარ, მისი გამოცდილების ადამიანი ნებისმიერ საქმეს წარმატებით გაუძლვება. თუმცა, არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემს შეთავაზებას დათანხმდება. პაოლოს გამოსამშვიდობებელი შეხვედრის გამართვაც შევთავაზე, მაგრამ უარი განაცხადა. არადა, ძალიან კარგი გეგმები გვქონდა. გვინდოდა, მისი ფორმაციის „მილანს" მსოფლიოს ჩემპიონის, იტალიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ ეთამაშა. ბუნებრივია, ფეხბურთელთა ნაწილი ერთ ტაიმს შავწითელი მაისურით ითამაშებდა, მეორეს კი ცისფრით, ეს ხომ ასეთ თამაშებში მიღებული პრაქტიკაა... სამწუხაროდ, პაოლომ თავი აარიდა გამოსამშვიდობებელ საღამოს, რადგან თავმდაბალი ადამიანია. თუმცა, იმედია დავითანხმებთ და ასეთი შეხვედრა 2010 წელს მაინც გაიმართება".

გვერდი მოამზადა
ლაშა ნიკლაურმა



პაოლო მალდინი



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი


მარსელ შეფერი

# შეფერს რიგი დაუდგა

## შალკე, ატლეტიკო, ასტონ ვილა, ინტერი...

„ვოლფსბურგის“ მარცხენა მცველ **მარსელ შეფერს** გერმანიის ჩემპიონატში საქმეები მაინცდამაინც კარგად ვერ მისდის. მიუხედავად ამისა, გერმანიის ნაკრებში ფეხმოკიდებული მცველი არაერთ ძლიერ გუნდს სურს. პირველ რიგში, მისი გადაბირება „შალკეს“ უნდა, რომელსაც „ვოლფსბურგის“ ყოფილი მწვრთნელი და შეფერის ქომაგი **ფელიქს მაგათი** წვრთნის. გარდა „შალკესი“, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მარსელის გადაბირება მადრიდის „ატლეტიკოს“, „ასტონ ვილას“ და მილანის „ინტერსაც“ სურთ.

*„მარსელით რამდენიმე ძლიერი კლუბი დაინტერესდა,* - ადასტურებს ფეხბურთელის მრჩეველი **თომას კროთი**, - *მაგრამ ამ ეტაპზე კონკრეტული შემოთავაზება არ არსებობს.“* მარსელ შეფერს „ვოლფსბურგთან“ კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს.

ჰერთა

# ბერლინს ფრიდრიხი არ ეთმობა

## მენეჯერი პრეეტცი: არნეს არსად გავუშვებთ!

როგორც იცით, გერმანიის ჩემპიონი „ვოლფსბურგი“ „ჰერტას“ კაპიტან **არნე ფრიდრიხით** დაინტერესდა. „მგლების“ სპორტულ დირექტორად „ჰერტას“ ყოფილი ბოსი **დიტერ ჰიონესი** დაინიშნა, რომელმაც, პირველ რიგში, მიზნად სწორედ ფრიდრიხის გადაბირება დაისახა, რადგან „ვოლფსბურგს“ დაცვაში უჭირს. მაგრამ ბერლინელთა მენეჯერმა **მიხაელ პრეეტცმა** ვოლფსბურგელებს უარი შეუთვალა.

*„ჯერ ერთი, ჩვენთვის არავის არაფერი შემოუთავაზებია და რომც შემოგვთავაზონ, ტყუილად გაირჯებიან, რადგან ჩვენ ლიდერების გაყიდვას არ ვაპირებთ. გუნდი ბოლო ადგილზეა და გადარჩენისთვის იბრძვის. ასეთ დროს კი ფრიდრიხის დარი ფეხბურთელის გაყიდვა თვითმკვლელობის ტოლფასია,“* - განუცხადა პრეეტცმა „ბილდს“. „ვოლფსბურგი“ მზად იყო, არნე ფრიდრიხში 8 მილიონი ევრო გადაეხადა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**


მიხაელ პრეეტცი ფრიდრიხს ვოლფსბურგში არ უშვებს

ბაიერნი

# დოლჩე ვიტა
# ვან გაალმა გაანადგურა

**თამამად ვიტყვით, არც ერთი სხვა უცხოელი ფეხბურთელი არ მორგებია მიუნხენის „ბაიერნს“ იმაზე უკეთ, ვიდრე თავის დროზე ლუკა ტონი მოერგო. მაგრამ ლუის ვან გაალმა იტალიელი გოლეადორი აითვალწუნა და საქმე იქამდე მივიდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი იძულებულია, მიუნხენი დატოვოს. უფრო მეტიც: „ბაიერნი“ ტონის უფასოდ თმობს! ლუკას რამდენიმე ვარიანტი აქვს და მათ შორის ყველაზე რეალური მისი „რომაში“ გადასვლაა. თუმცა გამოჩნდა „ჩელსის“ ვარიანტიც. ასე იქნება თუ ისე, ფაქტი ერთია: ტონი „ბაიერნს“ დატოვებს. მოდით, თავიდან მოვყვეთ და გავიხსენოთ იტალიელი გოლეადორის გერმანული თავგადასავალი.**

საფეხბურთო ექსპერტები დღეს, ანუ, 2009 წლის მინურულს, ერთხმად გაიძახიან, რომ მიუნხენის „ბაიერნი“ ისევ ის მიუნხენის „ბაიერნია“: დომინანტი, აროგანტი და მკაცრი. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რადგან იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნი“ დომინანტის როლს იბრუნებს ბუნდესლიგაში, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში კი ანგარიშგასაწევი ძალა ხდება (ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ გერმანელი ექსპერტები მას მერე, რაც რეკორდმაისტერმა „იუვენტუსი“ გაანადგურა). თუმცა გამოჩნდნენ ისეთი ექსპერტებიც, რომლებიც ამბობენ, რომ გარკვეულწილად სამწუხაროა ის ფაქტი, რომ „ბაიერნი“ ისევ „ის“ „ბაიერნია“, მაგრამ სულ მალე აღარ იქნება „Il Bayern Monaco“ (იტალიურად: მიუნხენის „ბაიერნი“).

ამას წინათ მიუნხენური კლუბის პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** ტონის უფასოდ დათმობასთან დაკავშირებით თქვა, გვინდა, რომ გუნდში სიმშვიდემ დაისადგუროსო - მიუხედავად იმისა, რომ ტონი არასდროს ყოფილა ამრევი...

...**ფილიპ ლამი**, რა თქმა უნდა, შესანიშნავი ფეხბურთელია, რომელსაც ინტერვიუებში ჭკვიანური რალაცების თქმა ეხერხება. რა თქმა უნდა, ძალიან ქარიზმატული ტიპია **ივიცა ოლიჩი** და ერთი სიამოვნებაა უყურო, თუ როგორ მზაკვრულად ახერხებს იგი, იყოს გუნდური მოთამაშე და ირბინოს ყველაზე მეტი. რა თქმა უნდა, ყველას მოსწონს და აღაფრთოვანებს ის ფაქტი, რომ **თომას მიულერმა** და **ჰოლგერ ბადშტუბერმა** ბოლო თვეებში უდიდესი პროგრესი განიცადეს. მიულერი, ბადშტუბერი: სახელები, რომლებიც ისე ჟღერს, თითქოს „ბაიერნი“ ერთი ჩვეულებრივი და ნორმალური კლუბი იყოს.

ცხადია, ეს ასე არ არის. რეკორდმაისტერში ყოველთვის ვნებები დუღს და რაღაც ხდება. საპატიო პრეზიდენტი შეუტევს ნაღდ პრეზიდენტს, ვინც მხარს უჭერს მწვრთნელს, რომელიც ერთი დღის წინ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ გააკრიტიკა (ან პირიქით). ბუნდესლიგაში ერთი თამაშის წაგების შემდეგ, მიუნხენში განგაშის ზარებს შემოჰკრავენ ხოლმე და თუ გუნდი მომდევნო ტურშიც დამარცხდა, „ზებენერშტრასეზე“ ყველა თვითგვემას ეწევა. სამაგიეროდ, საკმარისია, რეკორდმაისტერმა ჩემპიონთა ლიგაში გასვლითი თამაში მოიგოს (იქნება ეს მადრიდის „რეალი“ თუ ჰაიფას „მაქაბი“), რომ ისე აწევენ ცხვირებს, თითქოს მთელი საკლუბო ევროპა ფეხქვეშ გათელეს, ყველა ტიტული მოიპოვეს და თანაც, **ფრანც ბეკენბაუერმა** ნობელის პრემიაც აიღო. აი, ეს არის მიუნხენის „ბაიერნი“. ამ დროს კი, რთულია ისეთი ფეხბურთელის გახსენება, რომელიც მიუნხენში გადასვლისთანავე გუნდს ისე იდეალურად შეეწყო, როგორც ეს თავის დროზე ლუკა ტონის შემთხვევაში მოხდა.

როდესაც ბავარიელებმა იტალიელი იყიდეს, ეს კი 2007 წლის ზაფხულში მოხდა, მიუნხენში თითქოს მზე ამოვიდა. იტალიელი თავდამსხმელი კარგად გამოიყურებოდა და მუდმივად კარგ ხასიათზე იყო. ტონი არის ყველაზე მეტად იტალიელი ყველა იტალიელს შორის, რომელიც „დოლჩე ვიტასთან“, მუდმივად პოზიტივთან ასოცირდება. „ბაიერნისთვის“ კი მისი ტრანსფერი თავდაჯერებულობისა და პოზიტიური განწყობის გარანტია გამოდგა. და იმ დროს, როდესაც მიუნხენელებმა ტონი იყიდეს, „ბაიერნს“ ყველაზე მეტად სწორედ ეს ორი ფაქტორი სჭირდებოდა, რადგან იმ სეზონში მიუნხენელები მეოთხე ადგილზე გავიდნენ და გერმანულ გაზეთებში უკვე თითქმის ყოველდღე იწერებოდა, რომ ული ჰიონესს და **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** არაფერი აღარ შეეძლოთ, მით უფრო, კარგი ფეხბურთელების ყიდვა. და სწორედ ამ დროს, მიუნხენში ჩავიდა ტონი: მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი, მსოფლიოს ჩემპიონი, ოქროს ბუცის მფლობელი, იტალიის ნაკრების ცენტრფორვარდი. ტონის შემთხვევაში, ჰიონესმა თავის უსაყვარლეს საბანკო ანგარიშს საკმაოდ დიდი ფული მოაკლო და ლუკას წელიწადში 10 მილიონი ევრო დაუნიშნა, რაც ჰიონესის შემთხვევაში მსოფლიოს მერვე საოცრებაა.

ჰიონესმა პირველი სეზონის შემდეგ თქვა, ტონის სანაცვლოდ და მისთვის გადახდილი მილიონები ჩვენ უკვე ორმაგად ამოვიღეთო. რა გასაკვირია: ლუკას ხომ ფაქტობრივად ყველა მატჩში გაჰქონდა გოლი და თავის პირველივე მიუნხენურ სეზონში 39 (!) გოლს მოუყარა თავი! როდესაც ტონის მიუნხენის „ალიანს არენაზე“ გოლი გაჰქონდა, სტადიონზე **ადრიანო ჩელენტანოს** „აძურო“ ან **ჯანა ნანინის** ‚Bello e Impossibile“ ირთვებოდა, გამომცხადებელი ყვიროდა „Grazie“, პუბლიკა კი დაიქუხებდა: „Prego“ (იტალიურად: არაფრის)...

ლუკა ტონი და მიუნხენის „ბაიერნი“ - ეს იყო სიყვარული ერთი ნახვით და გაზაფხულზე, „ხეტაფესთან“ გასვლით მატჩში ბოლო წუთებზე გატანილი ორი გოლის შემდეგ, რითაც „ბაიერნმა“ უეფას თასის ნახევარფინალში გააღწია, ყველას ეგონა, რომ ეს იყო სამუდამო სიყვარული, რომელსაც დასრულება არ ეწერა.

ბავარიაში ლუკას აღმერთებდნენ და დღემდე აღმერთებენ, რადგან ზოგადად ტიპური ბავარიელიც ძალიან ლაღი და მხიარული ტიპია (გერმანიის სხვა მხარის შვილებისგან განსხვავებით). ბუნდესლიგაში კი ლუკა ყველასათვის მისაბაძი მაგალითი გახდა. გოლის ზეიმის მისეული სტილი რამდენიმე ფეხბურთელმა გადაიღო, ხოლო მისი გულის გასახეთქი მიმიკა კი, როცა მოცელავდნენ, ერთ-ერთმა ჟურნალმა სულაც რენესანსულ მხატვრობას შეადარა. მოკლედ, იყო დრო, როცა ლუკა ტონიმ ისევე დაიპყრო ბუნდესლიგა და გერმანული ფეხბურთი, როგორც თავის დროზე **ჯოვანი ტრაპატონიმ**. ისევე როგორც ტრაპი, ლუკაც სარეკლამო კლიპების აბსოლუტური ვარსკვლავი გახდა - გერმანული კომპანიები მისი სახის გამოყენებაში მილიონებს იხდიდნენ!

„ზებენერშტრასეზე“ მისთვის არასდროს არავის უთქვამს საყვედური იმის გამო, რომ ვარჯიშზე 5 წუთით დააგვიანა - ვერ ეუბნებოდნენ, რადგან ტიპია ისეთი, რომ ამას ვერ ეტყვი. მხიარული, გულღია, გულახდილი - მიუნხენში ყველაზე ცნობილი ღამის კლუბის, P1-ის წარმომადგენლები ამბობენ, „დოლჩე ვიტასთვის“ ლუკა ტონიზე იდეალური კანდიდატი არ არსებობსო.

არც დაგვიანება და არც ღამის კლუბების ხშირი სტუმრობა პრობლემას არ წარმოადგენდა მანამდე, სანამ ტონის გოლები გაჰქონდა. პრობლემა შეიქმნა მხოლოდ მაშინ, როცა ლუკამ გოლების გატანას უკლო და როცა **ოტმარ ჰიტცფელდის** წასვლის შემდეგ, მიუნხენში ისეთმა მწვრთნელებმა დაიწყეს მოსვლა, რომლებიც მიიჩნევდნენ და მიიჩნევენ, რომ ცხოვრების წესის მასწავლებლებიც არიან!


ლუკა ტონი

პირველ მისიონერ **იურგენ კლინსმანს** ტონი მარტივად გაუმკლავდა თავისი ღიმილით, აი, **ლუის ვან გაალთან** კი ვეღარაფერი გააწყო. უკმეხმა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა მუდამ მომღიმარი და მუდამ კარგ ხასიათზე მყოფი იტალიელი, ანუ ნამდვილი „დოლჩე ვიტა“ ისე გააბრაზა და ისე გამოიყვანა წყობიდან, რომ „შალკესთან“ მატჩის დროს, შეცვლის შემდეგ, განრისხებულმა ტონიმ სტადიონი დატოვა! მანამდე, ასეთი რამ ლუკასგან წარმოუდგენელი იყო! ვერავინ იფიქრებდა, რომ ვინმე მის განრისხებას შეძლებდა. ეს იყო მისი უკანასკნელი თამაში ბუნდესლიგაში.

ლუკა ტონიმ ერთხელ თქვა, ძალიან მომწონს, რომ გერმანელებს ცოტათი ქაოსური და სხვანაირი „ბელა ვიტა“ ასე ძალიან შევუყვარდიო. „ბაიერნის“ ქომაგებს დღემდე არ სიამოვნებთ ის, რომ ვან გაალმა ტონიზე საბოლოოდ თქვა უარი, მაგრამ ჯერჯერობით ხმას არ იღებენ, რადგან გუნდი წარმატებით თამაშობს. სწორედ ამიტომ, მხოლოდ ტონისთვის სამადლობელი ტრანსპარანტებით თუ შემოიფარგლებიან ხოლმე. მაგრამ საკმარისია, ვან გაალს შედეგი გაუფუჭდეს, ხოლო ტონიმ კი, სადაც იქნება, ბევრი გოლი გაიტანოს, რომ „ბაიერნის“ ფანობა ჰოლანდიელს ამას მაშინვე წამოაძახებს, რადგან მიუნხენში დღესაც ტონი უფრო უყვართ, ვიდრე ვან გაალი და ლუისმა კიდევ ძალიან ბევრი რამ უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ამ მხრივ ლუკაზე წინ დადგეს.

**გერმანია.** ბუნდესლიგა. პირველი წრის შეჯამება

# 11 მოგებული და 11 წაგებული



პირველი წრის საუკეთესო ბომბარდირი შტეფან კისლინგი

**ბუნდესლიგის 2009/2010 წლების სეზონის პირველი წრე უკვე ისტორიის კუთვნილებაა და გერმანიის ჩემპიონატი მთელი თავისი ორომტრიალით 15 იანვრამდე დაგვემშვიდობა. შესაბამისად, დროა, სეზონის პირველი ნახევარი შევაჯამოთ. შემოდგომის ჩემპიონი ყველასათვის მოულოდნელად, ლევერკუზენის „ბაიერი“ გახდა, „ფარმაცევტებს“ კუდში უდგანან ფელიქს მაგათის „შალკე“ და მიუნხენის „ბაიერნი“. დედაქალაქის გუნდი ბერლინის „ჰერტა“ კი, პირველი წრის შემდეგ ბოლო ადგილზეა და გუნდს, რომელმაც წინა სეზონში გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძოლა, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრება. კიდევ რომელმა ფეხბურთელმა, მწვრთნელმა თუ კლუბმა გაგვიმართლა ან გაგვიცრუა იმედები? წარმოგიდგენთ პირველი წრის 11 გამარჯვებულსა და 11 დამარცხებულს.**

## გამარჯვებულები

1. იუპ ჰაინკესი, ლევერკუზენის მთავარი მწვრთნელი

„ბებერმა იუპმა“ „ლევერკუზენი“ ზაფხულში ჩაიბარა და ამ თანამდებობაზე **ბრუნო ლაბადია** შეცვალა, რომელმაც ლევერკუზენელებს ნერვები დააწყვიტა და ბოლოს ჰამბურგში გაიქცა. ბოლო წლებში ბუნდესლიგაში ისეთი ტენდენცია შეინიშნებოდა, რომ ძველ, გამოცდილ მწვრთნელებს ყურადღებას აღარ აქცევდნენ და აქცენტს ახალგაზრდა სპეციალისტებზე აკეთებდნენ, მაგრამ ასეთმა მიდგომამ არ გაამართლა (მაგ: **კლინსმანი, ბაბელი**). **ჰაინკესის** დანიშვნა კი „ლევერკუზენის“ შეფებს იმ ფაქტმა გადააწყვეტინა, რომ წინა სეზონის მიწურულს „დონ იუპს“ მიუნხენის „ბაიერნი“ დროებით (კლინსმანის გაგდების შემდეგ) ჩააბარეს და 64 წლის სპეციალისტმა ყველას დაანახვა, რომ ბებერი მწვრთნელები ჯერ არ არიან ჩამოსაწერნი. მის ხელში „ლევერკუზენი“ უაღრესად სტაბილური და თავდაჯერებული გუნდია, რაზეც სატურნირო ცხრილიც მეტყველებს: „ბაიერმა“ პირველი წრე წაგების გარეშე დაასრულა და აბსოლუტურად დამსახურებულად გახდა შემოდგომის ჩემპიონი.

2. ივიცა ოლიჩი, ბაიერნის თავდამსხმელი

**ივიცა ოლიჩი** განსაკუთრებული თავდამსხმელია, რაშიც ჩვენ ყველანი კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. მართალია, ზაფხულში „ჰამბურგიდან“ უფასოდ აყვანილმა ფორვარდმა პირველ წრეში რამდენიმე კვირა ლაზარეთში გაატარა, მაგრამ გამოჯანმრთელების შემდეგ არც ერთი მატჩი არ ჩაუგდია. როცა ოლიჩი მოედანზეა, მისგან ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს უნდა ელოდო. აქვს ბრწყინვალე საგოლე ალღო და რაც მთავარია, არაფრისგან ეხერხება გოლების გატანა. ოლიჩი „ბაიერნის“ ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული თავდამსხმელია. მან მთელ მიუნხენს დაავიწყა **ლუკა ტონის** არსებობა. 6 გოლი და 3 პასი გრანდიოზული შედეგი არ არის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბუნდესლიგაში მას ტრავმების გამო თვეზე მეტი გაუცდა. ტურინის „იუვენტუსთან“ კი ოლიჩმა კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

3. კევინ კურანი, შალკეს თავდამსხმელი

მას მერე, რაც „შალკეს“ **ფელიქს მაგათი** წვრთნის, **კევინ კურანი** თავიდან დაიბადა. გახსოვთ, როგორ უსტვენდნენ ხოლმე გელზენკირხენელი გულშემატკივრები კევინს? დღეს კი კურანის მოედანზე გამოსვლას და ბურთთან შეხებას ტაშითა და ოვაციებით ეგებებიან. მაგათმა შეძლო და კურანიში ბომბარდირი გაალვიძა. კევინი „ხუმარებს“ პირველ წრეში 8 გოლითა და 3 პასით შეეწია, რითაც „შალკეს“ ყველაზე პროდუქტიული ფეხბურთელია.

4. ელჯერო ელია, ჰამბურგის თავდამსხმელი

„ჰამბურგმა“ ვერცხლისწყალივით მოძრავი და უაღრესად სწრაფი გარემარბი ზაფხულში იყიდა და თამამად ვიტყვით, რომ ჰოლანდიელმა იმედები გაამართლა. როდესაც ჩრდილოგერმანელებს თავდასხმაში ძალიან გაუჭირდათ (დაშავდნენ **პეტრიჩი** და **გერერო**, ვერ ივარგა **ბერგმა**), მწვრთნელმა **ბრუნო ლაბადიამ ელია** ცენტრფორვარდად ათამაშა და ჰოლანდიელი აქაც შეუდარებელი იყო. 5 გოლი და 7 პასი - ელია გოლს პლუს პასის რეიტინგში მეოთხე ადგილზეა.

5. ლუკას ბარიოსი, დორტმუნდის ბორუსიას თავდამსხმელი

**ლუკას ბარიოსი** „დორტმუნდში“ „მსოფლიო გოლეადორის“ სტატუსით მივიდა, მაგრამ თავიდან ბუნდესლიგურ სტილთან შეგუება ძალიან გაუჭირდა. თუმცა მოგვიანებით მან გოლების გატანა დაიწყო და საბოლოო ჯამში, პირველი წრე ბრწყინვალედ ჩაატარა. ბარიოსის ანგარიშზე 9 გოლი და 2 საგოლე პასია. ზაფხულიდან დღემდე, დორტმუნდში ლუკასის 50 000-ზე მეტი მაისურა გაიყიდა...

6. თომას ტუხელი, მაინცის მწვრთნელი

ბუნდესლიგის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელმა დაამტკიცა, რომ მისთვის ასეთ მაღალ დონეზე მუშაობა ნაადრევი არ ყოფილა. გამოუცდელმა **ტუხელმა** ელიტაში ალზევებული „მაინცი“ ზაფხულში ჩაიბარა და ჯუჯა გუნდს ისე ათამაშებს, დაიკვეხნოს ნებისმიერმა გამოცდილმა სპეციალისტმა!

7. ჰოლგერ ბადშტუბერი, ბაიერნის მცველი

ვინ იფიქრებდა სეზონის წინ, რომ 20 წლის მცველი **ჰოლგერ ბადშტუბერი** „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილს დაიმკვიდრებდა და თანაც ისე, რომ ფაქტობრივად შეუცვლელი ფიგურა გახდებოდა? ბადშტუბერმა ეს შეძლო - არადა, ამ სეზონამდე მას მხოლოდ „ბაიერნზე“ უკიდურესად შეყვარებული ფანები თუ იცნობდნენ და ისიც, მხოლოდ გვარით. თუ გახსოვთ, **ლუის ვან გაალმა** პირველივე ვარჯიშზე თქვა, ბადშტუბერი ჩემი ფავორიტიაო...

8. მარკო როისი, მიონხენგლადბახის ბორუსიას ნახევარმცველი

ის ფაქტი, რომ მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ პირველი წრე მისთვის საპატიო მე-11 ადგილზე დაასრულა, სხვებთან ერთად ნახევარმცველ **მარკო როისის** დამსახურებაა. 20 წლის ნახევარმცველი უაღრესად ტექნიკური და სწრაფია. მიონხენგლადბახელ ფანებს მან **მარკო მარინი**, რომელმაც ზაფხულში „ვერდერს“ მიაშურა, საბოლოოდ დაავიწყა.

9. ტონი კროოსი, ლევერკუზენის ნახევარმცველი

„ბაიერნიდან“ „ლევერკუზენში“ განათხოვრებული **ტონი კროოსი** ჰაინკესის ხელში ისე ათამაშდა, რომ 100 პროცენტით ამართლებს გერმანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავის სტატუსს. პირველ წრეში ის ლიდერს 6 გოლითა და 4 საგოლე პასით შეეწია.

10. შტეფან კისლინგი, ლევერკუზენის თავდამსხმელი

პირველი წრის უმთავრესი გმირი **შტეფან კისლინგია**, რომელიც 12 გოლით ბომბარდირთა დავას სათავეში უდგას. ამ წარმატებით კისლინგი სერიოზულ განაცხადს აკეთებს იმაზე, რომ ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანონ და ათამაშონ. ფაქტია, რომ თუ მეორე წრეშიც ასე გააგრძელა, მის სამხრეთ აფრიკაში წაყვანას წინ ვერაფერი დაუდგება.

11. დანიელ ვან ბუიტენი, ბაიერნის მცველი

ბელგიელ მცველს ადრე „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ ჰქონდა, ვან გაალის ხელში კი დაცვის ბურჯია. ზაფხულში მიუნხენელებმა **ლუსიო** მილანის „ინტერს“ მიჰყიდეს და მისი წასვლით გამოწვეული სიცარიელე **დანიელ ვან ბუიტენმა** იდეალურად შეავსო. რაც ყველაზე მთავარია, აყლაყუდა ბელგიელს უამრავი გოლი გააქვს და როდესაც კუთხურების ან ჯარიმების დროს მეტოქის საჯარიმოში ჩადის, მოწინააღმდეგე მცველები და მეკარე მის წინაშე შიშისგან ძრწიან: 7 გოლი სეზონის პირველ ნახევარში (4 ბუნდესლიგაში, 2 გერმანიის თასზე, 1 ჩემპიონთა ლიგაში).

## დამარცხებულები

1. ლუკა ტონი, ბაიერნის თავდამსხმელი

„ბაიერნში“ ვან გაალის მისვლამ ლუკა ტონი გააუბედურა. ჰოლანდიელ მწვრთნელს იტალიელი თავდამსხმელი გულზე არ ეხატება, თამაშის მისეული სტილი არ მოსწონს და სწორედ ამიტომ, მთელი პირველი წრე სათადარიგოთა სკამი ახეხინა. ტონიმ ბუნდესლიგაში მხოლოდ 4 მატჩი ჩაატარა და სეზონის პირველ ნახევარში მის ანგარიშზე მხოლოდ ერთი გოლია - ისიც გერმანიის თასზე. გადაწყვეტილია: იანვარში ტონი მიუნხენს დატოვებს.

2. ლუკას პოდოლსკი, კიოლნის თავდამსხმელი

როგორც ჩანს, **ლუკას პოდოლსკის** მზე საბოლოოდ ჩასვენებულად უნდა გამოვაცხადოთ. „ბაიერნში“ რომ ვერ ივარგა, აპატიეს, მაგრამ „კიოლნშიც“ რომ ვერ გააქვს გოლები, ეს უკვე ბრწყინვალედ დაწყებული კარიერის კატასტროფულად გაგრძელებას ნიშნავს. 1061 წუთია (!), პოლდის ბუნდესლიგაში გოლი არ გაუტანია...

3. იენს ლემანი, შტუტგარტის მეკარე

პირველი წრის მიწურულს **ლემანმა** ისე აურია, რომ კინაღამ საგიჟეთში წაყვანა დაუპირეს. „აუტჩიკ“ ბავშვებს ეჩხუბებოდა, კლუბის ხელმძღვანელებს აკრიტიკებდა და ბოლოს „მაინცთან“ გუნდი დალუპა. სწორედ ამიტომ ურჩევს **ოლივერ კანი** ლემანს კარიერის დასრულებას.

4. მიროსლავ კლოზე, ბაიერნის თავდამსხმელი

**მირომ** ბუნდესლიგაში უკანასკნელი გოლი, არ გაგიკვირდეთ და, წინა ჩემპიონატში, 7 მარტს (!), „ჰანოვერთან“ შეხვედრაში გაიტანა. მას მერე კი ბუნდესლიგაში ერთხელაც არ შეურხევია მეტოქეთა კარის ბადე. **კლოზე** მძიმე კრიზისშია.

5. ალექსანდრ გლები, შტუტგარტის ნახევარმცველი

შტუტგარტელებმა **გლები** „ბარსელონადან“ დიდი ზარ-ზეიმით დაიბრუნეს (არენდით), მაგრამ ბელარუსმა ნახევარმცველმა პირველ წრეში, რბილად რომ ვთქვათ, ამაზრზენად ითამაშა. მას კრეატიული ნახევარმცველი ჰქვია და ნახეთ, როგორი შედეგი აქვს: 0 გოლი, 0 პასი.

6. მიხაელ იონინგი, ნიურნბერგის მწვრთნელი

მე-17 ტურში, კიოლნში 0:3 წაგების შემდეგ, „ნიურნბერგის“ თავკაცი **მიხაელ იონინგი** პოსტიდან გაათავისუფლეს. ელიტაში ალზევებულმა ფრანკებმა პირველი წრე მე-17 ადგილზე დაასრულეს. გუშინ გადაწყდა, რომ იონინგს „ჰანოვერის“ ყოფილი მწვრთნელი **დიტერ ჰეკინგი** შეცვლის.

7. ბერლინის ჰერტა

6 ქულა 17 ტურის შემდეგ - ბერლინის „ჰერტას“ უსუსურობა ყოველგვარ საზღვრებს გასცდა. მეორე წრიდან „ჰერტაში“ **ლევან კობიაშვილი** ითამაშებს და იმედი გვაქვს, რომ ბერლინელებს ელიტაში ადგილის შენარჩუნებაში დაეხმარება.

8. არმინ ფეე, ვოლფსბურგის მწვრთნელი

„ვოლფსბურგის“ მწვრთნელ **არმინ ფეეს** მაგათმა აწყობილი, დალაგებული და თანაც, გერმანიის ჩემპიონი გუნდი ჩააბარა უდიდესი პერსპექტივით. კლუბის ხელმძღვანელებმა ახალ მწვრთნელს ყველა წამყვანი ფეხბურთელი შეუნარჩუნეს და ახალი მოთამაშეებიც უყიდეს (**კალენბერგი, ზიანი, მარტინსი**), მაგრამ მოქმედმა ჩემპიონმა ახალი სეზონის პირველი წრე ძალიან ცუდად ჩაატარა და მე-8 ადგილზე დაასრულა. ჩემპიონთა ლიგას კი „მგლები“ ჯგუფური ეტაპიდანვე გამოეთიშნენ.

9. ტიმ ბოროვსკი, ვერდერის ნახევარმცველი

„ბაიერნიდან“ ბრემენში დაბრუნებულმა ნახევარმცველმა იმედები ვერ გაამართლა. არადა, **ბოროვსკი** თავის დროზე „ვერდერის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო და ამიტომაც თამაშობდა გერმანიის ნაკრებში, ამიტომაც გადაიბირა ის „ბაიერნმა“. ახლა კი ტიმს აღარც ბუნდესგუნდში იძახებენ და ვერც „ვერდერში“ ახერხებს ძველებურად თამაშს.

10. იორნ ანდერსენი, მაინცის ყოფილი მწვრთნელი

ეს სპეციალისტი სეზონის დაწყებამდე ორიოდ დღით ადრე, ზედ პირველი ტურის წინ გაათავისუფლეს. მიზეზი: „მაინცი“ გერმანიის თასის პირველივე ეტაპიდან გავარდა, დამარცხდა რა რეგიონალლიგის წარმომადგენელ „ლიუბეკთან“.

11. გრაფიტე, ვოლფსბურგის თავდამსხმელი

**გრაფიტე** წინა სეზონის ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელია. ამ სეზონში კი ბრაზილიელი ძალიან ცუდად გამოიყურება. სწორედ ამიტომ, ბრაზილიელი თავდამსხმელი პირველი წრის ერთ-ერთი უმთავრესი იმედგაცრუებაა.

**გოტფრიდ ლენცი**



უსუსური ჰერტა

### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | თ | გ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი) | 17 | 12 | 4 | 16 |
| 2. მესუთ იოზილი (ვერდერი) | 15 | 6 | 10 | 16 |
| 3. ედინ ჯეკო (ვოლფსბურგი) | 17 | 7 | 6 | 13 |
| 4. ელჯერო ელია (ჰამბურგი) | 17 | 5 | 7 | 12 |
| 5. მარიო გომესი (ბაიერნი) | 17 | 8 | 4 | 12 |
| 6. ვედად იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი) | 17 | 6 | 6 | 12 |
| 7. ანდრეას ივანშიტცი (მაინცი) | 16 | 6 | 6 | 12 |
| 8. ლუკას ბარიოსი (ბორუსია დ) | 17 | 9 | 2 | 11 |
| 9. კევინ კურანი (შალკე) | 16 | 8 | 3 | 11 |
| 10. ზვიეზდან მიშიმოვიჩი (ვოლფსბურგი) | 16 | 6 | 5 | 11 |
| 11. ტონი კროოსი (ლევერკუზენი) | 17 | 6 | 4 | 10 |
| 12. თომას მიულერი (ბაიერნი) | 17 | 5 | 5 | 10 |
| 13. ტრანკუილო ბარნეტა (ლევერკუზენი) | 17 | 2 | 7 | 9 |
| 14. ერენ დერდიოკი (ლევერკუზენი) | 16 | 6 | 3 | 9 |
| 15. ჯეფერსონ ფარფანი (შალკე) | 17 | 6 | 3 | 9 |
| 16. მაჰამადუ ოდრისუ (ფრაიბურგი) | 17 | 5 | 4 | 9 |
| 17. ივიცა ოლიჩი (ბაიერნი) | 13 | 6 | 3 | 9 |
| 18. ზე რობერტო (ჰამბურგი) | 12 | 6 | 4 | 9 |
| 19. ალექსანდერ მაიერი (აინტრახტი) | 17 | 6 | 3 | 9 |
| 20. დიდიე ია კონანი (ჰანოვერი) | 15 | 6 | 3 | 9 |

### პირველი წრის სიმბოლური ნაკრები (4-1-3-2)

**ჰაინც მიულერი** (მაინცი) - **მანუელ ფრიდრიხი** (ლევერკუზენი), **დანიელ ვან ბუიტენი** (ბაიერნი), **ნევენ სუბოტიჩი** (ბორუსია დ), **გონსალო კასტრო** (ლევერკუზენი) - **სვენ ბენდერი** (ბორუსია დ) - **არიენ რობენი** (ბაიერნი), **ტონი კროოსი** (ლევერკუზენი), **მესუთ იოზილი** (ვერდერი) - **ივიცა ოლიჩი** (ბაიერნი), **შტეფან კისლინგი** (ლევერკუზენი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს XIX ჩემპიონატი. VIII ტური

# ტა, ტა, ტა... მოიდა როდუმტააა



**26 დეკემბერი. ბათუმი**

**ბათუმი–შსს 94:83**

24:17, 26:27, 24:22, 20:17

ბათუმი: მიქელაძე, ვ. მაისურაძე (6ქ), ბ. ლეჟავა (11ქ, 5პ), თავართქილაძე (5ქ, 6მ, 4პ, 5ფ), კეშელავა (18ქ, 13მ, 4პ, 5ჩ), იმნაძე (10ქ, 5ფ), როდუმტა (24ქ, 13მ, 3პ), ნინუა (13ქ), მ. ბოლქვაძე (7ქ, 7მ)

შსს: დ. ბერიშვილი (9ქ, 4ჩ), მიქაბერიძე, ლაფანაშვილი (15ქ, 5მ, 3ჩ), ფაიქრიძე (3ქ, 3ჩ), ი. ბერიშვილი (20ქ, 3ჩ), აბულაძე (2ქ, 5ფ), კორკოტაძე, ს. შერმადინი (10ქ, 6მ, 2დ), სუხიშვილი (6ქ. 7მ), ნიკოლაძე (18ქ, 3პ, 3ჩ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე. კომისარი: თ. ქიქოძე

**თბილისი. სპორტის სასახლე**

**აგრარული–ჭიათურა 95:70**

21:16, 22:8, 28:20, 24:26

აგრარული: წივწივაძე (6ქ, 10პ, 7მ), გულისაბედაშვილი (9ქ, 5ჩ), დიდია (16ქ), მათიაშვილი (11ქ, 14მ), გ. ბარბაქაძე (15ქ), ხანიაშვილი (11ქ, 6მ), გასიტაშვილი (5ქ), ცერცვაძე, ათანელიშვილი (19ქ, 10მ)კანდელაკი (3ქ)

ჭიათურა: ფ. გურული (22ქ, 7მ, 3პ, 5ფ), გ. გურული, სვანიძე (27ქ, 7მ, 4პ), გაბუნია, მჭედლიშვილი (7ქ), თავამაიშვილი (6ქ, 8მ, 3პ), ხაჩიური (4ქ), მეზვრიშვილი (4ქ, 5ფ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. არეშიძე. კომისარი: მ. რატიშვილი

**ავია–სამედ/აკადემია 90:64**

24:13, 23:9, 17:18, 26:24

ავიამშენი: ბადრიძე (1ქ, 5მ, 4პ), ბოისა (8ქ, 8მ), ბერაია (4ქ), ვახანია (4ქ, 5მ), მაჩალაძე (2ქ), პირველაშვილი (15ქ, 12მ), ათუაშვილი (28ქ, 16მ, 5დ), ნინიაშვილი (17ქ, 7მ), მინაშვილი (11ქ, 5მ, 3ჩ)

სამედ/აკადემია: ი. ლეჟავა (11ქ, 4პ), ჩქარეული (9ქ), ლომოური (4ქ), ბოქოლიშვილი (14ქ, 6მ), ბექაური (6ქ), მუმლაძე (4ქ, 5ფ), თენეიშვილი (5ქ), გაბისონია, ჯავახიშვილი (3ქ, 6მ, 5ფ), ელიაძე (3ქ), ჭიჭვეიშვილი, ზ. მაისურაძე (5ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი. კომისარი: რ. გელოვანი

**დინამო–ენერჯი 47:96**

4:21, 8:26, 12:27, 23:22

დინამო: ეძგვერაძე, სიგუა (2ქ, 7პ), გემაზაშვილი (4ქ, 10მ), ჯანგველაძე (13ქ), დეკანოიძე (10ქ, 5მ), კოპალიანი (5ქ, 7მ), ლონდარიძე (13ქ, 9მ)

ენერჯი: ბაბიაშვილი (5ქ, 3პ), ცეკვავა (11ქ), ჩაჩანიძე (16ქ), აბაიშვილი (5ქ, 3პ), ტულუში (8ქ, 5მ, 4პ, 5ჩ), დვალიშვილი (4ქ, 8მ), არწივიძე (5ქ), ხმელიძე (17ქ, 6მ), ტუჯანი (16ქ, 10მ, 3ჩ), ჭოჭუა (9ქ, 4ჩ), ბერუაშვილი

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე. კომისარი: მ. ქურიძე

**თსუ–სოხუმი 90:69**

14:8, 24:24, 36:11, 16:26

თსუ: ფანჩულიძე (12ქ, 4პ), გაფრინდაშვილი (11ქ), კოხრეიძე (9ქ, 9პ, 3ჩ), კედია (15ქ, 13მ, 3ჩ, 2დ), ლოსაბერიძე (9ქ, 7მ), ივანეიშვილი (11ქ), დ. ბარბაქაძე (7ქ), ვ. ბოლქვაძე (2ქ, 5მ,), კუჭავა (8ქ), დეკანოიძე, ხიზანიშვილი (6ქ)

სოხუმი: ტეტელაშვილი (5ქ), სორდია (7ქ), კვეტენაძე (22ქ, 12მ, 3ჩ), ბ. ბერიშვილი (9ქ, 3ჩ), კვიმსაძე (4ქ, 3პ), კანკია (10ქ), კობიძე (3ქ), თვარაძე (9ქ), სულაბერიძე, გაბელია

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. ანდღულაძე. კომისარი: რ. ხომერიკი

| | თ | მ | ნ | სხვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 8 | 8 | 0 | 765-498 | 16 |
| 2. აგრარული | 8 | 7 | 1 | 671-549 | 15 |
| 3. თსუ | 8 | 7 | 1 | 774-618 | 15 |
| 4. ბათუმი | 8 | 5 | 3 | 699-602 | 13 |
| 5. შსს | 8 | 4 | 4 | 713-649 | 12 |
| 6. ავიამშენი | 8 | 3 | 5 | 645-667 | 11 |
| 7. სოხუმი | 8 | 3 | 5 | 573-635 | 11 |
| 8. დინამო | 8 | 2 | 6 | 559-705 | 10 |
| 9. სამედ/აკად. | 8 | 1 | 7 | 521-627 | 9 |
| 10. ჭიათურა | 8 | 0 | 8 | 468-835 | 8 |

**მე-8 ტურის სიმბოლური ნაკრები**

ირ. ბერიშვილი (შსს): 36 წთ, 20 ქ, 4 მ, 2 პ, 3 ჩ
ლ. ხველიძე (ენერჯი): 25 წთ, 17 ქ, 6 მ, 1 პ, 1 ჩ, 1 დ
ლ. კეშელავა (ბათუმი): 33 წთ, 18 ქ, 13 მ, 4 პ, 5 ჩ
პ. როდუმტა (ბათუმი): 29 წთ, 24 ქ, 13 მ, 3 პ, 1 ჩ
ს. ათუაშვილი (ავია): 30 წთ, 28 ქ, 16 მ, 1 დ
*მწვრთნელი: დ. უსტიაშვილი (ბათუმი)*

სუპერლიგის ცენტრალური მატჩი ბათუმში გაიმართა. ზღვისპირეთს ეწვია ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი შსს. მეტოქეებს ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ და სწორედ ურთიერთდაპირისპირებას უნდა გაერკვია პირველ წრეს უფრო უკეთ რომელი დაასრულებდა.

მასპინძლებმა მატჩის დასაწყისშივე დაამტკიცეს, რომ ფავორიტთა სიიდან მათი ამოგდება არ შეიძლება. ბათუმელთა კამერუნელმა მეფარე **პლასიდე როდუმტამ** კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრია. მისი შეჩერება სტუმარ მეფარეებს ძალიან გაუჭირდათ. თავად განსაჯეთ: **ვანო აბულაძემ** 9 წუთში 5 ჯარიმა მიიღო, **ლადო სუხიშვილმა** და **სოსო შერმადინმა** მატჩი 4-4 ფოლით ჩაამთავრეს.

პირველ ტაიმში ბათუმელთაგან სნაიპერობა როდუმტამ იკისრა, მეორეში — **ლაშა კეშელავამ** გადაიბარა. დაძაბულ ბრძოლაში „ბათუმმა" გაიმარჯვა. მათი წარმატების ერთ-ერთი მიზეზი ფარქვეშ მოპოვებული უპირატესობა იყო: მოხსნებში ზღვისპირელებმა 50:35 იმარჯვეს.

მივადექით მთავარს: პლასიდე როდუმტამ 29 წუთში 24 ქულა, 13 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. გასაოცარი იყო მისი სიზუსტე: 8-დან 7 ორქულიანი, 10-დან 10 საჯარიმო. სხვათა შორის, მეოთხე ტურში როდუმტას თანამემამულე **ჟულივეტ ტუჯანმა** თსუ-ს სწორედ 24 ქულა ჩაუგდო და ბურთი 13-ჯერ მოუხსნა. მაშინ კამერუნელი ტუჯანი ტურის საუკეთესოდ დავასახელეთ. ამდენი დამთხვევა ერთითაც შევავსოთ: პლასიდე როდუმტა მე-8 ტურის საუკეთესო კალათბურთელად ვაღიარეთ.

რადგან მომდევნო ტური დღეს იმართება და ტრადიციული, სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებას ვერ მოვასწრებთ, გადავწყვიტეთ, მე-8 ტურის სიმბოლური ნაკრებიც დღეს შემოგვეთავაზებინა.

■ ■ ■

თბილისში გამართული ოთხივე მატჩის შედეგის წინასწარ გამოცნობა შეიძლებოდა. „აგრარული" „ჭიათურას", „ავიამშენი" „აკადემიას", „ენერჯი" „დინამოს", ხოლო თსუ „სოხუმს" რომ აჯობებდა, წინასწარ ვიცოდით.

პროგნოზირებადი მატჩები კი იყო, მაგრამ რამდენიმე საყურადღებო დეტალზე მაინც უნდა ვთქვათ.

„აგრარების" შემადგენლობაში გამოჩნდა **რეზო ათანელიშვილი**, რომელიც ერთი კვირით ლიტვაში სინჯებზე იყო. დაბრუნდება თუ არა ლიტვაში, ჯერ ვერ გეტყვით. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ სტუდენტთა მეორე ცენტრი **რიჩარდ მათიაშვილი** ამერიკაში 30 დეკემბერს მიემგზავრება. მას კოლეჯში არდადეგები ჰქონდა და საქართველოში ორიოდე კვირით იყო ჩამოსული. შეიძლება, გაგიკვირდეთ, კალათბურთელი 2-3 მატჩისთვის განაცხადში რატომ შეიყვანესო. საქმე ისაა, რომ რიჩარდი ამერიკაში სეზონს მარტში დაასრულებს და პლეი ოფებისთვის აგრარული უნივერსიტეტის გუნდს დაემატება.

რუსთაველებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ამ სეზონს კარგ ფორმაში შეხვდნენ. მათ აუტსაიდერ „დინამოს" პირველი ტაიმი 47:12 მოუგეს. საყურადღებოა, რომ რუსთაველთა მწვრთნელმა **მიხეილ ბერუაშვილმა** საკმარისი სათამაშო დრო გამოუყო ახალგაზრდებს, რომლებმაც მას ბოლომდე გაუმართლეს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

„დენვერთან" წაგების შემდეგ „ატლანტა ჰოქსმა" ინდიანაში ადგილობრივი „პეისერსი" 110:98 დაამარცხა.

ჯორჯიელებმა მატჩი თავიდანვე კარგად დაიწყეს, პირველი პერიოდი 33:20 მოიგეს. დარჩენილ დროში „ინდიანამ" მდევრის როლს თავი ვერ დაალწია.

სტუმართა შორის საუკეთესო სასტარტო ცენტრი **ელ ჰორფორდი** იყო. მან 25 ქულა, 19 მოხსნა და 5 დაფარება მიითვალა. **ზაზა ფაჩულიამ** 14 წუთი ითამაშა, 4-დან 2 ორქულიანი, 4-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და 5 ქულა მოაგროვა.

„ჰოქსი" მორიგ შეხვედრას 29 დეკემბერს შინაურ „პეპსი არენაზე" „კლივლენდის" წინააღმდეგ ჩაატარებს. მეორე დღეს ეს გუნდები ერთმანეთს კლივლენდში დაუპირისპირდებიან. სხვათა შორის, „კლივლენდი" აღმოსავლეთის კონფერენციაში მეორე პოზიციაზეა (23 მოგება, 8 წაგება), „ატლანტა" კი მეოთხეზეა - 21 გამარჯვება, 8 მარცხი.

**ინდიანა–ატლანტა 98:110**

ზაზა ფაჩულია: 14 წუთი, 5 ქულა, 2 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება, 2 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 01:01 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 11:47 | ფოლი: 1 |
| 09:58 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 08:45 | დაფარება: 1 (ჰანსბრუგს დაუფ.) |
| 08:44 | ფოლი: 2 |
| 08:44 | ზაზა სმიტმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 04:02 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 03:47 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 02:47 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 02:17 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 00:17 | ჩაჭრა: 1 (რაშ ჩაუჭრა) |
| 00:01 | ორქულიანი: 2ქ (84:66) |
| **IV პერიოდი** | |
| 10:24 | ჩაჭრა: 2 (დანლივის ჩაუჭრა) |
| 08:41 | ორქულიანი: 4ქ (90:72) |
| 07:35 | საჯარიმოები: 2/1 (5ქ, 93:77) |
| 06:49 | საჯარიმოები: 2/0 |
| 06:26 | ზაზა ჯონსონმა შეცვალა |

## მატჩის დღე ფაჩულიასთან ერთად

ზაზა ფაჩულიამ თავის ოფიციალურ ვებსაიტზე გამოაქვეყნა საინტერესო სტატია, რომელშიც საუბარია წინასამატჩო განრიგზე:

ქართველი NBA-ში

## ვარჯიში კლივლენდის წინ

„ხალხი ხშირად მეკითხება, როგორია ჩემი სათამაშო დღის განრიგი. თუ დაგაინტერესებთ, ყველაფერს საათობრივად მოგიყვებით.

**8:15** - ვიღვიძებ.

**9:30** - „პეპსი არენაზე" ბურთის სასროლად მივდივარ. ყოველთვის ვცდილობ, დათქმულზე 30 წუთით ადრე შევიდე, რათა ის ტყორცნები დავხვეწო, რასაც მნიშვნელოვნად მივიჩნევ.

**10:00** - გუნდი ვარჯიშს იწყებს. საღამოს მატჩის წინ დატვირთვა არ შეიძლება, ამიტომ მსუბუქად ვვარჯიშობთ. ბურთის ტყორცნის შემდეგ ვმსჯელობთ მომავალ მეტოქეზე და განვლილ შეხვედრებში ჩვენს შეცდომებს ვაანალიზებთ.

**11:00** - წვრთნა მთავრდება. თუ დარბაზში მედიის წარმომადგენლები არიან, მათ კითხვებს ველი, ვპასუხობ და შინ მივდივარ.

**13:30** - მატჩის დღეს ხშირად მივირთმევ მაკარონს.

**14:00** - ძილის დრო დგება. მიყვარს დაახლოებით 90 წუთი წაძინება. გამოღვიძებული ყავას ვსვამ, კარგად რომ გამოვფხიზლდე.

**17:00** - დარბაზში შევდივარ და თამაშისთვის ვემზადები. თუ ექიმების მცირე დახმარება მჭირდება, არენაზე უფრო ადრე მივდივარ და მერე მოედანზე გასვლას და სროლაში წავარჯიშებასაც ვასწრებ.

**ნამატჩევს** - თამაშის შემდეგ მიყვარს კარგად დანაყრება. ზაფხულში რესტორანი „ენო" ვიყიდე. სწორედ იქ მივდივარ მატჩების შემდეგ.

**24:00** - თამაშის ღამეს დაძინება ძალიან მიჭირს. ემოციური ვარ და განვიცდი, როცა ვაგებთ ან სათანადოდ ვერ ვთამაშობ. იოლად ვერც მოგებული თამაშების მერე ვიძინებ, რადგან თავში განვლილი შეხვედრა მიტრიალებს და ვფიქრობ, რა უნდა გავაკეთოთ პროგრესისთვის."

**ვაჟა სიმონიშვილი**

ათლეტიზმი



1970-იანი წლები. კოტე ზაუტაშვილი შეგირდებთან

## მესაძირკვლეს არ ივიწყებენ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში დღეს ათლეტიზმში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი გაიმართება, რომელიც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის **კონსტანტინე ზაუტაშვილის** 100 წლისთავს ეძღვნება.

— სახელოვანმა სპორტსმენმა და მწვრთნელმა დიდი სარბიელისკენ გზა ძალოსნობით გაიკაფა. 1928 წელს მან სრულიად საქართველოს სპარტაკიადაზე ამიერკავკასიის ხუთი რეკორდი დაამყარა ძალოსნობაში. მარცხენა ხელით კი 63,5 კილოგრამი აიტაცა, რაც მაშინდელ საკავშირო და მსოფლიოს რეკორდს აღემატებოდა, — გვითხრა ზაუტაშვილის ერთ-ერთმა შეგირდმა, პროფესორმა **შოთა ბუაძემ**.

კონსტანტინე ზაუტაშვილი სპორტული ოჯახიდან იყო. მამამისი ახალგაზრდობისას ჭიდაობდა, მერე სპორტულ ინვენტარს ამზადებდა. დედა ჭადრაკით იყო გატაცებული. საგულისხმოა, რომ ყოფილ საბჭოეთში ხის ხელყუმბარები და ბადროები პირველმა სწორედ კოტე ზაუტაშვილმა დაამზადა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 17 წლის განმავლობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის კათედრას ხელმძღვანელობდა. 1966 წელს კუბის სახალხო რესპუბლიკაში მიავლინეს, სადაც ძალოსნობის განვითარებას ხელმძღვანელობდა. კუბელი შეგირდებიდან ყველაზე სახელოვანი გახდა **სერხიო ოლივა** — მისტერ მსოფლიოს ტიტულის მრავალგზის მფლობელი.

— კოტე ზაუტაშვილმა 1968 წელს საქართველოში ათლეტიზმს ჩაუყარა საფუძველი, — ამბობს შოთა ბუაძე. — მისმა ნაყოფიერმა მუშაობამ კარგი შედეგი გამოიღო — 1986 წელს საქართველოს ნაკრებმა პირველ საკავშირო ჩემპიონატში ყველას აჯობა. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე მოპოვებულია 50-ზე მეტი ოქროს მედალი. 2008-2009 წლებში კი ჩვენმა ათლეტებმა მსოფლიოს გუნდური თასი დაიმსახურეს.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# რუბიკონი გადალახეს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება **თეიმურაზ ლომაიას** მემორიალი, რომელშიც 8, 10, 12 და 16 წლის მოჭადრაკეები მონაწილეობენ შვიდ ტურად.

გუშინდელი მე-4 ტურის შემდეგ რვაწლიანებში შეჯიბრების გათამაშების ცხრილს უდანაკარგოდ შემორჩნენ **ბაქარ გამეზარდაშვილი, დავით ლობჟანიძე** და **მათე თოდაშვილი**, რომლებმაც, შესაბამისად, **ანასტასია სიდამონიძე, სალომე სანიკიძე** და **სანდრო გორდაძე** დაამარცხეს. ათწლიანებში 4-4 ქულით **ლუკა ლიჩელი, მიშიკო მუხიგული** და **ალექსანდრ მუტაფიანი** ლიდერობენ. გუშინ მათ **ირაკლი ტულუშს, ვანო გამეზარდაშვილსა** და **ნატა ჯიბუტს** აჯობეს.

თორმეტ და თექვსმეტწლიანებში ორხელისუფლებიანობაა. 12-წლიანებში **ლევან ჯიბუტისა** და **გიორგი სიბაშვილის** მძლეველი **ნინო ხომერიკი** და **ირაკლი კელაპტრიშვილი** დაწინაურდნენ. 16-წლიანებში გუშინ **ანა კუჭავამ რევაზ ჭკუასელი** დაამარცხა, ხოლო **ნიკა ვოლკოვმა თორნიკე გაბუნიას** მოუგო.

დღეს მე-5 ტურში ასაკების მიხედვით ლიდერთა ჯგუფში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:

**8-წლიანები.** ბაქარ გამეზარდაშვილი (4)-დათო ლობჟანიძე (4), მათე თოდაშვილი (4)-კოკა ბუკია (3,5), დემეტრე ჯიბუტი (3,5)-ლუკა დაბრუნდაშვილი (3,5), ბექა თათურაშვილი (3,5)-ცოტნე მამულაიშვილი (3,5).

**10-წლიანები.** ლუკა ლიჩელი (4)-მიშიკო მუხიგული (4), ალექსანდრ მუტაფიანი (4)-რატი პერტია (3,5), ვანო გამეზარდაშვილი (3)-ვანო ოქრუაშვილი (3), თამაზ კიკნაველიძე (3)-ნატა ჯიბუტი (3), მარიამ ჯავახიშვილი (3)-ირაკლი ტულუში (3), მარი შუბითიძე (3)-ვანო ღლონტი (3), მარი გოგიჩაიშვილი (3)-დევი ხოსიტაშვილი (3), თორნიკე იარაჯული (3)-ნიკოლოზ პრეტერი (3).

**12-წლიანები.** ნინო ხომერიკი (4)-ირაკლი კელაპტრიშვილი (4), ალექსანდრე ბიბილაშვილი (3,5)-ქეთევან ხომერიკი (3,5), ლუკა ლიჩელი (3)-გიორგი სიბაშვილი (3), ლევან ჯიბუტი (3)-გუგუნა ხიდეშელი (3), ანა ჭავჭანიძე (3)-უჩა მგელაძე (3).

**16-წლიანები.** ანა კუჭავა (4)-ნიკა ვოლკოვი (4), თორნიკე გაბუნია (3)-ნათია ჯალაბაძე (3,5), ლაშა კაჭარავა (3)-ლიკა კობეშავიძე (3), გიორგი ცირეკიძე (3)-ვახტანგ კაშია (3).

**ვაჟა დანელია**

# 2009 გავაცილეთ ზეიმით



წლის საუკეთესო სპორტსმენი ნიკა რურუამ დააჯილდოვა



ნინო სალუქვაძე მზია ჯუღელმა და რაფიელ ჩიმიშკიანმა დააჯილდოვეს



ლევან ბეჟაშვილი (მარჯვნივ) და დავით უსტიაშვილი



გია ნაცვლიშვილი (მარჯვნივ) და გიორგი ნიჟარაძე

## ცხადია, ცხადაია...

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა 2009 წლის საუკეთესო სპორტსმენად ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **მანუჩარ ცხადაია** დაასახელა. ეს შაბათს მოხდა, როცა დეპარტამენტმა წლის შედეგები ფილარმონიაში, „ივენთ-კლუბში" შეაჯამა და სპორტსმენის გარდა, საუკეთესონი კიდევ სამ ნომინაციაში გამოარკვია - ფედერაცია, ნაკრები და მწვრთნელი. ღონისძიებას რუსთაველის თეატრის დირექტორი **ზაალ ჩიქობავა** უძღვებოდა, მუსიკალურ ნომრებში კი **დავით ილურიძის** ბენდთან ერთად ჯეოსტარელებიც მონაწილეობდნენ.

თავდაპირველად საუკეთესო ფედერაცია გამოავლინეს, გამარჯვებული კი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** გამოაცხადა - საქართველოს რაგბის კავშირი. საუკეთესოსთვის განკუთვნილი სიგელი და პრიზად დაწესებული ნოუთბუქი კავშირის პრეზიდენტმა **გია ნიჟარაძემ** ჩაიბარა. მან მადლობა გადაუხადა ყველას - ქომაგებსაც, სპორტსმენებსაც და სპორტის მმართველთაც, მერე კი დაამატა, რომ მორაგბეები აქამდეც ყველაფერს აკეთებდნენ გულშემატკივართა გასახარებლად და საამისოდ არც მომავალში დაზოგავენ თავს.

ამის შემდეგ კალათბურთელთა ჯერი დადგა - საუკეთესო ნაკრების ტიტულიც მათ ერგოთ და საუკეთესო მწვრთნელადაც კალათბურთელთა სერბი დამრიგებელი **იგორ კოკოშკოვი** დაასახელეს, რომელმაც ჩვენი გუნდი B დივიზიონიდან A-ში აღაზევა. დაჯილდოებას კოკოშკოვი არ ესწრებოდა, ამიტომ მისთვის განკუთვნილი პრიზი თანაშემწე **დავით უსტიაშვილმა** ჩაიბარა. უსტიაშვილთან ერთად სცენაზე კალათბურთელთა ნაკრების წევრებსა და ფედერაციის ხელმძღვანელებსაც უხმეს სიგელ-საჩუქრებისა თუ სავსებით დამსახურებული აპლოდისმენტების მისაღებად, ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** კი სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურისგან** ჯილდოები რომ ჩაიბარა, განაცხადა: *„დიდი ხნის ლოდინის შემდეგ წლეულს A დივიზიონის საგზური მოვიპოვეთ და სეზონიც წარმატებული იყო. მისასალმებელია, რომ ამ გამარჯვებას თბილისში, საკუთარი მაყურებლის თვალწინ მივაღწიეთ. დიდი მადლობა ქომაგებს და დღევანდელი საღამოს ორგანიზატორებს, სპორტის მმართველ სახელმწიფო უწყებებს, რადგან მათი დახმარების გარეშე ამ წარმატებას ვერ მივაღწევდით".*

ამ ნომინაციების შემდეგ მთავარის - საუკეთესო სპორტსმენის გამოვლენის დრო დადგა, თუმცა გამარჯვებულის ვინაობის გამჟღავნებამდე ჯერ გარკვეული ეტაპები გაიარეს - დაასახელეს საერთაშორისო არენაზე თავგამოჩენილი ათლეტები, ბოლოს კი - მათგან საუკეთესო. წლევანდელი სეზონი წარმატებებით შედარებით მწირი აღმოჩნდა, რაც ოლიმპიადის მომდევნო წლისთვის დამახასიათებელია. ამიტომ დეპარტამენტმა ტრადიციული ათეულის ნაცვლად, მხოლოდ ექვსი ლაურეატი და პლუს მეშვიდე - გამარჯვებული დაასახელა. ლაურეატები ტყვიის სროლაში ევროპის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს სუპერთასის მფლობელი **ნინო სალუქვაძე**, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მომპოვებლები - ძალოსანი **ალბერტ კუზილოვი**, მოკრივე **კობა ფხაკაძე** და „თავისუფლად" მოჭიდავე **გიორგი გოგშელიძე**, 20 და 23-წლამდე ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი ძიუდოში **პაატა მერებაშვილი** და რუსეთის ჩემპიონი ფეხბურთში, ყაზანის „რუბინში" ჩინებულად მოთამაშე **ლაშა სალუქვაძე** გახდნენ. მათ დიპლომები და სიგელები პირველი თაობის ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა - **მზია ჯუღელმა** და **რაფიელ ჩიმიშკიანმა** გადასცეს. გამორჩევისთვის, სეზონის განმავლობაში გაწეული დახმარების თუ, უბრალოდ, ქომაგობისთვის გულშემატკივარსა და ხელმძღვანელ უწყებებს მადლობა გადაუხადეს ნინო სალუქვაძემ, კუზილოვმა და სხვებმა.

სწორედ ამის შემდეგ დადგა კულმინაციური მომენტი - კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა **ნიკოლოზ რურუამ** სცენაზე **მანუჩარ ცხადაიას** უხმო და წლის საუკეთესო სპორტსმენადაც დაასახელა, თან შესაბამისი მედლითა და საათით დააჯილდოვა. ღონისძიების დამამთავრებელი აკორდი სპორტის დეპარტამენტის ემბლემის ფერებში გაკეთებული უზარმაზარი ტორტის გაჭრა იყო. ცხადია, ეს პატივი, ისევე როგორც ყველაზე მოზრდილი ნაჭერი, ცხადაიას ერგო, რომელმაც იგი, სიმბოლურად, მეგობრებთან ერთად დააგემოვნა. თუმცა მილოცვებსა და ინტერვიუებში გართულს დასაგემოვნებლადაც არ ეცალა. შეგახსენებთ, რომ ცხადაია ხობელია და ჭიდაობაც იქვე დაიწყო **მამუკა ყორშიასთან**, თბილისში კი ჭაბუკთა ნაკრების დამრიგებელი **ვაჟა კრავეიშვილი** ავარჯიშებს.

როგორც ვხედავთ, წლევანდელი ნომინაციები მნიშვნელოვნად განსხვავდება ბოლო წლების ანალოგიური ღონისძიებებისგან, როცა ლამის ყველა ნომინაციაში საჭიდაო სახეობების წარმომადგენლები იმარჯვებდნენ. მაგრამ წლეულს მათ უჩვეულო ჩავარდნა ჰქონდათ, თანაც გამოცოცხლდა გუნდური სახეობები. თუმცა, ძირითადად კალათბურთი და რაგბი, თორემ ფეხბურთი უკან-უკან მიდის, ხელბურთი ისევ ერთ ადგილს ტკეპნის, წყალბურთელები კი გამოცოცხლდნენ, მაგრამ არა იმდენად, რომ დიდ სიმაღლეებს შესწვდნენ. ამდენად, სპორტის დეპარტამენტის წლევანდელი ნომინაციები სავსებით ობიექტურია - ყველა ნომინანტმა ულაპარაკოდ დაიმსახურა საუკეთესოობა.

დაჯილდოების ცერემონიალის დასრულების შემდეგ ცხადაიას გავესაუბრეთ. აი, რა განაცხადა მან:

- დიდი მადლობა ყველას ასეთი აღიარებისთვის. ძალიან დიდი ემოციაა, კონკურენციაც დიდი იყო და გამიხარდა გამორჩევა. ნამდვილად არ ვიტყვი, რომ ველოდებოდი საუკეთესოდ დასახელებას, რადგან კონკურენტები საკმაოდ ძლიერები იყვნენ. აღიარება ძალიან დიდი სტიმულია ჩემთვის. შეუდარებელი გრძნობაა, როცა შენი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად გასახელებენ. მადლობა ყველას, ვინც გვერდით მედგა და წვლილი შეიტანა ჩემს წლევანდელ წარმატებებში. ვეცდები, მომავალში კიდევ უფრო დიდი ნაბიჯები გადავდგა მსოფლიო ასპარეზზე საქართველოს კიდევ უფრო უკეთესად წარმოსაჩენად.

>> მე-13 გვერდზე

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2010 ვხვდებით იმედით

მე-12 გვერდიდან

**- წლევანდელ სეზონს როგორ შეაფასებთ - სიხარული უფრო მეტი დაგიტოვათ თუ სინანული — იმგვარად ნაგებული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის გამო?**

- მართლაც ორმაგი გრძნობა დამიტოვა - სადებიუტო სეზონი იყო და გავხდი ევროპის პრიზიორი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი. ცხადია, ეს წარმატებაა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში იყო მსაჯთა მიკერძოება, რამაც ჩემპიონობა დამაკარგვინა. აი, ამაზე მწყდება ძალიან გული, თორემ ისე წარმატებული სეზონი იყო.

**- სეზონის დასაწყისში წარმოიდგენდით ასეთ წარმატებებს?**

- სეზონი სულაც ცუდად დავიწყე - საქართველოს ჩემპიონატზე ანტონ მამაგეიშვილთან წავაგე... საბედნიეროდ, საბოლოოდ ჩემთვის ყველაფერი კარგად დასრულდა.

**- მაგ წაგების შემდეგ კიდევ ფიქრობდით ნაკრებში მოხვედრას?**

- ერთადერთი შანსი უნგრეთის „დიდი პრიზის" ტურნირი იყო. იქ მეც და ჩემი კონკურენტიც ვჭიდაობდით. რომელიც უკეთ გამოვიდოდა, ნაკრებშიც ის მოხვდებოდა. ცხადია, ასეთ პირობებში ჭიდაობა ძალიან ძნელი იყო, მაგრამ როცა უკან დასახევი გზა არაა... უნგრეთში უფრო უკეთ მე ვიჭიდავე და ნაკრებშიც მოვხვდი.

**- გასაგებია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი მწარედ გემახსოვრებათ. ალბათ, ყოველდღიურად გტანჯავთ ამაზე ფიქრი...**

- წამითაც ვერ ვივიწყებ იმ ფინალს. ამ სიმწარეს მხოლოდ მაშინ დავივიწყებ, თუ ღმერთმა ინება და მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. ის შეხვედრა რომ დამთავრდა, მერე გასახდელში ჩემთან მეტოქეც შემოვიდა - აზერბაიჯანელი ფარიდ მანსუროვი და მანუგეშა, გული არ გაიტეხო, ყველაფერი ხდება, შენ კიდევ მოიპოვებ დიდ წარმატებებსო, მაგრამ ეს ჩემთვის დიდი ნუგეში არ იყო.

**- მომავალ სეზონზე და ძირითად კონკურენტებზე რას იტყვი?**

- ჩემი წონა ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული და რთულია. აქ დაახლოებით შვიდ-რვა კაცს თანაბრად შეუძლია ლიდერობისთვის ბრძოლა. გააჩნია, კონკრეტული შეჯიბრებისთვის ვინ როგორ იქნება მომზადებული. ძირითადი კონკურენტებიდან გამოვარჩევ იმავე მასნუროვს, რუსეთის სახელით მოასპარეზე ევროპის ჩემპიონ ამბაკო ვაჩაძეს, რომელთანაც ევროპაზე წავაგე, მაგრამ მსოფლიოზე მოვუგე. აგრეთვე დავასახელებ კუბელ პედრო მულენს, ირანელ აფშინ ბიაბანგარდს, ფრანგ ოლიმპიურ ჩემპიონ სტივ ჟენოს, თუმცა სხვებიც არიან ძლიერები. საჭიდაო ყველასთანაა და ასე დაყოფაც პირობითია.

სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, ცოტა ხნის წინ მუხლი ვიტკინე და ვარჯიში მხოლოდ ათი დღის წინ განვაახლე. ფორმის აღდგენა თუ მოვასწარი, საქართველოს ჩემპიონატზეც ვიჭიდავებ, თუ არა, გამოვტოვებ. ვნახოთ, ამ საკითხში საბოლოო სიტყვა მწვრთნელებმა და ექიმებმა უნდა თქვან. თუ ქვეყნის ჩემპიონატში ვერ ვიჭიდავე, მაშინ მარტში „ოქროს დიდ პრიზზე" გამოვალ ისევ უნგრულ სომბათჰეიში, სადაც შარშან გავიმარჯვე. ყოველ შემთხვევაში, სეზონის ყველა უმნიშვნელოვანეს ტურნირში ვაპირებ გამოსვლას და კარგად მესმის, რომ ყველაფერი თავიდანაა დასაწყები - ნაკრებში მოსახვედრად დიდი კონკურენციაა დასაძლევი.

**ირაკლი თავაძე**



მამუკა გორგოძე



ირაკლი ყიასაშვილი

## მორაგბეებმა გაგვახარეს და გაიხარეს

ქართული რაგბის თემმა წლის შედეგები „ექსპო ჯორჯიას" გამოფენის ცენტრში შეაჯამა. დაჯილდოების ცერემონიალზე, რომლის ორგანიზატორიც საქართველოს რაგბის კავშირი იყო, თითქმის ყველა თაობის მორაგბეს მოეყარა თავი. გასაკვირი არცაა, მორაგბეები მუდამ გამოირჩეოდნენ ერთგულებით, ერთად დგომით. წლეულს კი სულაც ქართული რაგბის 50 წლის იუბილე იზეიმეს.

დასაწყისში რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ** განვლილი სეზონის ავ-კარგზე ილაპარაკა. გაიხსენა ეროვნული ნაკრების წარმატებები, ერთა თასზე მიღწეული გამარჯვება და მომავალი წლის გათამაშების უდიდეს მნიშვნელობასაც გაუსვა ხაზი. 2010 წელს გადაწყდება, მოიპოვებენ თუ არა ბორჯღალოსნები 2011 წელს ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასის საგზურს.

პრეზიდენტმა შეკრებილთ აუწყა, რომ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა ეროვნული ნაკრების ყოფილ მწვრთნელებს: **მალხაზ ჭეიშვილს, დავით ჩავლეიშვილს** და **პაატა ნარიმანაშვილს.**

გიორგი ნიჟარაძემ ქართველი მორაგბეებ . სახელით მადლობა გადაუხადა ყველა იმ პირსა და ორგანიზაციას, რომლებიც გვერდში უდგანან, შეძლებისდაგვარად ეხმარებიან საქართველოს რაგბის კავშირს, სარაგბო კლუბებს. ესენია: „კვარციტი", „არქიმედეს გლობალ ჯორჯია", „ბადაგონი", „ტოიოტა", „კაუკაზუს ონლაინი", „კაპაროლი", „ბაზის ბანკი", GT ჯგუფი, CRP, „ვისოლი", „ჰაიდელბერგ ცემენტი". განსაკუთრებით გამოყო „ფონდ ქართუს" ღვაწლი - როგორც ნიჟარაძემ განაცხადა, სხვადასხვა სახის დახმარებასთან ერთად, ეს ორგანიზაცია მთელი საქართველოს მასშტაბით უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში 14 სარაგბო მოედანს მოაწყობს.

ცერემონიალი საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორებისა და ჩემპიონის დაჯილდოებით დაიწყო. ბრინჯაოს პრიზიორმა თბილისის „ლოკომოტივმა" ყველაზე კორექტული გუნდის ნომინაციაშიც გაიმარჯვა. აქვე გაცხადდა, რომ დილომში არსებული სპორტული ბაზა რაგბის კავშირმა მფლობელობაში „ლოკომოტივს" გადასცა.

გამოკითხვამ, რომელშიც სპორტული მედიის წარმომადგენლები და რაგბის სპეციალისტები მონაწილეობდნენ, გამარჯვებული რამდენიმე ნომინაციაში გამოავლინა. 2009 წლის საუკეთესო მსაჯად **გიორგი ამირხანაშვილი** დაასახელეს. საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მექულე და მელელოვე **ირაკლი ყიასაშვილი** (ლელო) გახდა. ლოგიკურია, რომ ჩემპიონატის საუკეთესო მორაგბის ნომინაციაც მან მოიგო.

2009 წლის საუკეთესო მწვრთნელად საქართველოს ჩემპიონისა და თასის მფლობელის, თბილისის „ლელოს" მთავარი მწვრთნელი **ლევან მაისაშვილი** აღიარეს. აღსანიშნავია, რომ მაისაშვილი ზედიზედ მეორედ გახდა საუკეთესო.

საუკეთესო ქართველ მორაგბედ, ასევე ზედიზედ მეორედ, საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს" მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე** დასახელდა. მას „ბაზის ბანკმა" 2 000 ლარი გადასცა. რაგბის კავშირმა კი, როგორც ნადირობს დიდ ტრფიალს, სანადირო თოფი აჩუქა.

გამოვლინდა ასევე საქართველოს ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები, რომელშიც ყველაზე მეტი, ათი მორაგბე „ლელოდან" მოხვდა.

### სიმბოლური ნაკრები

**15. ირაკლი ყიასაშვილი** (ლელო), **14. ალექსანდრე თოდუა** (ლელო), **13. გიგა კორკელია** (ლელო), **12. გოჩა ხონელიძე** (ბათუმი XV), **11. ირაკლი გეგენავა** (ვისოლი ყოჩები), **10. ლაშა ხმალაძე** (ლელო), **9. გიორგი კაჭარავა** (ლელო)

**1. კარლენ ასეიშვილი** (ვისოლი ყოჩები), **2. ირაკლი ჭყონია** (ლელო), **3. მიხეილ სუჯაშვილი** (ლელო), **4. ლაშა აზალაძე** (ლელო), **5. დავით ჩიტიძე** (ლოკომოტივი), **6. ილია მაისურაძე** (ლელო), **7. ვიქტორ კოლელიშვილი** (ლელო), **8. გელა სირბილაძე** (ბათუმი XV) და **ზვიად მაისურაძე** (ლოკომოტივი). (მათ ხმების თანაბარი რაოდენობა დააგროვეს).

**ბესიკ ჯანგავაძე**

## მატიანე ერთი წლით შეივსო




შთამბეჭდავი საქმიანობა, რომელსაც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი (თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**) ეწევა სახელმწიფოს დახმარებით, ტრადიციულად ყოველი წლის ბოლოს მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბულ გამოცემაში აისახება და ქართული სპორტის მატიანეს კუთვნილება ხდება.

ყველას, ვინც ქართული სპორტის ისტორიით დაინტერესდება, ამ გამოცემის სერია გაუადვილებს ძიებას. წლევანდელი წელიწადი რაგბისა და კალათბურთში, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში, ტყვიის სროლაში, კრივში, ძალოსნობაში, ცხენოსნობაში, ბატუტზე ხტომაში, ჭადრაკში, კარატეში, სუმოში, მკლავჭიდში მიღწეული წარმატებებით იყო გამორჩეული. გამოცემაში ადგილი ეთმობა აგრეთვე ქართული სპორტის სახელოვან ვეტერანებს, რაც თაობებს შორის უწყვეტი კავშირის განმტკიცებისთვის ზრუნვაზე მიგვანიშნებს. ამასთან, გამოცემაში წარმოდგენილია ის ახალი სპორტული ობიექტები, რომლებიც ქვეყანას წლეულს შეემატა.

2009 წლის სპორტული მონაგარი გამოსაცემად მოამზადა სარედაქციო კოლეგიამ, რომელშიც ზემოხსენებული დეპარტამენტის ხელმძღვანელებიც შედიან (რედაქტორი **ელგუჯა ბერიშვილი**).

**თენგიზ თომაშვილი**

ბატუტზე ხტომა

## კვარცხლბეკზე ნაცნობი სახე(ლ)ები

წლეულს სანკტ-პეტერბურგში ახალგაზრდა ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე **ანა ოდიშვილმა** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო **ნანა გოგაშვილს** კვარცხლბეკამდე ქულის მეასედები დააკლდა და მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა. გასულ უქმეებზე თბილისის პირველობაზე, რომელიც ბატუტისტთა წლის ბოლო შეჯიბრება იყო და დედაქალაქის მერიის **გიორგი ეგნატაშვილის** სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალის დარბაზში გაიმართა, სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით სწორედ ამ ორ სპორტსმენს ჰქონდა პირველობისთვის უშელავათო ბრძოლა. გაიმარჯვა გოგაშვილმა და მთავარი პრიზიც მას ხვდა, მეორე ადგილზე ოდიშვილი გავიდა, მესამე იყო **თინათინ ჩადუნელი.** ვაჟებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **1. რუსტამ კალოევი, 2. თემურ სონღულაშვილი, 3. ლაშა გაბაშვილი.**



გაცნობებთ პირველი თანრიგის პროგრამით გამარჯვებულთა და მეორე-მესამე ადგილებზე გასულთა ვინაობას: გოგონები. 1. **ნატა ჩადუნელი**, 2. **მარიამ მწითური**, 3. **ქეთევან ენუქიძე.** ვაჟები. 1. **გიორგი ენუქიძე**, 2. **სერგო ავეტისიანი**, 3. **ნიკოლოზ ჯალაბაძე.**

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

სამთო თხილამურობა

## იასონი რეიტინგს იუმჯობესებს

საქართველოს ნაკრების ლიდერი **იასონ აბრამაშვილი** ნელ-ნელა უფრო რთული კონკურენციის ტურნირებში მონაწილეობს. ოლიმპიადის დაწყებამდე თვენახევარი დარჩა და უპრიანია, ქართველი ეტაპობრივად შევიდეს სასურველ ფორმაში. ჯერჯერობით, იასონის შედეგები ოლიმპიადაზე კარგად გამოსვლის იმედს გვაძლევს - სეზონი დიდი ხნის დაწყებული არაა და აბრამაშვილმა უკვე ხუთი სტარტი მოიგო, ერთში მეორე ადგილი დაიკავა.

შაბათს მან ფრანგულ მერიბელში FIS-ის ეგიდით გამართულ სლალომში მიიღო მონაწილეობა. შემადგენლობა საკმაოდ ძლიერად გამოიყურებოდა, იასონი რეიტინგით მხოლოდ მე-19 იყო. ორი დაშვების ჯამში ქართველმა 1:39,04 წუთი დახარჯა, რაც მე-8 ადგილს ეყო. სლალომში იასონის საუკეთესო რეიტინგი აქამდე 24,29 ქულა იყო, რაც მან შარშან თებერვალში ვალ დიზერში (საფრანგეთი) მე-6 ადგილზე გასვლისთვის მოიპოვა. ახლანდელი რეიტინგი კი მასზე ბევრად უკეთესია - 20,28 (სამთო სათხილამურო სპორტში ნაკლები ქულა უკეთესია). მერიბელში სხვა ჩვენებურებმაც იასპარეზეს: **ალექსი ბენიანიძე** 37-ე ადგილზე გავიდა, **ვახტანგ თედიაშვილი** - 39-ეზე, **კოტე ვახტანგიშვილი** კი მეორე ცდაზე შეცდა და ტრასა ვერ ჩაამთავრა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

შაბათის ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ჰორიზონტალურად: 1.კუბერტენი; 5.ლიპი; 10.აბიატი; 11.შუმახერი; 13.ეფენბერგი; 16.კადეტი; 17.ციურიხი; 20.პასი; 21.გოლფი; 22.მილი; 26.ბატერფლაი; 30.არახამია; 31."ნისტრუ"; 33.ალემაო; 34.კერლინგი; 35.დარასელია; 36.ჟაკე.

ვერტიკალურად: 2.ულიე; 3.ესტაფეტა; 4.ნიუმენი; 6.იკერ; 7.ილიადი; 8.ჰანდიკაპი; 9.კალგარი; 12.ანა; 14.ოდესა; 15.ახრიკ; 18.კოლეგია; 19.ციმაკურიძე; 22.ფიფა; 24."მარაკანა"; 25.სავიოლა; 27.კაკა; 28."გაძეტა"; 29.შტანგა; 32.ჩეხი.

კალათბურთი

ახალი ამბები



## მაკგრეიდი: ჰიუსტონი თუ ორლანდო?

„ჰიუსტონ როკეტსის" ლიდერი **ტრეისი მაკგრეიდი**, რომელიც ტრავმის შემდეგ ცოტა ხნის წინ დაუბრუნდა მოედანს, მოუთმენლად ელის თავისუფალი აგენტის სტატუსის მიღებას. პირველი კლუბი, რომელთანაც ტი-მაკი მოლაპარაკებებს დაიწყებს, „ჰიუსტონი" იქნება, თუმცა მცველი სხვა გუნდში გადასვლასაც არ გამორიცხავს.

*„მოუთმენლად ველი 2010 წლის ზაფხულს, როცა თავისუფალი აგენტის სტატუსს მივიღებ. ყველანაირი სტატისტიკა და მიღწევები მეორე პლანზე გადავა და მე ავირჩევ გუნდს, რომელიც ჩემპიონატის მოგებისა და კარგი კალათბურთის თამაშის საშუალებას მომცემს. რა თქმა უნდა, პრიორიტეტული ვარიანტი ჰიუსტონში დარჩენა იქნება. ძალიან მინდა ამ გუნდში კარიერის გაგრძელება და არც ჩემს ოჯახს სურს სხვა ქალაქში გადაბარგება. მაგრამ სხვა ვარიანტების განხილვასაც ვაპირებ",* - ამბობს მაკგრეიდი.

თუ ტი-მაკმა „ჰიუსტონთან" მოლაპარაკება ვერ მოახერხა, კარიერის გაგრძელების მომდევნო ვარიანტი „ორლანდო მეჯიქი" იქნება, საიდანაც კალათბურთელი თავის დროზე „როკეტსში" გადავიდა. სწორედ „ჯადოქრების" რიგებში თამაშობს ტრეისის ბიძაშვილი და ძველი პარტნიორი - **ვინს კარტერი**.

*„არ გამოვრიცხავ „ორლანდოში" დაბრუნებას, რადგან იქ ვინს კარტერი თამაშობს. მასთან ერთად ერთ სახლში ვიცხოვრებ. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს გასახსენებელი. „მეჯიქში" ოთხი ბრწყინვალე წელი გავატარეთ, რომელიც არასოდეს დაგვავიწყდება",* - განაცხადა „ჰიუსტონის" მცველმა.

ამ სეზონში ტრეისიმ ექვსი მატჩი ჩაატარა „როკეტსის" შემადგენლობაში, მაგრამ მცირე სათამაშო დროის გამო საშუალოდ მხოლოდ 3.2 ქულა დააგროვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ამბები

### არენასს გაცვლას უპირებენ

ამერიკული პრესის ინფორმაციით, „ვაშინგტონ უიზარდსის" ხელმძღვანელობა თავისი ლიდერის - **გილბერტ არენასის** გაცვლაზე ფიქრობს. თუმცა კალათბურთელის სხვა გუნდში გაშვებას შეიძლება მისმა მეგაკონტრაქტმა შეუშალოს ხელი. ამ სეზონში მცველმა 16 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს, სულ კი მას დედაქალაქურ კლუბთან 6-წლიანი და 109-მილიონიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული.

არენასის გარდა „ვაშინგტონი" მზად არის ახალგაზრდა ცენტრ **იავალე მაკგის** შეელიოს. ამ უკანასკნელმა წელს 18 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 2.5 ქულა და 1.5 მოხსნა დააგროვა. რაც შეეხება არენასის სტატისტიკას, მის ანგარიშზე 22.2 ქულა და 6.9 შედეგიანი პასი მოდის.

### უილბლო შობა არტესტისთვის

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ფორვარდმა **რონ არტესტმა** გამოტოვა გუშინდელი შეხვედრა „საკრამენტო კინგზთან". კალათბურთელი ამ მატჩზე ტრავმის გამო ვერ გაემგზავრა, რადგან შინ კიბეზე დაგორდა და თავი და იდაყვი დაიზიანა.

ეს უსიამოვნო ისტორია შობის დღეს მოხდა. არტესტმა უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და მისი მოედანზე დაბრუნების თარიღი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

„საკრამენტოსთან" მატჩში არტესტის ადგილი სასტარტო შემადგენლობაში **ლამარ ოდომმა** დაიკავა.

### ცრვენა ზვეზდა მწვრთნელს ეძებს

ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა" მწვრთნელის გარეშე დარჩა. სერბეთის მეორე გუნდმა თანამდებობიდან დაითხოვა **აცო პეტროვიჩი**. ამ ნაბიჯის მიზეზი გახდა ადრიატიკის ლიგაში ბოლო ნაგება და აგრეთვე ფინანსური პრობლემები, რომელიც ბოლო დროს „ცრვენა ზვეზდას" აწუხებს.

სწორედ ამიტომაც გადაწყდა გამოცდილი პეტროვიჩის გაშვება და მის ნაცვლად **მილან ოპაჩიჩის** დანიშვნა. თუმცა ეს უკანასკნელი დროებით შეასრულებს მწვრთნელის მოვალეობებს და სულ მალე მას, სავარაუდოდ, **ალექსანდრ ტრიფუნოვიჩი** შეცვლის.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# უცნაური თოვლი სტეიპლს ცენტრში

კალათბურთის მოყვარულები მოუთმენლად ელოდნენ შობის დადგომას, რადგან სწორედ ამ დღეს იყო დანიშნული ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ორი სუპერვარსკვლავის - **კობი ბრაიანტისა და ლებრონ ჯეიმსის** დაპირისპირება. საბოლოოდ, ლოს ანჯელესის „სტეიპლს ცენტრში" შეკრებილი პუბლიკა და ყველა, ვინც „ლეიკერსისა" და „კლივლენდის" მატჩი იხილა, იმედგაცრუებული დარჩა. მოქმედი ჩემპიონის თამაში ლოგიკურ ახსნას არ ექვემდებარება, რადგან კალიფორნიული კლუბი პირწმინდად გაანადგურა „კლივლენდმა". „ლეიკერსის" ფანებისთვის ნაკლები ნუგეშია ის, რომ კობიმ ლებრონზე 9 ქულით მეტი (35 26-ის წინააღმდეგ) დააგროვა. მასპინძელ გულშემატკივრებს ალარც კი ახსოვთ, ბოლოს როდის იყო მათი საყვარელი გუნდი ასეთ უმწეო მდგომარეობაში.

„ლეიკერსს" მოგების არანაირი შანსი არ ჰქონდა, რადგან ამ მატჩში **რონ არტესტმა** მხოლოდ 3 წუთი ითამაშა თავის ჩვეულ დონეზე, **ანდერსონ ვარეჟაომ** ყველა ორთაბრძოლა მოუგო **პაუ გასოლს**, 37 წლის **შაკილ ო'ნილი** უფრო მოძრავი იყო, ვიდრე მისი 22 წლის ვიზავი **ენდრიუ ბინუმი**, ხოლო **მო უილიამსმა დერეკ ფიშერს** ის გაუკეთა, რასაც ტელევიზორში გვიან ღამით აჩვენებენ. Merry Christmas, კობი...

კალიფორნიელმა მაყურებელმა ვერ აიტანა თავისი საყვარელი კლუბის შერცხვენა და მოედანზე ლუდის სავსე ქილების სროლა დაიწყო. *„თუ მოედანზე რაიმეს სროლა მოგინდათ, ისეთი ნივთები მაინც შეარჩიეთ, რომ თავი არ გაგვიტყდეს,* - ასეთი სიტყვებით მიმართა გულშემატკივრებს კობი ბრაიანტმა. - *მე მგონი ლუდი პოლიეთილენის ჭიქაში იდეალური ვარიანტი იქნება".*

„კლივლენდის" დამრიგებელმა **მაიკ ბრაუნმა** განაცხადა, რომ მანაც შენიშნა მისი გუნდის სათადარიგო სკამისკენ ნასროლი რამდენიმე ბოთლი: *„თუ ასეთი რამ ლიგის ჩემპიონის მოედანზე ხდება, საინტერესოა, რას უნდა ველოდოთ მომავალში NBA-ის მატჩების დროს".* ჯერჯერობით დაუდგენელია, ვინ გამოხატა ასეთი ხერხით უკმაყოფილება. იქნებ **სილვესტერ სტალონე, ჯეკ ნიკოლსონი, ანა კურნიკოვა** ან **დევი დე ვიტო** იყვნენ, რომლებსაც იმ დღეს „სტეიპლს ცენტრის" ტრიბუნებზე ეკავათ ადგილები?

მეორე დღეს „ლეიკერსი" საკრამენტოში „კინგზს" სტუმრობდა და კინაღამ ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია. მთელი 48 წუთი მოედანზე თანაბარი ბრძოლა მიდიოდა. „მეფეების" ამბიციური ახალგაზრდები არაფერს უთმობდნენ მოქმედ ჩემპიონებს. ფინალურ სირენამდე 23 წამით ადრე, თანაბარი ანგარიშისას პაუ გასოლმა ორჯერ ააცილა საჯარიმოს ხაზიდან და მასპინძლებს გამარჯვების კარგი შანსი მისცა. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში კობიმ კარგად დაიცვა თავი **ტარიკ ევანსის** წინააღმდეგ და მას სროლის საშუალებაც არ მისცა.

კიდევ უფრო საინტერესო ბრძოლა იყო ოვერტაიმში. როცა ორწუთნახევრით ადრე **ბენო უდრიხმა** საშუალო დისტანციიდან ჩააგდო და თავისი გუნდის უპირატესობა 7 ქულამდე გაზარდა, ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ „ლეიკერსი" მოახერხებდა მატჩის გადარჩენას. თუმცა **ფილ ჯექსონის** შეგირდებმა, როგორც იქნა ხასიათი გამოავლინეს და დიდი ძალისხმევით სიტუაცია გამოასწორეს. გასოლმა 0.4 წამით ადრე სასწაულებრივ დაამატა დერეკ ფიშერის აცილებულ ბურთს! ადგილობრივი პუბლიკის იმედგაცრუებას საზღვარი არ ჰქონდა. მეორე ოვერტაიმში გულშემატკივართა განწყობა „კინგზის" მოთამაშეებსაც გადაედოთ (ხუთ წუთში მხოლოდ 2 ქულა დააგროვეს). კალიფორნიელებს ძალა თითქმის აღარ შერჩათ, მაგრამ მათ რიგებში თამაშობს კალათბურთელი, რომლის გამარჯვებისკენ სწრაფვა ყოველთვის აღფრთოვანებას იწვევს. კობიმ ამჯერადაც აიღო ინიციატივა ხელში და პირადად მოიგო ეს დამატებითი ხუთი წუთი.

შობის დღეს საინტერესო მატჩი გაიმართა „ბოსტონსა" და „ორლანდოს" შორის. „სელტიქსმა" დაცვითი თამაშის კარგი გაკვეთილი უჩვენა ყველას და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ თანამედროვე კალათბურთში დაცვა უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ვიდრე თავდასხმა. კაპიტან **პოლ პირსის** არყოფნაშიც კი „კელტები" ოსტატურად გაუსწორდნენ სტუმრად მთავარ კონკურენტს. პირველ მეოთხედში დაზვერვის შემდეგ, მეორე 12-წუთეულში „სელტიქსმა" უბრალოდ „გადაყლაპა" მეტოქე. პერიმეტრზე უნაკლო დაცვამ და სამწამიანში აღმართულმა ბარიერებმა ის გამოსწვია, რომ 12 წუთში ფლორიდელებმა საცოდავი რვა (!) ქულა მიითვალეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, თურმე ეს ყველაზე ცუდი მეოთხედი ყოფილა „ორლანდოს" ისტორიაში.

რაც შეეხება ცალკეულ კალათბურთელებს, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს **რაჟონ რონდოს** ფანტასტიკური თამაში. „ბოსტონის" დამრიგებელს სულ ორი შედეგიანი პასი არ ეყო სამმაგი დუბლის შესასრულებლად. გარდა ამისა, ამ კალათბურთელმა მთლიანად ჩაკეტა **ჯამირ ნელსონი**. მატჩის ანტიგმირი კი, რა თქმა უნდა, **დუაიტ ჰოვარდი** იყო. 20 მოხსნის მიუხედავად, „სუპერმენმა" 44 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთი (!) ბურთი ჩააგდო თამაშიდან! თუ დავუმატებთ ამას შვიდ შეცდომას, საერთო სურათი კიდევ უფრო დამთრგუნველი გამოვა. ჩემპიონობის ფავორიტი გუნდების ლიდერებს ასეთი თამაში არ ეპატიებათ.

გუშინ სეზონში 28-ე მარცხი იწვნია „ნიუ ჯერსი ნეტსმა". საკუთარ არენაზე ამ გუნდმა დიდი ბრძოლა გაუმართა „ჰიუსტონ როკეტსს". პირველი მეოთხედის ნაგების შემდეგ, „ნეტსი" მთელი დარჩენილი დრო სტუმრების დაწევას ცდილობდა. ბოლო მეოთხედის დასრულებამდე წუთ-ნახევრით ადრე მასპინძლებმა მაინც მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ საპასუხო შეტევაში ჰიუსტონელმა **აარონ ბურქსმა** ურთულესი გარღვევის შემდეგ ორი ქულა მიითვალა. „ნიუ ჯერსის" შეცდომის უფლება აღარ ჰქონდა. **კიკი ვანდევეგეს** შეგირდებმა წარმატებით გაითამაშეს კომბინაცია და **კენიონ დულინგი** სამქულიანის სასროლად გაიყვანეს, მაგრამ ფარში ჩავარდნილი ბურთი უკან ამოვარდა და „ნიუ ჯერსი" ისევ დამარცხებული გაუშვა მოედნიდან.

**25 დეკემბერი**

**ნიუ იორკი-მაიამი 87:93**

23:21, 14:20, 17:23, 33:29

ნ-ი: გალინარი (26+8 მოხსნა), ლი (19+16 მოხსნა), ჩენდლერი (15), ჰარინგტონი (12+7 მოხსნა).

მ: უეიდი (30+9 მოხსნა+5 პასი+4 ჩაჭრა), ბიზლი (19), ჰასლემი (12+6 მოხსნა), ო'ნილი (11+8 მოხსნა).

**ორლანდო-ბოსტონი 77:86**

19:18, 8:20, 26:23, 24:25

ო: კარტერი (27), ლუისი (19), ჰოვარდი (5+20 მოხსნა).

ბ: რ. ალენი (18), რონდო (17+13 მოხსნა+8 პასი), ტ. ალენი (16).

**ლეიკერსი-კლივლენდი 87:102**

19:23, 23:28, 17:25, 28:26

ლ: ბრაიანტი (35+9 მოხსნა+8 პასი), არტესტი (13+7 მოხსნა), გასოლი (11+6 მოხსნა).

კ: უილიამსი (28+7 პასი+6 მოხსნა), ჯეიმსი (26+9 პასი), მუნი (13), ო'ნილი (11+7 მოხსნა).

**ფინიქსი-კლიპერსი 124:93**

30:26, 37:29, 34:22, 17:10, 23:16

ფ: სტაუდმაიერი (26+9 მოხსნა), რიჩარდსონი (18+8 მოხსნა), დადლი (18), ნეში (14+8 პასი), დრაგიჩი (13), ჰილი (12), ბარბოზა (12), ამუნდსონი (5+10 მოხსნა).

კ: ბატლერი (22+7 მოხსნა), კამანი (19+10 მოხსნა), დევისი (11+8 პასი), გორდონი (11).

**პორტლენდი-დენვერი 107:96**

24:31, 25:20, 25:25, 33:20

პ: როი (41+6 მოხსნა), ბლეიკი (17), მილერი (14+8 პასი).

დ: ენტონი (32+9 მოხსნა), სმიტი (20), მარტინი (12+14 მოხსნა).

**26 დეკემბერი**

**დალასი-მემფისი 106:101**

24:30, 29:25, 26:22, 27:24

დ: ტერი (23+5 პასი), ნოვიცკი (20), დამპიე (13+10 მოხსნა), ბარეა (11), ჰოვარდი (11), კიდი (10+10 პასი), მერიონი (10+7 მოხსნა).

მ: რენდოლფი (27+14 მოხსნა), გეი (22+10 მოხსნა), მაიო (18+5 პასი), გასოლი (13+12 მოხსნა), იანგი (11).

**ინდიანა-ატლანტა 98:110**

20:33, 20:18, 26:33, 32:26

ი: მერფი (19+12 მოხსნა), ჰენსბრო (19+11 მოხსნა), ჰედი (19), ფორდი (10+9 პასი).

ა: ჰორფორდი (25+19 მოხსნა), ჯონსონი (24), სმიტი (26+5 პასი+5 დაფარება), კროუფორდი (19).

**ნიუ ჯერსი-ჰიუსტონი 93:98**

20:27, 31:30, 18:13, 24:28

ნ-ჯ: ჰარისი (19+6 პასი), ლოპესი (17+11 მოხსნა), იანლიანი (17+6 მოხსნა), დულინგი (11+7 მოხსნა+6 პასი), ლი (10).

ჰ: ლენდრი (26+9 მოხსნა), სკოლა (17+8 მოხსნა), ბრუქსი (17+7 მოხსნა), არიზა (13+11 მოხსნა+8 პასი).

**ჩიკაგო-ნიუ ორლეანი 96:85**

24:27, 26:24, 23:9, 23:25

ჩ: ტომასი (21+9 მოხსნა), ნოა (17+18 მოხსნა), როუზი (14+9 პასი+6 მოხსნა), ჰაინრიხი (14+7 პასი+6 მოხსნა), დენგი (12+8 მოხსნა).

ნ-ო: ბრაუნი (22), პოლი (15+7 პასი), უესტი (12)

**მინესოტა-ვაშინგტონი 101:89**

23:22, 20:20, 25:25, 33:22

მ: ბრიუერი (27+7 მოხსნა), ლავი (17+10 მოხსნა), ჯეფერსონი (11+5 პასი), სეშენსი (10+8 მოხსნა+5 პასი).

ვ: არენასი (26+9 პასი+7 მოხსნა), ჯეიმისონი (20+6 მოხსნა), ფოიე (16), ბატლერი (13+8 მოხსნა).

**ოკლაჰომა-შარლოტი 98:91**

24:25, 29:25, 28:23, 17:18

ო: დურანტი (30+6 მოხსნა), უესტბრუკი (22+6 პასი), კრსტიჩი (13+10 მოხსნა).

შ: ჯექსონი (24+8 მოხსნა+5 პასი), მუჰამედი (16+8 მოხსნა), უოლსი (13+6 მოხსნა), ფელტონი (12+5 პასი), გრემი (11).

**მილუოკი-სან ანტონიო 97:112**

14:26, 27:30, 23:33, 33:23

მ: უორიკი (23), მიქსი (15), რიდნური (13), ბოგუტი (12+8 მოხსნა), ჯენინგსი (10+8 პასი).

ს-ა: დანკანი (26+8 მოხსნა), პარკერი (16+8 პასი), ჯინობილი (13+8 პასი), ჯეფერსონი (11).

**იუტა-ფილადელფია 97:76**

25:19, 23:20, 24:25, 25:12

ი: უილიამსი (27+8 პასი), ბუზერი (19+11 მოხსნა), ოქური (16+8 მოხსნა), მეტიუზი (16+7 მოხსნა).

ფ: იანგი (20), იგუოდალა (16+8 მოხსნა), ბრენდი (10), ჰოლიდეი (10).

**საკრამენ.-ლეიკერ. 103:112 (2ო)**

31:28, 26:27, 21:23, 16:16, 7:7, 2:11

ს: უდრიხი (23+6 პასი), ევანსი (18), გრინი (16), კასპი (15+10 მოხსნა), უდოკა (11), ტომპსონი (10+6 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (38+7 მოხსნა), გასოლი (24+11 მოხსნა+6 დაფარება), ბრაუნი (15+7 მოხსნა), ოდომი (13+15 მოხსნა), ფიშერი (11).

**გ. სტეიტი-ფინიქსი 132:127**

36:35, 34:36, 34:37, 28:19

გ-ს: ელისი (33+10 პასი+6 მოხსნა), მაგეტი (33+8 მოხსნა), რენდოლფი (17+6 მოხსნა), მოროუ (14+6 მოხსნა), უოტსონი (14), კარი (13).

ფ: ნეში (36+9 მოხსნა), რიჩარდსონი (22+5 ჩაჭრა), ფრაი (12), დრაგიჩი (11), დადლი (11), ბარბოზა (10).



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# როჯერი ევროპის რჩეულია

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **როჯერ ფედერერი** კიდევ ერთი ვერსიით გახდა წლის საუკეთესო სპორტსმენი. ტრადიციულად, პოლონური პრესსააგენტო (PAP) ევროპის სპორტული ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად „ძველი კონტინენტის" საუკეთესო სპორტსმენს ავლენს.

ფედერერმა მეხუთედ გაიმარჯვა ამ გამოკითხვაში. მანამდე ის 2004-07 წლებში სახელდებოდა ევროპის საუკეთესო სპორტსმენად. ეს სერია შარშან ესპანელმა ჩოგბურთელმა **რაფაელ ნადალმა** შეწყვიტა.

გამოკითხვაში მეორე ადგილი ფორმულა 1-ში მსოფლიოს ჩემპიონმა, ბრიტანელმა **ჯენსონ ბატონმა** დაიკავა, მესამე იყო - ლეგენდარული ნორვეგიელი ბიატლონისტი **ოლე-ეინარ ბიორნდალენი**. საუკეთესო ათეულში ერთადერთი ფეხბურთელია - „რეალის" პორტუგალიელი ნახევარმცველი **კრისტიანო რონალდო**.

წელს გამოკითხვაში მონაწილეობა 18 ევროპული სააგენტოს ჟურნალისტმა მიიღო. ევროპის საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია, ჩოგბურთი) - 135 ქულა
2. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ფორმულა 1) - 81
3. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია, ბიატლონი) - 73
4. სებასტიან ლოები (საფრანგეთი, რალი) - 56
5. ბლანკა ვლასიჩი (ხორვატია, მძლეოსნობა) - 51
6. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, ველოსპორტი) - 50
7. კრისტიანო რონალდო (პორტუგალია, ფეხბურთი) - 42
8. პაუ გასოლი (ესპანეთი, კალათბურთი) - 41
9. ვალენტინო როსი (იტალია, მოტოსპორტი) - 40
10. ანდრეას ტორკილდსენი (ნორვეგია, მძლეოსნობა) - 36

ავტოსპორტი

# ყველაზე დიადი



პოპულარული გამოცემა Motorsport News-ის გამოკითხვის შედეგად, ლეგენდარული შოტლანდიელი რალისტი **კოლინ მაკრეი „უდიადეს სარბოლო გმირად"** აღიარეს.

რალიში მსოფლიოს 1995 წლის ჩემპიონმა, რომელსაც თავის დროზე რაინდის წოდება მიანიჭეს, გამოკითხვაში ფორმულა 1-ის ლეგენდებს - **აირტონ სენასა და ჯიმ კლარკს** აჯობა.

კოლინმა გულშემატკივართა გულები 90-იან წლებში მანქანის მართვის შემტევი სტილით მოინადირა. მას კარიერის განმავლობაში „სუბარუს", „ფორდის", „სიტროენისა" და „შკოდას" მანქანებით უასპარეზია და სულ 25 ეტაპი მოიგო.

სამწუხაროდ, შოტლანდიელი ცოცხალი აღარ არის - დიადი პილოტი 2007 წლის სექტემბერში ვერტმფრენის ავარიისას დაიღუპა.

კოლინის მამა - **ჯიმ მაკრეი** აცხადებს, რომ მისთვის დიდი პატივია შვილის მორიგი გამარჯვება.

*„მან არ იცოდა, ამდენი თაყვანისმცემელი თუ ჰყავდა. კოლინს დიდ პატივს სცემდნენ და მხარს უჭერდნენ. სასიამოვნოა, როცა უყურებ, რა დონის პილოტები ჩამოიტოვა უკან ჩემმა შვილმა"*, - ამბობს უფროსი მაკრეი.

აღსანიშნავია, რომ Motorsport News-მა ამგვარი გამოკითხვა ათი წლის წინაც ჩაატარა და მაშინ შოტლანდიელი ლეგენდა სენას, კლარკისა და **ნაიჯელ მენსელის** შემდეგ მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა.

წლევანდელ სიაში „მაკლარენის" პილოტი **ლუის ჰემილტონი** 25-ე ადგილზე აღმოჩნდა, **ჯენსონ ბატონი** - 43-ე პოზიციაზეა, რალიში გადასული **კიმი რაიკონენი** კი მხოლოდ 72-ე ადგილს დასჯერდა.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**დეტროიტი-კოლამბუსი 2:1**

0:1, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 ვერმეტი-11 (ვორაჩეკი-15), 1:1 ბერტუცი-11 (დაციუკი-21, ლიდსტრიომი-13), 2:1 ბერტუცი-12 (რაფალსკი-13, ლიდსტრიომი-14).

**ტორონტო-მონრეალი 2:3**

0:2, 1:0, 1:0, 0:1

გოლები: 0:1 გომესი-5 (პასიორეტი-10, მ-ა. ბერჟერონი-12), 0:2 პლეკანეცი-8 (კამალერი-16, მარკოვი-2), 1:2 ი. უაიტი-7 (კულემინი-6, სტაიანი-18), 2:2 ჯ. ბლეიკი-8 (ვალინი-3, კომისარეკი-4), 2:3 ა. კოსტიცინი-12 (მარკოვი-3, გომესი-18).

**რეინჯერსი-აილენდერსი 2:3 (ო)**

0:1, 0:1, 2:0, 0:1

გოლები: 0:1 ნილსენი-6 (ოკპოსო-19, ბეილი-5), 0:2 კომო-4 (ოკპოსო-20, ჟერვე-7), 1:2 დუბინსკი-5 (დრური-9, როჟვისალი-10), 2:2 დუბინსკი-6 (კელეჰანი-10, როჟვისალი-11), 2:3 ოკპოსო-6 (ნილსენი-10, შტრაიტი-15).

**ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი 4:1**

2:1, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 ოვეჩკინი-25 (ბექსტრიომი-29), 2:0 ბრედლი-7 (მტეკელი-3, ელზნერი-4), 2:1 პელეი-2 (პიკარაინენი-3), 3:1 ბექსტრიომი-15 (სიომინი-18, ოვეჩკინი-21), 4:1 მ. გრინი-8 (ოვეჩკინი-22, ბექსტრიომი-30).

**ტამპა ბეი-ატლანტა 4:3**

1:1, 1:1, 2:1

გოლები: 0:1 ანტროპოვი-10 (კოვალჩუკი-19, აფინოგენოვი-22), 1:1 დაუნი-7 (ლეკავალიე-25, ოლუნდი-8), 2:1 ლუნდინი-1 (ლეკავალიე-26), 2:2 რისონერი-3 (პეინსი-8, ბოგოსიანი-7), 3:2 ტანგეი-5 (დაუნი-9, ლეკავალიე-27), 4:2 მელოუნი-19 (სენტ ლუისი-35, სტემკოსი-15), 4:3 კოვალჩუკი-22 (ანტროპოვი-24, ბოგოსიანი-8).

**ნეშვილი-ჩიკაგო 1:4**

0:1, 1:3, 0:0

გოლები: 0:1 ბიფულინი-11 (ტეუვზი-14), 1:1 ერატი-13, 1:2 პ. კეინი-13 (ტეუვზი-15, ბარკერი-9), 1:3 ლედი-6 (კოპეცკი-3, ბ. კემპბელი-18), 1:4 შარპი-12 (კოპეცკი-4, კეიტი-26).

**მინესოტა-სტ. ლუისი 4:3**

1:0, 0:1, 3:2

გოლები: 1:0 ლატენდრესი-7 (ზენონი-6, ჟიდლიცკი-17), 1:1 ე. მაკდონალდი-10 (ბრიუერი-3, ბოიესი-16), 2:1 ჰნიდი-2 (მიეტინენი-8, მ. კოივუ-25), 3:1 კ. იონსონი-3, 3:2 პერონი-11 (ბერგლუნდი-5, კრომბინი-6), 4:2 ლატენდრესი-8 (ჟიდლიცკი-18, ბელანჟე-12), 4:3 ბერგლუნდი-6 (ტკაჩუკი-12, ბოიესი-17).

**ფინიქსი-ლოს ანჯელესი 3:2**

2:1, 0:0, 1:1

გოლები: 0:1 დ. ბრაუნი-9 (დრიუსკი-6, ჰანძუში-10), 1:1 ა. ოკუანი-6 (ლანგი-12, ვანდერმეერი-5), 2:1 ჰანჟალი-5, 2:2 ჰანძუში-7 (კოპიტარი-23, ჯ. ჯონსონი-11), 3:2 იენდლი-6 (ვ. მიულერი-8, პაიტი-4).

**კოლორადო-დალასი 4:1**

1:0, 1:0, 2:1

გოლები: 1:0 დურნო-1 (ჰენდრიქსი-2, ტაკერი-6), 2:0 ჰეიდუკი-15 (დუშენი-14, გალიარდი-11), 2:1 ოტი-5 (რიბეირო-21, ლეპტინენი-4), 3:1 კ. სტიუარტი-10 (ვოლსკი-23, ვ. შრატსნი-30), 4:1 კ. სტიუარტი-11 (ფუტი-5, კლარკი-12).

**კაროლინა-ფილადელფია 3:4 (ბ)**

0:2, 0:0, 3:1, 0:0

გოლები: 0:1 მ. რიჩარდსი-16 (ჟირუ-17), 0:2 ჯ. კარტერი-13 (პარტნელი-13, ქობურნი-8), 0:3 ბრიერი-12 (კ. ტიმონენი-17, პრონგერი-19), 1:3 ი. იოკინენი-9 (ე. სტაალი-14, კულენი-11), 2:3 ბ. სატერი-9 (პიტკანენი-16, კ. უორდი-1), 3:3 ი. იოკინენი-10 (ე. სტაალი-15, კულენი-12).

ბულიტები გაიტანეს: ბრიერი (ფილადელფია), მ. რიჩარდსი (ფილადელფია).

**ვანკუვერი-ედმონტონი 4:1**

0:0, 2:1: 2:0

გოლები: 1:0 დ. სედინი-9 (ჰ. სედინი-32, სალო-5), 2:0 კესლერი-10 (ედლერი-18, რეიმონდი-12), 2:1 პოტულნი-7 (ო'სალივანი-11), 3:1 ერპოფი-8 (რიპინი-3, დ. სედინი-16), 4:1 ჰ. სედინი-17 (ბაროუზი-15, დ. სედინი-17).

**სან ხოსე-ანაჰაიმი 5:2**

2:0, 3:1: 0:1

გოლები: 1:0 მარლო-24 (ჰიტლი-20, ჯ. ტორნტონი-42), 2:0 მარლო-25 (ჰიტლი-21, ჯ. ტორნტონი-43), 3:0 ჰიტლი-23 (ჯ. ტორნტონი-44, რ. ბლეიკი-7), 4:0 ქლოუ-9 (სეტოგუჩი-4, რ. ბლეიკი-8), 5:0 მაკგინი-6 (ნიკოლი-4, მალორტა-7), 5:1 ჩიპჩურა-2, 5:2 რაიანი-17 (პერი-25, ნოკელაინენი-3).

**ბაფალო-ოტავა 2:3 (ბ)**

0:0, 2:2, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 შენონი-1 (კოვალიოვი-14, ფიშერი-15), 0:2 კ. ნილი-5 (ვოლჩენკოვი-5, ფილიპსი-8), 1:2 ვანეკი-11 (გრირი-5, მონტადორი-9), 2:2 პომინვილი-9 (ტიმ კონოლი-18, დ. როი-21).

ბულიტები გაიტანეს: კოვალიოვი (ოტავა), ფიშერი (ოტავა).

ამბები

ჰოკეი

## ალფრედსონი ოლიმპიადის მიღმა?

„ოტავა სენატორზის" კაპიტანმა **დანიელ ალფრედსონმა** „პიტსბურგ პინგვინზთან" მატჩში სერიოზული ტრავმა მიიღო. შვედ ვეტერანს მხარი აქვს დაზიანებული და ექიმების ვარაუდით, დაახლოებით 4-6 კვირას ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

თუმცა თავად ჰოკეისტს დიდი იმედი აქვს, რომ მოასწრებს გამოჯანმრთელებას და ვანკუვერის ოლიმპიადაზე გამოსვლას.

ავტოსპორტი

## როსი და ალეზი შეწყვილდებიან

მოტოგრან-პრის კლასში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **ვალენტინო როსი** ლე მანის 24-საათიან რბოლაში აპირებს გამოსვლას. ლეგენდარულმა იტალიელმა თავად მიაწოდა პრესას ეს ინფორმაცია და ისიც დაამატა, რომ ფრანგულ ავტომარათონში მისი პარტნიორი არანაკლებ სახელგანთქმული **ჟან ალეზი** იქნება. ლე მანის რბოლაში როსისა და ფრანგი ვეტერანის განკარგულებაში „ფერარის" F430-ის მოდელი იქნება, რომელსაც GT2-ში იყენებენ.

ამ ეკიპაჟის მესამე წევრის ვინაობა ჯერ არ დასახელებულა, თუმცა პრესაში წერენ, რომ გუნდი ამ მხრივ კიდევ ერთ სიურპრიზს ამზადებს.

ჩოგბურთი

## ვოზნიაცკი რინგზე ავიდა

დანიელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** თავისი საწვრთნელი პროცესის მრავალფეროვნებისთვის სპარინგ-მატჩი გამართა მოკრივე **მადს ლარსენთან**. ბრძოლა სამრაუნდიანი იყო, თუმცა გამარჯვებულის შესახებ არაფერს იტყობინებიან.

*„საინტერესო გამოცდილება მივიღე, რადგან ასეთ ვარჯიშებს შეჩვეული არ ვიყავი. საკმაოდ აქტიურად დავიწყე ბრძოლა, სწრაფად ვმოძრაობდი, მაგრამ მადსი იოლად იცილებდა ჩემს დარტყმებს. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს მისი ტაქტიკის ნაწილი იყო. მეორე რაუნდის ბოლოსთვის ველარ ვსუნთქავდი და დაღლილობისგან ძირს ვეცემოდი. კრივი ძალიან რთული ყოფილა"*, - განაცხადა ამერიკის ღია პირველობის ფინალისტმა.

## მოია 2010 წელს წავა

2010 წლის სეზონი, შესაძლოა, ბოლო აღმოჩნდეს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის, ესპანელი **კარლოს მოიას** კარიერაში. ამის მთავარი მიზეზი ტერფისა და საზარდულის ტრავმაა, რის გამოც როლან გაროსის 1998 წლის ჩემპიონმა შარშანდელი სეზონის დიდი ნაწილი გამოტოვა.

ეს ინფორმაცია ირიბად დაადასტურა ჩენაის ტურნირის დირექტორმა **კარტი ჩიმამბარამმა**, რომელმაც ასეთი რამ უთხრა ჟურნალისტებს: *„დიდი სიამოვნებით მივესალმებით ჩვენს ტურნირზე კარლოს მოიას გამოჩენას, რომელიც აქ უკანასკნელად ითამაშებს"*.

მოიამ ამ ტურნირის ორგანიზატორებისგან უაილდ-ქარდი მიიღო და ესპანელი ინდოეთში ერთეულთა და წყვილთა თანრიგში ითამაშებს.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ბელგია** | |
| სტანდარდი-ლოკერენი | 2:0 |
| შარლერუა-რუზელარე | 3:0 |
| ბრიუგე-სერკლი | 2:1 |
| ბეერსხოტი-გენკი | 1:0 |
| მუსკრონი-კორტრიიკი | 0:5 |
| სტ. ტრუიდენი-მეხელენი | 5:2 |
| გენტი-ანდერლეხტი | 2:2 |
| ვარეგემი-ვესტერლო | 1:0 |
| **შოტლანდია** | |
| სელტიკი-ჰემილტონი | 2:0 |
| დანდი იუნ-კილმარნოკი | 0:0 |
| ფალკირკი-ჰართსი | 0:1 |
| მოზერველი-სტ. ჯონსტონი | 1:3 |
| ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 1:4 |
| **I დივიზიონი** | |
| ინვერნესი-დანდი | 1:1 |
| პარტიკი-ქუინი | 2:2 |
| **უელსი** | |
| ებერისთვითი-ჰევერფორდვეს. | 2:1 |
| ეირბასი-ნეფნი | 1:1 |
| კარმარტენი-ლანელი | 1:2 |
| ქონეჰსი-ბალა თაუნი | 0:1 |
| პრესტატინი-რილი | 0:0 |
| ბანგორი-პორტმედოგი | 2:0 |
| პორტ ტელბოტი-ნითი | 2:0 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (რ-გ)-ჰაპოელი (თ-ა) | 0:3 |
| ბნეი შახნინი-მაკაბი (ა-ნ) | 1:1 |
| ჰაპოელი (ა)-ჰაპოელი (ბ-შ) | 1:3 |
| ჰაპოელი (ფ-თ)-აშდოდი | 1:1 |
| ჰაპოელი (რ)-მაკაბი (ფ-თ) | 3:1 |
| მაკაბი (თ-ა)-ბეითარი | 4:3 |
| ბნეი იეჰუდა-მაკაბი (ნ) | 2:1 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **NBA** | |
| ტორონტო-დეტროიტი | 102:95 |
| **გერმანია** | |
| ულმი-ოლდენბურგი | 100:82 |
| ალბა-გიოტინგენი | 82:86 |
| ფინიქსი-ბრაუნშვაიგი | 95:85 |
| სკაილაინერსი-ლუდვიგსბურ. | 68:64 |
| ტელეკომი-ბესენი | 83:76 |
| მიტლდოიჩე-ტრირი | 78:61 |
| **ესპანეთი** | |
| ალიკანტე-ობრადოირო | 82:75 |
| ბრუესა-ესტუდიანტესი | 86:74 |
| მურსია-გრან კანარია | 86:83 |
| უნიკახა-ხუვენტუდი | 76:78 |
| კახა ლაბორალი-სევილია | 73:66 |
| მანრესა-ვალიადოლიდი | 73:82 |
| ბილბაო-ვალენსია | 79:80 |
| ფუენლაბრადა-გრანადა | 76:83 |
| რეალი-ბარსელონა | 57:79 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **UNDER 20** | |
| ჩეხეთი-შვედეთი | 1:10 |
| ლატვია-კანადა | 0:16 |
| რუსეთი-ავსტრია | 6:2 |
| სლოვაკეთი-აშშ | 3:7 |
| ავსტრია-შვედეთი | 3:7 |
| აშშ-შვეიცარია | გვიან დასრულდა |
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-სევერსტალი | 3:1 |
| ბარისი-სკა | 1:5 |
| ს. იულიაევი-ატლანტი | 4:2 |
| ლადა-მეტალურგი (ნ) | 3:0 |
| აკ ბარსი-სიბირი | 5:1 |
| ლოკომოტივი-მეტალურგი (მ) | 3:0 |
| ნეფტეხიმიკი-ამური | 4:1 |
| სპარტაკი-ტრაქტორი | 3:2 |
| ტორპედო-ვიტიაზი | 8:0 |
| მვდ-ავტომობილისტი | 1:0 |
| ცსკა-დინამო (მ) | 2:2 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-გრაცი | 2:1 |
| ვენა-კლაგენფიურტი | 4:1 |
| ვილახი-ოლიმპია | 3:2 |
| ლინცი-ზალცბურგი | 2:5 |
| ზაგრები-ალბა | 4:1 |
| **გერმანია** | |
| ჰამბურგი-დიუსელდორფი | 4:2 |
| აისბარენი-იზერლონი | 4:2 |
| ჰანოვერი-ჰამბურგი | 5:1 |
| კიოლნი-ფრანქფურტი | 4:1 |
| აუგსბურგი-ნიურნბერგი | 2:3 |
| შტრაუბინგი-კასელი | 1:1 |
| **ფინეთი** | |
| ჰპკ-კიეკო | 3:1 |
| ილვესი-ტაპარა | 5:2 |
| კალპა-სეიპა | 2:2 |
| ლუკო-ესეტი | 1:0 |
| პელიკანსი-იუვიასკიულა | 1:1 |
| ტპს-კერპეტი | 3:1 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-ვიტკოვიცე | 0:6 |
| ლიბერეცი-პლზენი | 0:0 |
| პარდუბიცე-ბრნო | 2:1 |
| ბოლესლავი-ბუდეიოვიცე | 1:1 |
| ტრშინეცი-სპარტა | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| ტიმრა-მოდო | 3:1 |
| იურგორდენი-ლინჩოპინგი | 2:2 |
| სიოდერტალე-აიკ | 4:1 |
| ფერიესტადი-როგლე | 1:1 |
| ჰვ71-ლულეა | 2:1 |
| ბრიუნასი-ფრიოლუნდა | 5:2 |

TV პროგრამა

**28 დეკემბერი. ორშაბათი**

**I არხი**

22:00 არენა - სპორტული პროგრამა.

**რუსთავი 2**

00:00 საფეხბურთო ღამე.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-კოლამბუსი.
09:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ტოტენჰემი.
11:40 ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
13:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
14:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-ფილადელფია.
15:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ვესტ ჰემი (LIVE).
18:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ფულჰემი (LIVE).
22:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:05 პოკერი
21:55 სავიზიტო ბარათი.
22:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
23:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:15 სპორტული სამყარო.
23:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვულვზი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
01:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-სანდერლენდი.
03:35 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
04:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლამბუსი-დეტროიტი (LIVE).
06:40 ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰერტა.
09:35 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
10:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-ფილადელფია.
11:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ჩელსი.
13:45 სპორტული-ცეკვები.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მოსკოვი. რუსეთი.
16:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰერტა.
17:50 სავიზიტო ბარათი.
18:05 პოკერი.
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-სანდერლენდი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მარსელი-მილანი.
22:45 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
23:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-ფილადელფია.
01:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
02:00 სპორტული სამყარო.
02:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰერტა.
04:05 სავიზიტო ბარათი.
04:20 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მოსკოვი. რუსეთი.
06:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ჩელსი.
07:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-მაინცი.

**EUROSPORT**

11:30 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ტრამპლინის ტურნე. ისტორია.
12:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. საჩვენებელი გამოსვლები. სლალომი. იტალია.
13:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. ლინცი. ავსტრია (LIVE).
14:15 მულტისპორტი.
14:30 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ტრამპლინის ტურნე. ისტორია.
15:15 ტრამპლინიდან ხტომა.
15:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. ლინცი. ავსტრია.
16:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ლინცი. ავსტრია (LIVE).
17:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS137. ენგელბერგი. შვეიცარია.
18:30 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ტრამპლინის ტურნე. ისტორია.
19:15 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ტრამპლინის ტურნე. HS137. კვალიფიკაცია. ობერსტდორფი. გერმანია (LIVE).
21:00 ბიატლონი. საერთაშორისო ტურნირი. გელზენკირხენი. გერმანია (LIVE).
23:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ტრამპლინის ტურნე. HS137. კვალიფიკაცია. ობერსტდორფი. გერმანია.
23:40 მულტისპორტი.
23:45 პრო-რესტლინგი.
01:10 მულტისპორტი.
01:15 ბრძოლა წესების გარეშე.
02:45 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ტრამპლინის ტურნე. HS137. კვალიფიკაცია. ობერსტდორფი. გერმანია.
04:00 მულტისპორტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ფლავიას ფოტოსესია



ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲛᲐ იტალიელმა ჩოგბურთელმა **ფლავია პენეტამ** ჟურნალ Diva e Donna-ს ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა.

იტალიელთა ლიდერისთვის 2009 წელი მეტად ნაყოფიერი გამოდგა. მან WTA-ის რამდენიმე ტურნირი მოიგო, იტალიის ნაკრებთან ერთად ფედერაციის თასზე გაიმარჯვა, მონაწილეობა მიიღო მოდების ჩვენებაში და ახლა პოპულარულ ჟურნალში გამოაქვეყნა თავისი ფოტოები.



# ჰინგისის უიღბლო დებიუტი

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ყოფილი პირველი ჩოგანი **მარტინა ჰინგისი** დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ ცხენოსნობამ გაიტაცა. ამ დღეებში შვეიცარიელმა პირველად სცადა სპორტის ამ სახეობის ოფიციალურ ტურნირში გამოსვლა, მაგრამ დებიუტი უიღბლო გამოდგა.

პარიზის ახლოს, Gucci Masters International-ზე კონკურის დისციპლინაში მარტინამ პირველივე ბარიერი ვერ გადალახა და ცხენიდან გადმოვარდა.





შვეიცარიელი საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა, რადგან ცხოველმა კინაღამ გადათელა მხედარი. საბედნიეროდ, ყოფილი ჩოგბურთელი ტრავმას გადაურჩა და ტურნირის შემდეგ კარგ განწყობაზე იყო.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა




თმის გადანერგვის კლინიკა

თალიზი

ბაშკენზის ქ 27 ტელ: 25 37 39
www.talizi.ge


გოლფი




# ვუდსი ოჯახს იბრუნებს

ᲡᲐᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ ისტორიებში მხილებული **ტაიგერ ვუდსი** მეუღლესთან - 29 წლის შვედ მოდელ **ელინ ნორდგრენთან** შერიგებისთვის ძალ-ღონეს არ იშურებს. 33 წლის ლეგენდარულმა გოლფისტმა რომანტიკული მოგზაურობა შესთავაზა „საყვარელ" ადამიანს.

მსოფლიოს ნომერ პირველი გოლფისტი იდეალურ მეოჯახედ ითვლებოდა. ამიტომაც მისი ღალატის შესახებ ინფორმაცია მეხის გავარდნასავით იყო ამერიკისა და მთელი მსოფლიოსთვის. ნორდგრენმა გრანდიოზული სკანდალი მოუწყო მეუღლეს, ქმარს სახე გაულამაზა და თან გაყრითა და კოლოსალური ქონების გაყოფით დაემუქრა. გარდა ამისა, მოტყუებულმა ქალმა ულტიმატუმი წამოაყენა: გოლფი ან ოჯახი. ტაიგერმა უკვე მიატოვა სპორტული კარიერა და ახალ ნაბიჯებს დგამს ცოლის შემოსარიგებლად.

ტაიგერმა ელინს კარიბის ზღვაში კრუიზი შესთავაზა. ამისთვის გოლფისტმა 47-მეტრიანი ფეშენებლური იახტა აირჩია, რომლის ღირებულება 22 მილიონ დოლარს უდრის. ახლა წყვილი ორლანდოში, საკუთარ სახლშია განმარტოებული, გემი კი იქვე ახლოს ნოფ-პალმ-ბიჩის ყურეში ელოდებათ. ვუდსის გათვლებით, მოგზაურობისას მეუღლეს გაბრაზება გაუვლის და ისევ დაახლოვდება ელინთან.



კრივი

# ბრონქსში სკოლა დაიწვა

ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘᲡ უბან ბრონქსში დაახლოებით 100 პროფესიონალი და მოყვარული მოკრივის სახლი რამდენიმე წუთში დაიწვა.

40 წლის წინ დაარსებული Morris Park Boxing Club თავისი ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობის გარეშე დარჩა. დარბაზში, სადაც უამრავი ნიუიორკელი მოკრივე ვარჯიშობდა, ხანძარი გაჩნდა. უფრო მეტიც, ცეცხლი საკრივო დარბაზიდან პირველ სართულზე მდებარე ბინებს გადაედო და ორი ოჯახი უსახლკაროდ დარჩა.

ამ დარბაზში ვარჯიშობდნენ ისეთი ცნობილი მოკრივეები, როგორებიც არიან **ლა დელ ვალე, ელმირ მურიკი** და სხვები. ერთ-ერთი პრომოუტერული კომპანიის წარმომადგენელმა **ჯო დეგარდიამ** განაცხადა, რომ ზარალი დაახლოებით ერთ მილიონ დოლარს უდრის.